



სამართლებრივი მართლშეგების უნარ-ჩვევები
სახელმძღვანელო იურისტებისათვის

LEGAL WRITING SKILLS
MANUAL FOR LAWYERS



Government of the United States



გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2013

2010 წლის 1 ოქტომბერს ძალაში შევიდა საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც ქმნის შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებულ სისტემას.

„ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისი, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამების ბიუროს (INL) ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით ეხმარება საქართველოს მოქალაქეებს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში და სხვა პროგრამების პარალელურად, ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსზე დაყრდნობით, ახორციელებს სპეციალურ პროგრამას სამართლებრივი მართლწერის უნარ-ჩვევების განვითარების შესახებ. წინამდებარე სახელმძღვანელო მომზადდა „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისის მიერ მოწვეული ექსპერტების მიერ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამების ბიუროს (INL) ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით. მოცემული სახელმძღვანელო განკუთვნილია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი ადვოკატებისათვის.

სახელმძღვანელოს მომზადება და რედაქტირება შესაძლებელი გახდა „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისის შემდეგ თანამშრომელთა დიდი ძალისხმევითა და თავდაუზოგავი მუშაობით:

- მამუკა მამაცაშვილი (სამხარეო დირექტორის მოადგილე);
- მედუა მათიაშვილი (უფროსი იურისტი);
- ანა ლორია (უფროსი იურისტი);
- თეა ჭელიძე (ფინანსური მენეჯერი);

„ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისი სახელმძღვანელოს შექმნისას გაწეული დახმარებისათვის დიდ მადლობას უხდის შემდეგ პირებსა და ორგანიზაციებს: ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს რიჩარდ ნორლანდს. ასევე: რობ ბუნს, ალექსანდრა ბელენკაიას, ირინა პარშიკოვას, მერი გრიერს, კრისტი კონტაკს, ჯუდიტ კემბელს, კრისტინ ტეფტს, რეიჩელ ჰოლცმანს, პროფესორ თომას რ. ოქონროს, მაიკლ ტერნერს, პროფესორ მერაბ ტურავას, გიორგი ვოხხაძეს, არონ ფიშმანს, სტივენ ნეფს, თამარ ნასარიძეს, გვანცა საურს, ნატა წნორიაშვილს, ტატიანა პატარაიას, სკოტ თორფს, კალიფორნიის ოლქის პროკურორთა

© ამერიკის იურისტთა ასოციაცია, 2013
ISBN 978-9941-10-797-9

ასოციაციას, კიმ ტერნერს, სკოტ ბურნსს, ეროვნულ საოლქო პროკურორთა ასოციაციას და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო ანტიწარკოტიკულ და სამართალდაცვითი პროგრამების ბიუროს (INL).

„ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისი მადლობას უხდის პროფესორ მერაბ ტურავას და ბატონ გიორგი ჯოხაძეს მათ მიერ მოწოდებული მასალისათვის „სამართლებრივი მართლწერის უნარ-ჩვევებში“

„ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისი განსაკუთრებულ მადლობას უხდის ბატონ რონალდ ულფსონს წინამდებარე სახელმძღვანელოს შექმნისათვის გაწეული დიდი ძალისხმევისა და თავდაუზოგავი მუშაობისათვის.

აღნიშნული სახელმძღვანელო შეიქმნა „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA/ROL Initiative) საქართველოს ოფისის მიერ, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო ანტიწარკოტიკულ და სამართალდაცვითი პროგრამების ბიუროს(INL) დახმარებითა და ფინანსური მხარდაჭერით. სახელმძღვანელო არ შეიცავს „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA/ROL Initiative) საქართველოს ოფისის ან ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო ანტიწარკოტიკულ და სამართალდაცვითი პროგრამების ბიუროს მოსაზრებებს.

In October 2010 Georgia's new Criminal Procedure Code (CPC) took effect. The Code creates a new adversarial system.

The American Bar Association Rule of Law Initiative (ABA ROLI) in Georgia with assistance and funding provided by the Bureau of International Narcotics and Law Enforcement Affairs of the United States Department of State (INL) is working to help the citizens of Georgia have access to Justice under the new law. Among its other programs ABA ROLI Georgia has created a program for defense lawyers of the Georgian Bar Association in legal writing skills based on the new Criminal Procedure Code. This Book was created by experts retained for that purpose by ABA ROLI Georgia with funding from the Bureau of International Narcotics and Law Enforcement Affairs of the United States Department of State (INL) for the use of Georgian Defense Lawyers. The materials in this Book have been written in the Georgian Language.

The work on this book was done by the dedicated staff members of ABA ROLI Georgia:

Mamuka Mamatsashvili, Deputy Country Director

Medea Matiashvili, Senior Staff Attorney

Ana Loria, Senior Staff Attorney

Tea Chelidze, Office/Financial Manager

ABA ROLI Georgia thanks the following persons and organizations for helping to make this Manual possible: The U.S. Ambassador to Georgia Richard Norland, Rob Boone, Alexandra Belenkaya, Irina Parshikova, Mary Greer, Kristi Kontak, Judith Campbell, Christine Tefft, Rachel L. Holtzman, Dr. Thomas R. O'Connor, Mike Turner, Professor Dr. Merab Turava, Giorgi Jokhadze, Aaron Fishman, Steven Neff, Tamar Nasaridze, Gvantsa Sauri, Nata Tsnoriashvili, Tatiana Pataraiia, Scott Thorpe, The California District Attorneys Association, Kim Turner, Scott Burns, The National District Attorneys Association, and the Bureau of International Narcotics and Law Enforcement Affairs of the United States Department of State (INL).

The American Bar Association thanks Professor Merab Turava and Mr. Giorgi Jokhadze for providing the essay on Legal Writing Skills

The American Bar Association Rule of Law Initiative (ABA ROLI) Georgia especially thanks Mr. Ronald Wolfson for his work and efforts dedicated to the creation of this manual.

© American Bar Association, 2013

This publication is provided by the American Bar Association Rule of Law Initiative (ABA/ROL Initiative) Georgia Criminal Law Program through support and funds provided by the Bureau of International Narcotics and Law Enforcement Affairs of the United States Department of State (INL). There are no opinions of American Bar Association Rule of Law Initiative (ABA/ROL Initiative) or the Bureau of International Narcotics and Law Enforcement Affairs of the United States Department of State (INL) contained herein.

ს ა რ ჩ ე მ ე ო

სამართლებრივი მართლწერის უნარ-ჩვევები.....	8
ზოგადი შესავალი.....	8
სამართლებრივი მართლწერის საფუძვლები.....	14
შესავალი.....	14
აკადემიური წერის ძირითადი საფეხურები.....	16
არსებული პრობლემების წარმოჩენა.....	17
სამართლებრივი მართლწერის ხუთი პრინციპი.....	25
შესავალი.....	25
სამართლებრივი მართლწერის პრინციპების არსი	26
I პრინციპი: ორგანიზებულობა.....	26
II პრინციპი: დამაჯერებლობა.....	30
III პრინციპი: მართებული ტონი.....	31
IV პრინციპი: ენის სიმარტივე.....	31
V პრინციპი: გადასინჯვა.....	33
შეჯამება	32
სამართლებრივი დოკუმენტების მართლწერა.....	33
დამაჯერებელი სამართლებრივი წერის პრინციპები.....	34
პრინციპი 1. დოკუმენტის ორგანიზებულობა.....	34
სამართლებრივი დისკუსიის სტრუქტურა.....	42
პრეცედენტული სამართალი, კანონის წაკითხვა და კონსტიტუციური ინტერპრეტაცია.....	43
რეზიუმე.....	52
პრინციპი 2. შეინარჩუნეთ სარწმუნოება/დამაჯერებლობა.....	53
სამართლებრივი დასაბუთება: მოკლე მიმოხილვა შესავალი.....	57
დედუქციური მსჯელობა.....	58
ინდუქციური მსჯელობა.....	62
მსჯელობა ანალოგიის მიხედვით.....	63
მსჯელობის სტრატეგიების გაერთიანება.....	65
დასკვნა.....	67

პრობლემების დადგენა – პირველი საფეხური.....	67
ნორმა – რა არის კანონი?.....	68
ანალიზი – იურისტის ხელოვნება.....	69
დასკვნა – პოზიციის დაკავება.....	70
„სკად“-ის ტრიადა.....	72
ფაქტები.....	72
აბზაცის სტრუქტურა.....	76
სამართლებრივი კვლევა.....	77
სამართლებრივი კვლევის ჩატარება.....	78
პრინციპი 3. შეინარჩუნეთ სწორი ტონი.....	80
ინსტრუქციები სამართლებრივი წერის გაუმჯობესებისთვის.....	82
პრინციპი 4. ენის სიმარტივე.....	82
შუალედური ფრაზები.....	86
პრობლემური სფეროები.....	90
სიტყვის/წინადადების დაკავშირება.....	90
გამოხატვა.....	90
მარტივი ენა და ანალიზი სწორი სიტყვებისა და გრამატიკის შერჩევა.....	91
პრინციპი 5. გადასინჯვა.....	93
კარგი სამართლებრივი წერის ექვსი უმნიშვნელოვანესი წესი.....	97
კარგი სამართლებრივი წერის სხვა წესები.....	97
ანალიტიკური უნარ-ჩვევები.....	98
ენა, როგორც მაკავშირებელი.....	98
სინონიმები.....	101
ნაცვალსახელები.....	102
შუალედური სიტყვები.....	102
წინადადების ნიშნუშები.....	103
მიდგომები ანალიტიკური წერისადმი.....	103
ანალიტიკური წერის 9-საფეხურიანი ფორმულა.....	103
რეკომენდაციები გასწორებასა და რელაქტირებასთან დაკავშირებით.....	105
სამართლებრივი წერის უნარ-ჩვევების გაუმჯობესება.....	105

სამართლებრივი მართლწერის უნარ-ჩვევები¹

ზოგადი შუსავალი

ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივის (ABA Rule of law Initiative) ხელშეწყობით საქართველოში განხორციელდა არაერთი პროგრამა, რომლის მიზანია ქართველ თეორეტიკოს და პრაქტიკოს იურისტთა კვალიფიკაციის ამაღლება. ასეთი თანამშრომლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის პროცესში. როგორც ცნობილია, 2009 წლის 9 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც ამოქმედდა 2010 წლის 1 ოქტომბრიდან. ახალი კოდექსი ახლებურად აყალიბებს სისხლის სამართლის პროცესის მთელ რიგ ინსტიტუტებს. წინა კოდექსისგან განსხვავებით, იგი ორიენტირებულია ანგლოამერიკულ სისტემაზე და საქართველოში ამკვიდრებს წმინდა შეჯიბრებითობას სისხლის სამართლის პროცესში. ანგლო-ამერიკული საპროცესო სისტემის ზეგავლენა ქართულ სისხლის სამართლის პროცესზე განსაკუთრებით შესამჩნევია 2004 წლიდან. ამ წელს შემოღებულ იქნა ანგლოამერიკული „საპროცესო შეთანხმების“ ინსტიტუტი. მართალია, უკანასკნელ პერიოდში კონტინენტალური ევროპის სახელმწიფოებშიც (გერმანია, იტალია, საფრანგეთი და ა.შ.) შეიმჩნევა ამ ინსტიტუტის მომძლავრება, მაგრამ ამ ქვეყნებში, საქართველოსგან განსხვავებით, უფრო შეზღუდულია მისი გამოყენების ფარგლები. გარდა ამისა, ახალი კოდექსით შემოღებულ იქნა ნაფიც მსაჯულთა ფიურის სისტემა, რომელმაც უკვე ჩაატარა პირველი პროცესები საქართველოში. ქართული სისხლის სამართლის პროცესისათვის საკანონმდებლო ნოვაცას წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობა (სსსკ-ის მე-16 მუხლი), რომელიც დადებით მომენტებთან ერთად დიდი საფრთხის მატარებელიცაა, განსა-

1 „სამართლებრივი მართლწერის უნარ-ჩვევები“ – მომზადებულია მერაბ ტურავას მიერ „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ საქართველოს ოფისისათვის (ABA ROLI). რედაქტირება განხორციელდა „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისის მიერ

კუთრებით იმ ქვეყანაში, რომელსაც არა აქვს სამართლებრივი სახელმწიფოს ტრადიცია. ახალი პროცესის მიხედვით, რადიკალურად შეიცვალა დაზარალებულის სტატუსი და უფლებები. თუ წინა კოდექსის მიხედვით შესაძლებელი იყო დაზარალებულის მიერ ე.წ. სუბსიდიური სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელება ბრალდებულის მიმართ, ასეთი შესაძლებლობა, მათ შორის განაჩენის გასაჩივრების უფლება, დაზარალებულს აღარა აქვს. კონტინენტალური ევროპის სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, დაზარალებულს არც პროკურორის მიერ ბრალდებულის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის სასამართლოში გასაჩივრების უფლება გააჩნია, ეს მაშინ, როცა თვით სასამართლოს მიერ, მაგალითად, წინასასამართლო სხდომაზე ბრალდებულის მიმართ დევნის შეწყვეტა პროკურორის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს. პროკურორის დევნის შეწყვეტის დადგენილება კონტინენტალური ევროპის არაერთ ქვეყანაში დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე ჩვეულებრივად სასამართლო კონტროლს ექვემდებარება.

ინკვიზიციურობის ელემენტებისგან სრულიად თავისუფალი, წმინდა შეჯიბრებითი პროცესი ახლებურად აყალიბებს ბრალდებისა და დაცვის მხარეების ფუნქციებს და მოსამართლის როლს მათი შეჯიბრების პროცესში. მოსამართლის კონტინენტალურ-ევროპული აქტიური როლიდან ანგლოამერიკულ პასიურ როლში გადასვლას თავისი შედეგები აქვს პროცესის მიმდინარეობასა და ბრალდებულის ბედზე. თუ ე.წ. კონტინენტალურ-ევროპულ საგამოძიებო პრინციპზე დაფუძნებულ სისხლის სამართლის პროცესში მოსამართლეს ევალება მონაწილეობა მიიღოს სასამართლო გამოძიებაში, საჭიროების შემთხვევაში მოიპოვოს და გამოიკვლიოს მტკიცებულებები საკუთარი ინიციატივითაც კი (გამოიძახოს და დაჰკითხოს მოწმე, დანიშნოს ექსპერტიზა ა.შ.), დისპოზიციურობის პრინციპზე აგებულ ქართულ სისხლის სამართლის პროცესში მოსამართლეს მტკიცებულების საკუთარი ინიციატივით მოპოვება კი არა, შეკითხვის დასმის უფლებაც არა აქვს. იგი უფლებამოსილია, მხოლოდ მხარეებთან შეთანხმებით დასვას დამაზუსტებელი კითხვა, თუ ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად. სისხლის სამართლის პროცესის განვითარების ეს ტენდენცია ანგლოამერიკული

თვალთახედვიდან გამომდინარე, დადებითია: როცა მხარეები ბრალდებულის სასარგებლოდ ან საზიანოდ მოქმედებენ, მოსამართლეს უნდა ეკავოს ნეიტრალური არბიტრის პოზიცია, ანუ უნდა იყოს მიუკერძოებელი მხარეთა შეჯიბრების დროს. მოსამართლის ასეთი სტატუსი არ არის პანაცეა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ტრადიციულად, არაერთ ევროპულ ქვეყანაში სისხლის სამართლის პროცესში მოსამართლის მიუკერძოებლობა სხვაგვარად არის გაგებული და მისი როლისადმი სხვა დამოკიდებულება არსებობს. მას ეკისრება ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის ვალდებულება. ანგლოამერიკული მოდელის მიხედვით, რომელიც საქართველომ აირჩია, ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა აღარ წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის პრინციპს.

ახალი პროცესით შეიცვალა მხარეების მიერ მტკიცებულებათა წარმოდგენის წესი. ისინი ვალდებული არიან, მტკიცებულებები წარმოადგინონ საქმის არსებით განხილვამდე. გამონაკლის შემთხვევაში, თუ დამატებითი მტკიცებულების წარდგენა მოხდა საქმის არსებითი განხილვის დროს, სასამართლო მხარის შუამდგომლობით იხილავს მისი დასაშვებობის საკითხს და არკვევს საქმის არსებით განხილვამდე მისი წარუდგენლობის მიზეზს. შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვისას არსებითად ახალი მტკიცებულების მოპოვების თაობაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაკმაყოფილდეს, თუ მისი მოპოვება ან მისი მოპოვების შესახებ შუამდგომლობის დაყენება მანამდე ობიექტურად შეუძლებელი იყო.

მნიშვნელოვანია ის საკითხი, რომ სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, დაცვის მხარის მოთხოვნა ბრალდების მხარის იმ ინფორმაციის გაცნობის თაობაზე, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც ბრალდების მხარე აპირებს, დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს. ასევე ბრალდების მხარესაც აქვს უფლება, დაცვის მხარისგან მიიღოს ის ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც დაცვის მხარე აპირებს. საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ამ წესის დარღვევას აქვს თავისი სამართლებრივი შედეგები. კერძოდ, ინფორმაციის გაცვლის მოთხოვნის შემდეგ, იმ მომენტიდან, როდესაც არსებული მასალის მხარისათვის სრული მოცულობით გადაუცემლობა იწვევს მის დაუმ-

ვებელ მტკიცებულებად ცნობას. დაცვის მხარისგან განსხვავებით, ბრალდების მხარეს აქვს ვალდებულება, დაცვის მხარეს გადასცეს მის ხელთ არსებული გამამართლებელი მტკიცებულებები (სსსკ-ის 83-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). ეს ნიშნავს იმას, რომ გამოძიებელს ან პროკურორს არა აქვს უფლება, დამალოს ბრალდებულის სასარგებლო მოწმის ჩვენება, ექსპერტიზის დასკვნა ან სხვა მტკიცებულება, რომელიც აღმოჩნდება ბრალდების მხარის ხელში.

ახალმა სისხლის სამართლის პროცესმა განსაზღვრა დრო, როცა მხარეებმა ერთმანეთს და სასამართლოს უნდა მიაწოდონ მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც ისინი აპირებენ. აღნიშნული უნდა მოხდეს წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს ხუთი დღისა (83-ე მუხლის მე-ნაწილი). მანამდე კი, ბრალდებულის სასამართლოში პირველ წარდგენამდე, მხარეები ასევე ვალდებული არიან, მისცენ ერთმანეთს იმ ინფორმაციისა და მტკიცებულების გაცნობის შესაძლებლობა, ასევე გადასცენ წერილობით მტკიცებულებათა ასლები, რომელთა სასამართლოში წარდგენასაც ისინი აპირებენ. კანონის ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა შეიძლება ბრალდებულისთვის გამოუსწორებელი ზიანის მომტანი აღმოჩნდეს. სწორედ ამიტომ, დიდი მნიშვნელობა აქვს მხარეთა, განსაკუთრებით დაცვის მხარის, სწორ სამართლებრივ მოქმედებებს არა მარტო სასამართლოზე საქმის არსებითი განხილვის დროს, არამედ წინასასამართლო ეტაპზეც.

ბრალდების მხარედ სისხლის სამართლის პროცესში გვევლინება გამოძიებელი და პროკურორი, ხოლო დაცვის მხარედ – ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული და მათი ადვოკატი. გამოძიებისგან განსხვავებით, სისხლისსამართლებრივი დევნა მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებათა, რომელიც იწყება პირის დაკავებისთანავე ან ბრალდებულად ცნობისთანავე (თუ ის არ დაუკავებიათ). ადვოკატი კი, სისხლის სამართლის პროცესში ახორციელებს ბრალდებულის, მსჯავრდებულისა და გამართლებულის სამართლებრივ დაცვას. ახალი საპროცესო კოდექსით, ბრალდებულის სტატუსი გაფართოვდა და იგი მოიცავს წინა კოდექსით გათვალისწინებულ ეჭვმიტანილსა და განსასჯელსაც.

ახალი საპროცესო კოდექსი (113-ე მუხლი) ადგენს მხარეთა მიერ გამოკითხვის წესს, რომელიც ნებაყოფლობითია და არ იწვევს გამოსაკითხი ან გამოკითხული პირის პასუხისმგებლობას. მხარეს, ყოველგვარი იბულების გარეშე, შეუძლია ნებისმიერი იმ პირის გამოკითხვა, რომელიც შესაძლებელია, ფლობდეს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას. გამოძიების სტადიაზე პირის დაკითხვა მხარის შუამდგომლობით შეიძლება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, ისიც მხოლოდ მაგისტრატი მოსამართლის წინაშე (სსსკ-ის 114-ე მუხლი). სხვა შემთხვევაში, პირის პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვა შეიძლება მოხდეს მხოლოდ საქმის არსებითი განხილვის დროს. საპროცესო კოდექსის გარდამავალი დებულებებით (332-ე მუხლი), 2013 წლის 31 დეკემბრამდე გამოძიებისას დაკითხვა წარმოებს 2010 წლის 1 ოქტომბრამდე მოქმედი კოდექსით დადგენილი წესით. ამ კრებულში მოცემულ სამართლებრივი დოკუმენტების ნიმუშებში გათვალისწინებულია ამ გარდამავალი დებულების მოქმედებაც.

წინამდებარე კრებული განკუთვნილია დაცვის მხარის წარმომადგენლების სწავლების მიზნებისათვის გამოსაყენებელ დამხმარე მასალად. მასში თავმოყრილია საპროცესო დოკუმენტების ნიმუშები ადვოკატებისათვის, რომლებიც გაივლიან მართლწერის უნარჩვევების განვითარებისა და იურიდიული დოკუმენტაციის შედგენის კურსს. ამ დოკუმენტებში მოცემულია საჭიროების შესაბამისად გადაამუშავებული მასალა ნამდვილი სისხლის სამართლის საქმეების მიხედვით, რომლებშიც ქართველმა ადვოკატებმა განახორციელეს დაცვის უფლება.

სისხლის სამართლის პროცესში ადვოკატის საქმიანობის ძირითადი ინსტრუმენტებია შუამდგომლობები, მიმართვები და საჩივრები. კრებულში წარმოდგენილია როგორც წინასასამართლო ეტაპზე, განსაკუთრებით, ადკვეთის ღონისძიებებთან დაკავშირებით შედგენილი შუამდგომლობებისა და საჩივრების, ისე სასამართლო პროცესზე, განსაკუთრებით წინასასამართლო ეტაპზე წარდგენილი შუამდგომლობებისა და სააპელაციო, საკასაციო და ნაფიც მსაჯულთა განაჩენებზე შეტანილი საჩივრების ნიმუშები. ყველა ეს დოკუმენტი ასახავს ჩვენს ქართულ რეალობას.

იმის გათვალისწინებით, რომ საპროცესო კოდექსი ახალია და პრაქტიკამ ჯერ კიდევ ბევრი საკითხი უნდა დაარეგულიროს, ეს კრებული ვერ იქნება დაზღვეული ხარვეზისგან. ამერიკის იურისტთა ასოციაციის მიერ დაგეგმილი ადვოკატთა სწავლების ერთ-ერთი მიზანი სწორედ იმაშიც მდგომარეობს, რომ ამ სასწავლო კურსის მსმენელებმა აღმოაჩინონ ეს ხარვეზები, გაიმართოს დისკუსია საპროცესო დოკუმენტების შედგენისას საუკეთესო გზების ძიებაზე, რაც ხელს შეუწყობს მსმენელებში კრიტიკული აზროვნების განვითარებას.

სამართლებრივი მართლწერის საფუძვლები

შესავალი

წმინდა შეჯიბრებითი პროცესი ბრალდებისა და დაცვის მხარეებისგან მოითხოვს სამართალწარმოების ენაზე ზეპირი მეტყველებისა და მართლწერის მაღალ კულტურას, რომელიც ეფუძნება ამა თუ იმ ენაში დამკვიდრებულ ადამიანთა შორის ურთიერთობის ზოგად წესებს. ქართული ენის წერილობითი გამოხატვისა და ზეპირი მეტყველების ფორმები ყალიბდებოდა საუკუნეების მანძილზე. სამართლებრივი მეტყველება და აკადემიური წერა ნაწილობრივ განსხვავდება ადამიანთა შორის ყოველდღიური საყოფაცხოვრებო ურთიერთობის ფორმებისაგან. მიუხედავად ამისა, პროცესის მონაწილეებმა თავიანთ ზეპირ გამოსვლებსა თუ წერილობით დოკუმენტებში ყოველთვის უნდა დაიცვან ენის სწორი მეტყველებისა და წერის სავალდებულო ზოგადი წესების სისტემა.

სასამართლოსა და მხარეებს შორის ურთიერთობის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ფორმაა წერილობითი ფორმით ურთიერთობა. მხარეთა შუამდგომლობები და საჩივრები უნდა იყოს არა მარტო სწორი, არამედ იმავდროულად დასაბუთებული და გასაგები ერთ ჩამოყალიბებული. მათი დანიშნულებაა, მოსამართლე, როგორც მიუკერძოებელი არბიტრი, დაარწმუნოს მხარის პოზიციის გონივრულობასა და დასაბუთებულობაში.

საქართველოში სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება და საპროცესო დოკუმენტების შედგენა ხდება ქართულ ენაზე, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – აგრეთვე აფხაზურ ენაზე. პროცესის იმ მონაწილეს, რომელმაც არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა, ენიშნება თარჯიმანი (სსსკ-ის მე-11 მუხლი). ასე რომ, სახელმწიფო უზრუნველყოფს სისხლის სამართლის პროცესის სახელმწიფო ენაზე განხორციელებას. შესაბამისად, გამოძიებისა და სასამართლო განხილვისთვის განკუთვნილი, პროცესის მონაწილეების მიერ შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები ჩამოყალიბებულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის პროცესის წარმოების ენაზე.

სამართლებრივი კომუნიკაციის მნიშვნელოვანი საშუალებაა იურიდიული დოკუმენტაციის შედგენა. ეს კრებული შემოიფარგლება დაცვის მხარის წარმომადგენლების – ბრალდებულის (მსჯავრდებულის) და მისი ადვოკატის მიერ შედგენილი წერილობითი სამართლებრივი დოკუმენტების ნიმუშების პრეზენტაციით. ასეთი დოკუმენტების შედგენის უპირველეს წყაროს წარმოადგენს სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული კანონები, სხვა ნორმატიული აქტები, ასევე სასამართლოთა გადაწყვეტილებები და მეცნიერ-იურისტთა ნაწერები. შესაბამისად, დაცვის მხარის მიერ ჩამოყალიბებული წერილობითი ტექსტების ტერმინოლოგია, ენობრივი სტილი დიდად არის განპირობებული ამ წყაროებით. დაცვის მხარე, მის მიერ შედგენილი წერილობითი დოკუმენტებით, პროცესის მეორე მხარეს და სასამართლოს უზიარებს თავის თვალსაზრისს, რითაც მიზნად ისახავს მათ დარწმუნებას თავისი პოზიციის სისწორეში. გარდა ამისა, ვინაიდან დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობების განხილვა არა ყოველთვის, მაგრამ ხშირად მიმდინარეობს სასამართლო სხდომაზე საჯაროდ, იგი დაინტერესებულია, რომ ასევე პროცესის დამსწრე საზოგადოებაც დაარწმუნოს თავისი მოთხოვნის კანონიერებასა და სამართლიანობაში.

დაცვის მხარის მიერ სისხლის სამართლის პროცესში ზეპირი მეტყველებისა და წერილობითი დოკუმენტაციის მოცულობა არ ემთხვევა ერთმანეთს. ადვოკატი, ბრალდებული (მსჯავრდებული) პროცესზე გამოდის ზეპირად, სამართლებრივ დოკუმენტებს კი, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ძირითადად, აყალიბებს შუამდგომლობების ან საჩივრების ფორმით. ეს წერილობითი დოკუმენტები წარმოადგენს ენის გრაფიკულ სამართლებრივ გამოსახულებას. იგი პოზიციის ზეპირი მეტყველებით გამოხატვასთან ერთად, წარმატებით გამოიყენება ამა თუ იმ ბრალდებულის (მსჯავრდებული) პროცესუალური უფლებების დასაცავად, ბრალდების მხარესა და სასამართლოსთან ურთიერთობის დასამყარებლად, სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისას აზრთა ურთიერთგასაცვლელად. იურიდიული მართლწერის წესების ცოდნის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა წარმატებული საადვოკატო საქმიანობა.

ნებისმიერი იურისტი სკოლის ასაკიდან და უნივერსიტეტში სწავლის პერიოდიდან სწავლობს წერის სავალდებულო წესების სისტემას – ორთოგრაფიას, ანუ მართლწერას. იგი გულისხმობს სწორი, მართებული წერის უნარ-ჩვევების გამოქვეყნებას უკვე ადრეული ასაკიდან. ნებისმიერმა იურისტმა იცის წერის საწყისი ელემენტები, რომლებსაც ეფუძნება იურიდიული მართლწერა. ამ კრებულში წარმოდგენილია დაცვის მხარის მიერ ჩამოყალიბებული შუამდგომლობებისა და საჩივრების ტექსტები, რომლებიც წარმოადგენს სწორედ იურიდიული მართლწერის ნიმუშებს.

აკადემიური წერის ძირითადი საფუძვრები

ნებისმიერ წერილობით დოკუმენტს უნდა გააჩნდეს თავისი სტრუქტურა, რომელშიც, აკადემიური წერის წესებიდან გამომდინარე, ძირითადად გამოიყოფა სამი კომპონენტი: (1) შესავალი ნაწილი; (2) ძირითადი ტექსტი და (3) დასკვნა.

(1) შესავალი ნაწილის მიზანია ზოგადი წარმოდგენის შექმნა იმ საქმის არსებითი გარემოებების შესახებ, რომელსაც ეხება სამართლებრივი დოკუმენტი. ეს აადვილებს შუამდგომლობის თუ საჩივრის შინაარსის საფუძვლიან გაგებას. ამ ეტაპზე პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: რა არის მნიშვნელოვანი იმ საქმის შინაარსის გადმოსაცემად, რომელსაც საპროცესო დოკუმენტი ეხება? თუ ამ კითხვას სწორად გაეცა პასუხი, მაშინ ამ დოკუმენტის წაკითხვა უფრო საინტერესო და შედეგიანი იქნება.

(2) ძირითადი ტექსტის მთავარი მიზანია არგუმენტების წარმოდგენა, რომელიც ადასტურებს მოთხოვნის საფუძვლიანობას. აქვე უნდა გამოიკვეთოს, თუ რა არის საპროცესო დოკუმენტის მთავარი გზავნილი.

(3) დასკვნით ნაწილში პასუხი უნდა გაეცეს კითხვაზე, თუ რისთვის შეიქმნა ესა თუ ის საპროცესო დოკუმენტი.

ყველა საპროცესო დოკუმენტს აქვს რეზიუმე (შეჯამება), რომელიც შუამდგომლობასა და საჩივარში მოთხოვნის ფორმით არის ფორმულირებული. ამ კრებულში წარმოდგენილი ნიმუშების მიხედ-

ვით, შუამდგომლობაში იგი იწერება ტექსტის დასაწყისში, ხოლო საჩივარში ტექსტის ბოლოს.

დოკუმენტის ბოლოს უნდა დაიწეროს ტექსტის ავტორის ვინაობა და თარიღი.

აკადემიური წერის „ოქროს წესი“ გამოიხატება შემდეგი სიტყვებით: „სრულყოფილება მიიღწევა არა მაშინ, როდესაც დასამატებელი არაფერია, არამედ მაშინ, როდესაც არაფერია მოსაკლები“ (ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი).

არსებული პრობლემების წარმოჩენა

აკადემიურ წერასთან დაკავშირებით წარმოიშობა შემდეგი სადისკუსიო კითხვები: რა არის აკადემიური წერა? ვინ, სად და რისთვის იყენებს აკადემიურ წერას? როგორი ნაწერი შეიძლება მივიჩნიოთ კარგ ნაწერად? რა და რა საკითხზე გვიწევს წერა? ვისთვის და რისთვის გვიწევს წერა ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში? როგორ წერთ თქვენ და რატომ ფიქრობთ ასე? (შეად. ნ. შავთვალაძე, შ. ღუნდუა: აკადემიური წერა, მე-5 გამოცემა, 2012, გვ. 17).

აკადემიური წერის ზოგადი წესებიდან გამომდინარე, ყოველთვის, როცა ადამიანი იწყებს ნებისმიერი სახის ტექსტზე მუშაობას, მის წინაშე დგება სამი კითხვა: **რას ვწერ?** **რისთვის ვწერ?** და **ვისთვის ვწერ?** სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სრულყოფილი წერითი კომუნიკაციისათვის მნიშვნელოვანია, დადგინდეს: თემა, მიზანი და ადრესატი.

ამ ზოგადი წესიდან გამომდინარე, დაცვის უფლების განხორციელების დროს სწორად უნდა იქნეს გააზრებული შემდეგი:

(1) თუ რა საკითხზე ადგენს ადვოკატი წერილობით სამართლებრივ დოკუმენტს, კანონიდან გამომდინარე, დაცვის მხარე რამდენად არის უფლებამოსილი, ამ სახის შუამდგომლობის ან საჩივრის შედგენის და სასამართლოში ან სხვა სათანადო ორგანოებში წარდგენისათვის?

სამართლებრივი დოკუმენტის შედგენის დროს სწორად უნდა განისაზღვროს მისი თემა. მაგალითად, „შუამდგომლობა წინასა-

სამართლო სხდომაზე სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ“.

(2) გარდა ამისა, უნდა განისაზღვროს, თუ რატომ ადგენს ადვოკატი წერილობით საპროცესო დოკუმენტს.

საპროცესო დოკუმენტის შედგენის დროს სწორად უნდა განისაზღვროს მისი მიზანი, მაგალითად, ბრალდების მხარის მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა. ამისათვის საჭიროა მოთხოვნის, მისი სამართლებრივი საფუძვლისა და მოთხოვნის არგუმენტაციის სწორად დაყენება.

(3) ასევე, სწორად უნდა განისაზღვროს საპროცესო დოკუმენტის ადრესატი.

არ შეიძლება საპროცესო დოკუმენტის წარდგენა არასათანადო ადრესატთან. მაგალითად, წინასასამართლო ეტაპზე ალკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესახებ შუამდგომლობა შეტანილ უნდა იქნეს მაგისტრატ მოსამართლესთან, გამოძიების ადგილის მიხედვით, მაგრამ საჩივარი – სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში. გარდა ამისა, დაცულ უნდა იქნეს ტერიტორიალური განსჯადობა, მაგალითად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგია თუ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგია?

მხარის, მათ შორის ადვოკატის, მიერ შედგენილი ნებისმიერი საპროცესო დოკუმენტი შედგება სიტყვებისა და წინადადებებისაგან. ისინი წარმოადგენს მათი წარმოდგენების გამომხატველ ნიშნებს. ამასთან, ეს არ არის სიტყვებისა და წინადადებების მექანიკური ერთობა, არამედ ლოგიკური თანმიმდევრობით ჩამოყალიბებული აზრთა წყობა, რომელიც გამოხატავს სამართლებრივ თვალსაზრისს სიტყვებში. შუამდგომლობები და საჩივრები შედგება სამი კომპონენტისაგან: პრობლემის დასმა, მისი დასაბუთება და, მისგან გამომდინარე, ლოგიკური დასკვნა. მხოლოდ სიტყვებით გამოხატვა აძლევს მხარის მიერ წარმოდგენილ საპროცესო დოკუმენტებს მყარ ფორმას და საშუალებას იძლევა, რომ მისი თვალსაზრისი მეორე მხარისა და სასამართლოსთვის ხელმისაწვდომი გახდეს. ბრალდებულის

(მსჯავრდებულის) ნების შესაბამისად, ამ გზით ხდება ადვოკატის წარმოდგენების წერილობითი ფორმით გამოხატულ დოკუმენტში „ხორცშესხმა“.

სიტყვები, როგორც გარკვეული შინაარსის მატარებელი გამოხატვის საშუალებები, იძლევა საგნებსა და მოვლენებზე გარკვეულ წარმოდგენებს. ადამიანი, მათ შორის, სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე, ვინც ამა თუ იმ სიტყვას იყენებს, გარკვეულ მიზანს ისახავს, რომ თავისი თვალსაზრისი ნათლად და გასაგებად მიაწოდოს ამ სიტყვის ადრესატს. იურისპრუდენციაში გამოიყენება სიტყვები, რომლებიც საყოფაცხოვრებო ურთიერთობებშიც იგმავე მნიშვნელობის მატარებელია. მაშასადამე, ყველასთვის გასაგებ გამოხატვის ფორმებს წარმოადგენს. საყოფაცხოვრებო ურთიერთობებში გამოყენებული არაერთი სიტყვა იგმავე მნიშვნელობით გამოიყენება კანონებსა და პროცესის მონაწილეთა მიერ შედგენილ სხვადასხვა საპროცესო დოკუმენტში. ამასთან, სისხლის სამართალში გვხვდება არაერთი სიტყვა და წინადადება, რომლის ზუსტი შინაარსი მხოლოდ იურისტებისთვის არის ადვილი გასაგები. მაგალითად, თუ რა შინაარსის მატარებელია სიტყვები: „აღკვეთის ღონისძიება“, „დისკრეციულობა“, „განრიდება“, „პირდაპირი დაკითხვა“, „ვგვარედინი დაკითხვა“ ჩვეულებრივი მოქალაქეებისთვის ყოველთვის ადვილი გასაგები არ არის. ზოგიერთი წმინდა იურიდიული ტერმინი, სხვადასხვა გარემოების გამო, ზოგჯერ საზოგადოებაში მოქალაქეთა მართლშეგნებაში ფართოდ გავრცელებას პოუვს. ასეთად სისხლის სამართლის პროცესში შეიძლება ჩაითვალოს, მაგალითად, „საპროცესო შეთანხმება“.

სისხლის სამართალში საპროცესო დოკუმენტების, მათ შორის, დაცვის მხარის შუამდგომლობებისა და საჩივრების, შინაარსის ჩამოყალიბების დროს გამოიყენება ნორმის ინტერპრეტაციის ოთხი ძირითადი მეთოდი: (1) გრამატიკული (ანუ სიტყვასიტყვითი); (2) სისტემური; (3) ისტორიული და (4) ობიექტურ-ტელეოლოგიური (შეად. მ. ტურავა: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ. 125). მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს უკანასკნელი, რომელიც კანონს განმარტავს ნორმის არსიდან და მიზნიდან გამომდინარე. კანონის ახსნა-განმარტების ხერხების იერ-

არქია არ არსებობს, არამედ იგი ხორციელდება „მეთოდური პლურალიზმის“ საფუძველზე. ისინი ერთმანეთს კი არ გამოირიცხავენ, არამედ ავსებენ. სისხლის სამართლის პროცესში გამოიყენება ინტერპრეტაციის სხვა თანამედროვე მეთოდებიც. ესენია: კონსტიტუციის შესაბამისი ინტერპრეტაცია; საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისი ინტერპრეტაცია; საერთაშორისო სამართლის შესაბამისი ინტერპრეტაცია. მაგალითად, ადვოკატმა საპროცესო დოკუმენტის (შუამდგომლობის და საჩივრის) შედგენისა და თავისი პოზიციის დასაბუთების დროს შეიძლება მიუთითოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციასა და სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე.

სისხლის სამართლის პროცესში, საპროცესო დოკუმენტის შედგენის დროს, გამოყენებულ უნდა იქნეს ის ნორმა, რომელიც მოქმედებს ამა თუ იმ საქმის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს და არა ის ნორმა, რომელიც მოქმედებდა დანაშაულის ჩადენისას. კანონმდებლობაში ხარვეზის არსებობისას, ასევე ნებადართულია საპროცესო ნორმის ანალოგიით გამოყენება, ისე, რომ ამით არ შეილახოს საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლით გარანტირებული ადამიანის უფლებები (სსსკ-ის მე-2 მუხლი).

მოსამართლისა და მხარეთა მიერ სამართლებრივად სწორი და ლიტერატურულად გამართული დოკუმენტების შედგენის დროს გამოიყენება სამართლებრივი ენა, რომელიც გარკვეული სპეციფიკური თავისებურებებით ხასიათდება და მოითხოვს იურიდიულ ცოდნა-განათლებას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან გამომდინარე, მართალია, მთელი რიგი სამართლებრივი დოკუმენტების (განსაკუთრებით, საჩივრების) სასამართლოში შეტანის უფლება აქვს ბრალდებულს (მსჯავრდებულს) და არა მის ადვოკატს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს საჩივრები მაინცდამაინც ბრალდებულებმა (მსჯავრდებულებმა) უნდა ჩამოაყალიბონ. მთავარია, რომ საჩივრის მოთხოვნა და არგუმენტაცია მათი თავისუფალი ნების გამოხატულებას წარმოადგენდეს. ევროპის ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში სააპელაციო და საკასაციო საჩივრების შეტანა სამართლებრივ

საკითხებზე მხოლოდ ადვოკატის მეშვეობით არის შესაძლებელი. ქართულმა საპროცესო კანონმდებლობამ გასაჩივრების სუბიექტად გამოაცხადა რა ბრალდებული (მსჯავრდებული), ამით მისცა მას მეტი თავისუფლება, საკუთარი შეხედულებით გადაწყვიტოს, ისარგებლებს თუ არა ადვოკატის მომსახურებით, რომელიც გარკვეულ ანაზღაურებასთან არის დაკავშირებული, თვითონ შეადგენს საჩივარს, როცა ამისათვის საჭირო იურიდიული ცოდნაგანათლება გააჩნია, თუ საჩივრის ტექსტის ჩამოსაყალიბებლად დახმარებისთვის მიმართავს ნებისმიერ მცოდნე პიროვნებას, ადამიანის უფლებათა დამცველს, რომელსაც იგი ენდობა, მაგრამ არ არის ადვოკატი.

სისხლის სამართალწარმოების პროცესში გამოიყენება სამართლებრივი ენა, რომელიც წარმოადგენს სპეციფიკურ დარგობრივ ენას. ასევე სხვა სფეროებშიც, მაგალითად, მედიცინაში, არსებობს სამედიცინო ტერმინოლოგია და ენა. სამართლებრივ ენაში შეიძლება განგასხვაოთ შემდეგი ენობრივი სახეები: (1) კანონის ენა; (2) განაჩენისა და სხვა სამართლებრივი გადაწყვეტილებების ენა; (3) სამართალწარმოების პროცესში მონაწილეთა ენა, რომელიც გამოიხატება შუამდგომლობებსა და საჩივრებში; (4) სამეცნიერო ენა.

სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე ადვოკატს სხვადასხვა დროს ან ერთდროულად ყოველთვის აქვს შემხებლობა თითოეულ მათგანთან. კანონის ენა უფრო აბსტრაქტულია და მისი ესა თუ ის ნორმა ეხება არა ერთ კონკრეტულ შემთხვევას, არამედ ყველა მსგავს სიტუაციას. განაჩენი ან სხვა საპროცესო დოკუმენტები (შუამდგომლობა, საჩივარი) კი, ეხება კონკრეტულ პიროვნებასა და შემთხვევას. მისი ენა არგუმენტირებულად უნდა ასაბუთებდეს მოთხოვნის თუ გადაწყვეტილების კანონიერებასა და სამართლიანობას. მეცნიერული ენა გამოხატავს ღრმა თეორიულ თვალსაზრისს ამა თუ იმ საკითხზე, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც საკანონმდებლო დონეზე, ისე პრაქტიკოსი იურისტების მხრიდან. სამართლის მეცნიერება თავისი იდეების სადემონსტრაციოდ ხშირად იყენებს პრაქტიკის მაგალითებსაც, განსაკუთრებით, საერთაშორისო და საკუთარ ნაციონალურ თუ სხვა ქვეყნების სასამართლო პრეცედენტებს.

მართლაც ჭეშმარიტებაა, რომ ნებისმიერ საპროცესო დოკუმენ-

ტში, მათ შორის, დაცვის მხარის შუამდგომლობებსა და საჩივრებში სამართლებრივად სწორად და ლიტერატურულად ნათლად, გარკვევით უნდა იყოს დაყენებული მოთხოვნა და ჩამოყალიბებული მოთხოვნის არგუმენტაცია. დოკუმენტში მოთხოვნის არასწორად დაყენება ან მისი დაუსაბუთებლობა ხშირად განპირობებულია სამართლებრივი მასალის არცოდნით ან არასრულყოფილი ცოდნით. ხშირად მარტო კანონის ტექსტის ცოდნა არ არის საკმარისი მოთხოვნის სწორად დაყენებისა და დასაბუთებისათვის, არამედ საჭიროა სხვადასხვა დოკუმენტური თვალსაზრისის გააზრება, რომლებიც მოცემულია კომენტარებში, სახელმძღვანელოებსა და მონოგრაფიებში. ასევე მნიშვნელოვანია ეროვნული სასამართლო პრაქტიკისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ცოდნა.

სამართლებრივი დოკუმენტის ტექსტის ჩამოყალიბების დაწყებამდე ადვოკატმა კარგად უნდა გაიაზროს პრობლემის არსი. მან უნდა იფიქროს, თუ რამდენად მომგებიანია მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის ამა თუ იმ შუამდგომლობის დაყენება ან საჩივრის შეტანა, წინასწარ უნდა განჭვრიტოს მისი მოქმედების თუ უმოქმედობის სამართლებრივი შედეგები თავისი დაცვის ქვეშ მყოფისათვის. ამის შემდეგ, მან სწორად უნდა აუხსნას ბრალდებულს (მსჯავრდებულს) ის სამართლებრივი პრობლემები, რომლის წინაშეც დგას და გააცნოს დაცვის სტრატეგია და ტაქტიკა. ადვოკატმა კარგად უნდა გაიაზროს, თუ როგორ უნდა ჩამოაყალიბოს დოკუმენტის ტექსტი, რა მოთხოვნა და შემდეგ არგუმენტები უნდა დააყენოს წინა პლანზე. მაგალითად, შუამდგომლობასთან დაკავშირებით სსსკ-ის 93-ე მუხლის მე-2 ნაწილში პირდაპირ არის მითითებული, რომ შუამდგომლობა დასაბუთებული უნდა იყოს. მასში კონკრეტულად უნდა იყოს გადმოცემული ჯერ მოთხოვნა, ხოლო შემდეგ მოთხოვნის არგუმენტაცია. იგი უნდა ეხებოდეს მხოლოდ იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს შუამდგომლობაში დასმულ საკითხებთან. საპროცესო დოკუმენტის შედგენის პროცესს ადვოკატი უნდა მიუდგეს შემოქმედებითად. წერის დაწყებამდე მან კიდევ ერთხელ კარგად უნდა ჩაიხედოს საქმის მნიშვნელოვან დეტალებში, გააკეთოს მოკლე ჩანაწერები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოე-

ბებზე, მოიმარავოს საკანონმდებლო და თეორიული მასალა, მათ შორის, კოდექსებისა და კანონების ბოლო ვარიანტები, ცვლილებებითა და დამატებებით. პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევა, როცა ადვოკატს მითითებული ჰქონდა ნორმა კანონის ძველი რედაქციის მიხედვით, რომელიც უკვე შეცვლილი ან გაუქმებული იყო. ადვოკატის მხრიდან საკითხისადმი ასეთი მიდგომა სასამართლოზე არასერიოზულობის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ადვოკატის მიერ შედგენილ ნებისმიერ საპროცესო დოკუმენტს (შუამდგომლობას და საჩივარს) უნდა ჰქონდეს ნათელი და ლოგიკური სტრუქტურა, რაც ხელს შეუწყობს მოსამართლის და მოწინააღმდეგე მხარის მიერ მის სწორად და ადვილად გააზრებას. თუ ტექსტი ორაზროვნად და ბუნდოვნად იქნება ჩამოყალიბებული, შეიძლება მოსამართლემ სწორად ვერ გაიგოს დაცვის მხარის ნააზრევი, რამაც შეიძლება, ბრალდებულის (მსჯავრდებულის) საზიანოდ შეგავლენა მოახდინოს მოსამართლის გადაწყვეტილებაზე.

შუამდგომლობასა და საჩივარში მოთხოვნის სწორად დაყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) ბედის გადასაწყვეტად. საგამომიებო პრინციპზე დაფუძნებული შერეულ-ინკვიზიციური პროცესისგან განსხვავებით, დისპოზიციურობის პრინციპზე აგებული წმინდა შეჯიბრებითი პროცესის დროს მოსამართლე ვერ გასცდება მოთხოვნის ფარგლებს. ამიტომ სამართლებრივი მოთხოვნა ზედმიწევნით სწორად და ვადებში უნდა იქნეს დაყენებული.

შუამდგომლობისა და საჩივრის შედგენის დროს ყოველთვის დაცულ უნდა იქნეს მართლწერის ზოგადი წესები. აზრი, როგორც წესი, ჩამოყალიბებულ უნდა იქნეს თხრობითი წინადადებების ფორმით. ტექსტში სასვენი ნიშნები დასმული უნდა იყოს სწორად, რადგან ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომები ზოგჯერ შეგავლენას ახდენს აზრის სწორად გადმოცემაზე. კანონის ან სხვა ტექსტის სიტყვასიტყვით გადატანის დროს გამოიყენება ბრჭყალები. ამა თუ იმ საპროცესო დოკუმენტიდან, მაგალითად, მოწმის ჩვენებიდან, დოკუმენტში გადმოტანილი ტექსტები გადმოღებულ უნდა იქნეს ყოველგვარი ცვლილების გარეშე, თუნდაც იგი ორიგინალში

ლიტერატურულად და გრამატიკულად არასწორად იყოს ჩამოყალიბებული.

შუამდგომლობასა და საჩივარში შეიძლება ციტირებულ (მითითებულ) იქნეს თვალსაზრისი სამეცნიერო და პრაქტიკული კომენტარებიდან, როგორც საკუთარი პოზიციის გამყარების საშუალება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმავე დონის ან ზემდგომი სასამართლოს მიერ ანალოგიურ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილების გამოყენება. იგი უფრო დამაჯერებელს და ინფორმაციულს ხდის ადვოკატის მიერ შედგენილ სამართლებრივ ტექსტს. ავტორი უნდა შეეცადოს, რომ ასეთი ციტირება თუ მითითება იყოს მოკლე, გასაგები და სადავო საკითხთან უშუალო შემხებლობაში მყოფი.

არ არის სასურველი შუამდგომლობასა და საჩივარში ზედმეტი ინფორმაციის გადმოცემა ან მეტისმეტად ვრცლად წერა, როცა იგი ხელს არ უწყობს მოთხოვნის არგუმენტების გამყარებას.

სამართლებრივ ტექსტებში შესაძლებელია გავრცელებული აბრევიატურების (შემოკლებების) გამოყენება (მაგალითად, ა.შ., ე.ი., იხ., შეად.). ასევე, შეიძლება, გამოყენებულ იქნეს იურისტებისთვის კარგად ცნობილი აბრევიატურები, მაგალითად, კოდექსების სახელწოდებების შემოკლებები: სსკ (სისხლის სამართლის კოდექსი), სსსკ (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი). რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები, თუკი მათი რაოდენობა ათს არ აღემატება, სასურველია, დაიწეროს ასოებით (ერთი, ორი, სამი, ოთხი და ა.შ.), ხოლო ათზე ზევით – ციფრების გამოყენებით (11, 12, 13, 14, 15 და ა.შ.). რიგითობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები კი, უფრო ხშირად შემოკლებით იწერება (1-ლი, მე-2, მე-3... 21-ე, 22-ე, 23-ე და ა.შ.). არ არის მიზანშეწონილი ტექსტში გაუგებარი ან ძნელად გასაგები შემოკლებების გამოყენება. შუამდგომლობისა თუ საჩივრის ტექსტი უნდა დაიბეჭდოს ფურცლის ცალ გვერდზე, ზოგადი სტანდარტების მიხედვით, შრიფტის ზომის, აბზაცისა და ველის დაცვით.

სამართლებრივი მართლწერის ხუთი პრინციპი

შესავალი

ადვოკატის მაღალი პროფესიონალიზმის ძირითად საზომს, ორატორულ ნიჭთან ერთად, არანაკლები მნიშვნელობით წარმოადგენს იურიდიული მართლწერის უნარ-ჩვევები. ეს უნარ-ჩვევები მან, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოავლინოს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) დაცვის უფლების განხორციელების დროს. სისხლის სამართლის პროცესში ადვოკატს უნდა შეეძლოს წერილობითი ტექსტის საყოფაცხოვრებო და იურიდიული სიტყვებით (ტერმინოლოგიით) ისე დამაჯერებლად და მარტივად გამოხატვა, რომ დადებითი ეფექტი მოახდინოს შუამდგომლობის თუ საჩივრის ადრესატზე. ეს იმას ნიშნავს, რომ მას უნდა შეეძლოს შთაბეჭდილების მოხდენა მოსამართლეზე თუ ნაფიც მსაჯულთა ჟიურიზე არა მარტო კარგად არგუმენტირებული ზეპირი მეტყველების კულტურით, არამედ ასევე წერილობითი შუამდგომლობისა და საჩივრის განმხილველი მოსამართლის დარწმუნება თავისი და დაცვის ქვეშ მყოფი ბრალდებულის (მსჯავრდებულის) პოზიციის სამართლიანობაში. მაშასადამე, ის უნდა იყოს კარგი „მოლაპარაკე“ და ამავდროულად „კარგად უნდა უჭრიდეს კალამი“.

იურიდიული მართლწერა შესაძლებელია არა მარტო ენის ორთოგრაფიისა და გარამტიკის სხვა წესების სრულყოფილი ცოდნით, არამედ, ასევე მოითხოვს ღრმა სამართლებრივ ცოდნაგანათლებასაც. იურიდიული მართლწერის აუცილებელი პირობაა, რომ სამართლებრივი ტექსტი ლიტერატურულად და გრამატიკულად კარგად იყოს ჩამოყალიბებული. მხოლოდ ენობრივად გამართული ტექსტი იძლევა შესაძლებლობას, რომ ავტორის პოზიცია დამაჯერებელი და გასაგები იყოს. ეს არის იურიდიული მართლწერის მხოლოდ ერთი პირობა. ბრალდებულის (მსჯავრდებულის) ინტერესებში არის არა მარტო ის, რომ მოსამართლემ კარგად გაიგოს მისი მოთხოვნის შინაარსი, არამედ ასევე ის, რომ მოსამართლისთვის მისი თვალსაზრისი იყოს სამართლებრივად სწორად არგუმენტირებული. ეს კი, მართლწერის ზოგადი წესების ცოდნასთან ერთად, მოითხოვს

იურიდიულ ცოდნა-განათლებას. სწორედ ამიტომ სისხლის სამართლის პროცესში ბრალდებულის (მსჯავრდებულის) ადვოკატებად გამოდიან იურისტები.

ცნობილია გამართული სამართლებრივი მართლწერის შემდეგი ხუთი პრინციპი:

- ორგანიზებულობა;
- დამაჯერებლობა;
- მართებული ტონი;
- ენის სიმარტივე/მარტივი ლაკონიური წერის სტილი;
- გადასინჯვა.

სამართლებრივი მართლწერის პრინციპების ახსი

I პრინციპი: ორგანიზებულობა

მხარის მიერ შედგენილი საპროცესო დოკუმენტის შედგენა სწორად უნდა იყოს ორგანიზებული. ეს ეხება ასევე ჩვენთვის საინტერესო დაცვის მხარის მიერ ჩამოყალიბებულ შუამდგომლობებსა და საჩივრებს. საპროცესო დოკუმენტის სწორი ორგანიზებულობა მისი დაკმაყოფილების აუცილებელი პირობაა. კარგად შედგენილი დოკუმენტი დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს მოსამართლეზე. შუამდგომლობისა და საჩივრის განმხილველ მოსამართლეს არ უნდა დარჩეს შთაბეჭდილება, რომ იგი ადვოკატმა შეადგინა მოვალეობის მოხდის მიზნით. დოკუმენტის წაკითხვამ მკითხველი უნდა დაარწმუნოს, რომ მის შედგენაზე გარკვეული დრო და ძალისხმევა დაიხარჯა და მიზნად ისახავს კანონიერი და სამართლიანი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიღწევას.

კარგად ორგანიზებული დოკუმენტი ნიშნავს ავტორის მიერ ტექსტის გარკვეული სტრუქტურული თანმიმდევრობით ჩამოყალიბებას, რომლის შინაარსი ასევე წინასწარ კარგად არის მოფიქრებული და ჩამოყალიბებული. სამართლებრივი მართლწერის ამ პირველი პრინციპის დაცვით ტექსტის შედგენა არ არის მხოლოდ იმისთვის, რომ მან მოსამართლეზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინოს.

ნოს. თვით ტექსტის ავტორისთვისაც, რომელმაც წინასწარ კარგად მოიფიქრა ტექსტის სტრუქტურა და შინაარსი, უფრო ადვილია მისი ჩამოყალიბება და გადაამუშავების დროს მასში ცვლილებების შეტანა. როცა ტექსტის ავტორი სამართლებრივი მასალის, სასამართლო პრაქტიკის თუ სხვა ლიტერატურის დამუშავების პროცესში წააწყდება მისთვის საინტერესო ინფორმაციას, რომელიც მას არგუმენტების გამყარებაში დაეხმარება, მისთვის ადვილია ამის საფუძველზე ცვლილების შეტანა გარკვეული ლოგიკური თანმიმდევრობით ჩამოყალიბებულ ტექსტში.

ნებისმიერი ორგანიზებულად ჩამოყალიბებული სამართლებრივი დოკუმენტი შეიცავს რეზიუმეს. მაგალითისათვის ავიღოთ ადვოკატის შუამდგომლობა – „წინასასამართლო სხდომაზე აღკვეთის ღონისძიების – პატიმრობის ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით – პირადი თავდებობით შეცვლის შესახებ“. იგი რეზიუმეს სახით, მოკლედ და გასაგებად უნდა შეიცავდეს ადვოკატის მოთხოვნის ტექსტს, რომელმაც უნდა შეასრულოს ერთგვარი „გზამკვლევის“ როლი მოსამართლისა და მოწინააღმდეგე მხარისათვის, რათა სწორად იქნეს გაგებული და გააზრებული დაცვის მხარის მოთხოვნა. გავრცელებული შეხედულებით, წერილობითი საპროცესო დოკუმენტის, მათ შორის, დაცვის მხარის შუამდგომლობებისა და საჩივრების ტექსტის თხრობითი ნაწილი უნდა შეიცავდეს შემდეგ კომპონენტებს: (1) საკითხი; (2) კანონი; (3) ანალიზი და (4) დასკვნა. მას ქართულად მოკლედ შეიძლება ვუწოდოთ: „სნად“-ი – „საკითხი; ნორმა; ანალიზი; დასკვნა“. იგი, როგორც ლოგიკური აზროვნების სტრუქტურა, საპროცესო დოკუმენტების შედგენისას დამაჯერებელი არგუმენტირების ფორმად გამოიყენება ანგლო-ამერიკულ სამართალში. ინგლისურენოვან ლიტერატურაში „სკად“-ის შესატყვისია IRAC (Issue, Rule, Analysis, Conclusion). როცა ადვოკატი აყალიბებს შუამდგომლობის ან საჩივრის ტექსტს, ყოველთვის ეხება ამ ოთხ კომპონენტს.

პირველი კომპონენტი: (სადავო) საკითხის წარმოჩენა

დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი ნებისმიერი შუამდგომლობა და საჩივარი შეიცავს სადავო საკითხს, რომელიც სამართ-

ლებრივი გზით უნდა გადაწყდეს. მაგალითად, როცა დაცვის მხარეს შეაქვს საჩივარი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების – პატიმრობის უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიებით – გირაოთი შეცვლის თაობაზე, სადავო არა პირის უდანაშაულობა, არამედ აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის შეფარდების კანონიერება. ეს საკითხი არის ამ საპროცესო დოკუმენტის მთავარი „თემა“, რომელსაც ეხება საჩივარი. დანაშაულის ნიშნების არსებობა არ არის ერთადერთი საფუძველი, რის გამოც პატიმრობა უნდა იქნეს გამოყენებული, არამედ იგი უნდა იყოს ერთადერთი საშუალება სსსკ-ის 205-ე მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილი მოსალოდნელი შედეგების თავიდან ასაცილებლად. საჩივრის არსი სწორედ იმის მტკიცებაში უნდა მდგომარეობდეს, რომ მაგისტრატის მოსამართლის მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება არ იყო კანონიერი და დასაბუთებული.

სადავო საკითხის სწორად დასმას დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი შესაძლებლობას აძლევს მოწინააღმდეგე მხარეს, რათა წარმოადგინოს სათანადო არგუმენტები, ხოლო მოსამართლეს უადვილებს პრობლემის გარკვევას და ეხმარება საჩივარში დასმული სადავო საკითხის კანონიერად გადაწყვეტაში.

მეორე კომპონენტი: (კანონის) ნორმის მითითება

დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა და საჩივარი, სადავო საკითხის დაყენებასთან ერთად, უთითებს მოქმედი კანონმდებლობის ამა თუ იმ ნორმაზე (თუ ნორმებზე), რომელიც ეხება საპროცესო დოკუმენტში დაყენებულ სადავო საკითხს. ძირითადად მიეთითება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები, თუმცა შეიძლება ასევე სხვა კანონების მითითებაც. ასევე შეიძლება მოთხოვნის დასაბუთება საქართველოს კონსტიტუციის ან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ნორმებზე მითითებით.

ჩვეულებრივი მოვლენაა სამართლებრივ ტექსტში (შუამდგომლობაში, საჩივარში) სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლის მითითება, რომლითაც პირს წაეყენა ბრალი ან დაედო მსჯავრი. მაგალითად, აღკვეთის ღონისძიების შეცვლის თაობაზე ადვოკატის

შუამდგომლობაში მითითებულია: „ბრალდებულ გ.ბ.-ს ბრალი ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენისათვის“. სააპელაციო საჩივარში მითითებულია: „გ.ო. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით და სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის“.

უფრო ხშირია შუამდგომლობასა და საჩივარში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმების მითითება. მაგალითად, წინასასამართლო სხდომაზე სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ ადვოკატის შუამდგომლობაში მითითებულია, „საქართველოს სსკ-ის 219-ე მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 ნაწილების და ამავე კოდექსის 105-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ვშუამდგომლობ თქვენს წინაშე, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ა.მ.-ის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით, შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა და არ მოხდეს არსებითი განხილვისათვის საქმის გადაცემა, ვინაიდან მის მოქმედებაში არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება“.

მესამე კომპონენტი: ანალიზი

შუამდგომლობასა და საჩივარში მოცემული ანალიზი წარმოადგენს მოთხოვნის არგუმენტაციას. იგი დოკუმენტში, როგორც წესი, ყველაზე დიდ ადგილს იკავებს. მასში მოცემულია როგორც საქმის გარემოებათა აღწერა და კონკრეტულ მტკიცებულებებზე მითითება, ასევე მოსაზრებები და დასკვნები ყველა იმ კონკრეტულ საკითხზე, რომელიც მნიშვნელოვანია შუამდგომლობის ან საჩივრის დასაკმაყოფილებლად. დოკუმენტის ავტორი ცდილობს, ისე დაასაბუთოს თავისი მოთხოვნის კანონიერება, სამართლიანობა და არგუმენტირებულობა, რომ მოსამართლემ დააკმაყოფილოს იგი.

მეოთხე კომპონენტი: დასკვნა

შუამდგომლობასა და საჩივარში მოცემული დასკვნა წარმოად-

გენს მის ერთგვარ სარეზოლუციო ნაწილს. იგი არის მოთხოვნის არგუმენტაციის შეჯამება, რომელიც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, თუ რას და რატომ ითხოვს ავტორი სასამართლოსგან. იგი უნდა იყოს მოკლედ და გასაგებად ჩამოყალიბებული.

II პრინციპი: დამაჯერებლობა

ადვოკატის მიერ შედგენილი ნებისმიერი შუამდგომლობა თუ საჩივარი ჩამოყალიბებულ უნდა იქნეს ისე, რომ მასში მოცემული მოთხოვნის არგუმენტები სასამართლოსთვის დამაჯერებელი იყოს. დამაჯერებლობა დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე. კონკრეტული საქმის მასალებიდან გამომდინარე, ერთ შემთხვევაში ადვოკატისთვის შედარებით ადვილია თავისი მოთხოვნის დასაბუთება, ხოლო მეორე შემთხვევაში უფრო ძნელი. შესაბამისად, ზოგიერთი წერილობითი ტექსტის დამაჯერებლად ჩამოყალიბება ადვოკატისთვის ნაკლებ სიმძნელებთან არის დაკავშირებული და მისგან ნაკლებ დროს მოითხოვს, ზოგიერთი კი, შედარებით შრომატევადია და მეტ დროს მოითხოვს.

ზოგადად, ტექსტის დამაჯერებლობასთან დაკავშირებით არსებობს რამდენიმე მარტივი წესი:

(1) წარმოდგენილ არგუმენტთა დამაჯერებლობა – ადვოკატის მიერ ჩამოყალიბებული ტექსტი უნდა ხასიათდებოდეს სამართლებრივი არგუმენტების მაღალი ხარისხით.

(2) კონკრეტული ფაქტებისა და სამართლებრივი ნორმების მითითებისას შეცდომის დაუშვებლობა – ადვოკატის მიერ ფაქტობრივი ან სამართლებრივი შეცდომის დაშვებამ შესაძლოა, საკვალალო ზეგავლენა მოახდინოს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) მიმართ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე;

(3) სრულყოფილი გამოკვლევის ვალდებულება – ადვოკატმა ბრალდებულის ინტერესებისათვის მის მიერ შედგენილ წერილობით ტექსტში სრულყოფილად უნდა ასახოს საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გამოკვლევის შედეგები, რომელსაც უშუალო შემხებლობა აქვს მის მიერ დაყენებულ მოთხოვნასთან.

ადვოკატის მიერ შედგენილი დოკუმენტის დამაჯერებლობას დიდი ყურადღება ექცევა. ამ საკითხზე დიდად არის დამოკიდებული მისი დაცვის ქვეშ მყოფი ბრალდებულის (მსჯავრდებულის) ბედი.

III პრინციპი: მართებული ტონი

ადვოკატის მიერ ამა თუ იმ წერილობითი ტექსტის შედგენისას ყოველთვის წინა პლანზე დგას მის მიერ წერის მართებული ტონის შერჩევა. ასევე მოეთხოვება ადვოკატს სწორი ტონის შერჩევა სასამართლო პროცესზე ზეპირი გამოსვლის დროსაც. მხარეთა შორის ურთიერთობებს და მათ ურთიერთობას სასამართლოსთან აქვს თავისი გამოხატვის სპეციალური ფორმები, რომელიც სხვადასხვა ენასა და ხალხში ყოველთვის არ არის იდენტური, მაგრამ კულტურული ერებისთვის არსებობს ასეთი ურთიერთობის საერთო წესები.

ადვოკატის მიერ ჩამოყალიბებული წერილობითი ტექსტის ტონი ყოველთვის უნდა იყოს ზომიერი, არ უნდა გამოხატავდეს აგრესიას, ზიზღს, სიძულვილს ადამიანის მიმართ, არ უნდა იყოს პატივისა და ღირსების შემლახველი, არ უნდა იწვევდეს სასამართლოსა და მოწინააღმდეგე მხარის გაღიზიანებას.

IV პრინციპი: ენის სიზარტიზი

ადვოკატი უნდა ცდილობდეს, რომ შუამდგომლობისა თუ საჩივრის წერის დროს ტექსტი ჩამოაყალიბოს შეძლებისდაგვარად მარტივი, არა მარტო მოსამართლის, არამედ ჩვეულებრივი მოქალაქეებისთვისაც გასაგები ენით. მარტივი და იმავდროულად დასაბუთებული წერის სტილის ჩამოყალიბება მოითხოვს პროფესიულ გამოცდილებასა და ინტელექტს. სამართლებრივი დოკუმენტის სიმარტივე არ არის მისი ნაკლის გამოხატულება, არამედ უფრო მის ღირსებაზე მიუთითებს. ადვოკატს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ იგი შუამდგომლობისა და საჩივრის სახით სამეცნიერო ნაშრომს კი

არ ქმნის, არამედ საპროცესო წერილობით ტექსტს, რომელმაც გასაგებად უნდა გადმოსცეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) გასაჭირი და დაიცვას მისი უფლებები, იქნება ეს აღკვეთის ღონისძიების შეცვლა, გაუქმება, თუ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა ან გამართლება.

არ არსებობს საპროცესო ტექსტის შედგენისას აკადემიური წერის საყოველთაოდ აღიარებული სტილი, მაგრამ არსებობს რამდენიმე წესი, რომელიც უნდა იქნეს დაცული: ტექსტის შედგენისას გამოყენებულ უნდა იქნეს რაც შეიძლება მარტივი და მოკლე წინადადებები; სიტყვები შერჩეულ უნდა იქნეს სწორად; არ უნდა იქნეს გამოყენებული უცხოური სიტყვა, სამეცნიერო ტერმინი ან ჟარგონი, თუ არსებობს ქართული შესატყვისი, ასევე – არასალიტერატურო და უწმაწური სიტყვები და გამოთქმები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხდება ვინმეს სიტყვების ციტირება დაცვის პოზიციის უკეთ დასაბუთების მიზნით; თუ ტექსტი დიდია, სასურველია, მისი დაყოფა პუნქტებად და ქვეპუნქტებად. ეს და სხვა სწორი სტილისტური მიდგომა ტექსტის წაკითხვას უფრო საინტერესოს და გასაგებს ხდის.

V პრინციპი: ბალანსიზა

ნებისმიერი სერიოზული იურისტი, მათ შორის, ადვოკატი, წერილობითი ტექსტის ჩამოყალიბების შემდეგ, სანამ მას ხელი მოეწერება და ადრესატს გაეგზავნება, კიდევ ერთხელ გულდასმით კითხულობს და ამოწმებს მას შინაარსობრივად, სამართლებრივად, სტილისტურად, გრამატიკულად. თუ ეს შესაძლებელია, სასურველია, რომ დოკუმენტის პროექტის შედგენის შემდეგ, მისი საბოლოო რედაქტირება მოხდეს დროის გარკვეული მონაკვეთის (რამდენიმე საათის ან დღის) შემდეგ. საბოლოო რედაქტირების დროს, კიდევ ერთხელ უნდა გადამოწმდეს, ხომ არ არის დაშვებული შეცდომა კონკრეტულ ფაქტებთან ან სამართლებრივი ნორმის მითითებასთან დაკავშირებით, არის თუ არა სრულყოფილად ჩამოყალიბებული მოთხოვნის არგუმენტაცია, ხომ არ არის დაშვებული სტილისტურ-

გრამატიკული შეცდომები და ა.შ. დასვენებული თვალი და გონება უკეთესად ამჩნევს დოკუმენტის ნებისმიერ ხარვეზს. ამა თუ იმ დაწერილ ტექსტში, რომელიც არ არის საბოლოოდ რედაქტირებული, ყოველთვის რჩება გარკვეული ხარვეზი, რომელიც შეძლებისდაგვარად უნდა იქნეს აღმოფხვრილი, რომ ამით უზრუნველყოფილ იქნეს დოკუმენტის წერის მაღალი აკადემიური ხარისხი.

შეჯამება

სამართლებრივი მართლწერის საფუძვლები მოითხოვს, რომ დაცვის მხარის მიერ კარგად დაწერილი შუამდგომლობა და საჩივარი არ უნდა იყოს ბუნდოვანი ან ორაზროვანი, არამედ მასში დაყენებული მოთხოვნა და მოთხოვნის არგუმენტაცია ადვილად გასაგები სასამართლოსა და მეორე მხარისათვის. ყველა არგუმენტი და მოსაზრება უნდა იყოს ლოგიკური და მოიცავდეს სამართლებრივი მოთხოვნისთვის მნიშვნელოვან ყველა საკითხს. საჩივრის ავტორმა არაერთხელ უნდა გადაამოწმოს საქმის ყველა ფაქტობრივი გარემოება და სამართლებრივი ნორმა, რომელსაც იყენებს ამა თუ იმ შუამდგომლობასა თუ საჩივარში. მოყვანილი ფაქტები და გამოყენებული ნორმები ლოგიკურად უნდა იყოს ერთმანეთთან კავშირში. ტექსტი არ უნდა შეიცავდეს ჟარგონებს და არ უნდა იყოს გადატვირთული ზედმეტი დეტალებით. იგი უნდა გამოხატავდეს კეთილგანწყობილებას ტექსტის ადრესატისა და ბრალდების მხარის მიმართ და მკითხველი უნდა განაწყოს თანაგრძნობით. მას უნდა ჰქონდეს კარგი სტრუქტურული აგებულება. წერის დროს დაცული უნდა იყოს სტილი და სწორად გამოყენებული გრამატიკული წესები.

სამართლებრივი დოკუმენტების მართლწიკა² დამაჯერებელი სამართლებრივი წერის პრინციპები

პრინციპი 1. დოკუმენტის ორგანიზაციულობა

უდავოა, რომ საპროცესო დოკუმენტის სწორი ორგანიზაცია არა მარტო კარგ შთაბეჭდილებას უქმნის მის მკითხველს, არამედ ასევე არწმუნებს მას, რომ პროკურორმა/ადვოკატმა გარკვეული დრო და ძალისხმევა დაუთმო სამართლებრივ დოკუმენტში ასახულ საკითხებს, რათა საპროცესო დოკუმენტი უფრო კითხვადი გახდეს სასამართლოსათვის ან თუნდაც მეორე მხარისათვის. ეს ყოველთვის დადებითად შეფასდება; მაგრამ ორგანიზებულობა არ არის მხოლოდ მკითხველისათვის განკუთვნილი. ისევე, როგორც თქვენს სამუშაო მაგიდაზე არსებული წესრიგი საშაულებას გაძლევთ, სწრაფად მოძებნოთ თქვენთვის საჭირო დოკუმენტი და ნივთი, კარგად ორგანიზებული დოკუმენტი, რომელიც თქვენთვის კარგად მოფიქრებულ და ცნობილ სტრუქტურას მიჰყვება, თქვენთვის უფრო ადვილს გახდის როგორც დოკუმენტის შედგენას, ისე მასში შესწორებების შეტანას, დამატებითი ინფორმაციისა თუ არგუმენტის ასახვას, ან თუნდაც დოკუმენტის რედაქტირებას.

მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო დოკუმენტის ორგანიზებულობის მოთხოვნა დავას არ უნდა იწვევდეს, ამგვარი ორგანიზებულობის ხარისხი ხშირად პირდაპირ იქნება დამოკიდებული თვით საპროცესო დოკუმენტის სტანდარტულ ფორმაზე ან ზუსტად დადგენილი საპროცესო კანონმდებლობის პირდაპირი მოთხოვნებით. მაგალითად, აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესახებ შუამდგომლობა მკაცრად დადგენილ ფორმას მიჰყვება; შუა-

2 „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისი მდლობას უხდის ბ-ნ გიორგი ჯოხაძეს, წინამდებარე ქვეთავში მოცემული მასალის გამოყენების ნებართვისათვის. აღნიშნული მასალის რედაქტირება განხორციელდა „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისის მიერ.

მდგომლობა მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის თაობაზე უფრო „თავისუფალ“ ფორმატს სთავაზობს; ხოლო სააპელაციო საჩივარი პროკურორის/ადვოკატის შემოქმედებითი და ანალიტიკური უნარ-ჩვევების გამოხატვის ყველაზე თავისუფალ ფორმას წარმოადგენს. ამ განხილვის მიუხედავად, ყოველი საპროცესო დოკუმენტი შეიცავს „არგუმენტაციისათვის“ სპეციალურად გამოყოფილ ველს, რომელშიც, დოკუმენტის „მკაცრი“ თუ „თავისუფალი“ ფორმის მიუხედავად, მხარის მიერ მოყვანილი ფაქტები და არგუმენტები კარგად ორგანიზებული უნდა იყოს. შესაბამისად, ქვემოთ აღნიშნული სქემები და პრაქტიკული მითითებები ზოგადი გამოყენებისაა; ამასთან, ყოველი კონკრეტული საპროცესო დოკუმენტის შედგენისა და არგუმენტების თავისებურება განხილული იქნება კონკრეტული საპროცესო დოკუმენტების შევსების თავისებურებებზე საუბრის დროს.

საპროცესო დოკუმენტის სწორი ორგანიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია მოკლე რეზიუმეს წინასწარ შემუშავება. მაგალითად, თუ პროკურორი/ადვოკატი ადგენს შუამდგომლობას, რომელიც საკმაოდ ბევრ მტკიცებულებით საკითხს მოიცავს, უმჯობესია, ეს რეზიუმე ძირითადი ფაქტების ჩამონათვალის ფორმას ატარებდეს.

დროთა განმავლობაში, როდესაც ამგვარი მოკლე, წინასწარი რეზიუმე უკვე ჩვევად ჩამოყალიბდება, შესაძლებელია თვით რეზიუმეს გამოყენება რამდენიმე მიზნით. ჯერ ერთი, თუ საპროცესო დოკუმენტის ფორმატი ამის საშუალებას გაძლევთ, რეზიუმე შეგიძლიათ თვით საპროცესო დოკუმენტში ასახოთ სწორედ იმ გავრცობილი ტექსტის წინ, რომლის რეზიუმირებასაც ახდენთ.

თვით საპროცესო დოკუმენტის ან მისი ნაწილის არგუმენტაცია შემდეგ სტრუქტურას უნდა მიჰყვებოდეს:

- 1) საკითხი;
- 2) კანონი;
- 3) ანალიზი;
- 4) დასკვნა.

ანუ, მოკლედ რომ ვთქვათ, „სკად“-ი.³

ახლა კი უფრო დეტალურად მიმოვიხილოთ თითოეული ელემენტი.

საკითხი: საპროცესო დოკუმენტის მთავარი „თემა“, ანუ რას ეხება საქმე ან საქმის გარემოებათა ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია საპროცესო დოკუმენტის არსთან. ეს შესაძლებელია იყოს დანაშაულის კვალიფიკაციის ასახვა შედარებით მარტივ ენაზე და გასაგები ფორმატით (მაგალითად, „ბრალდებული ყაჩაღურად თავს დაესხა დაზარალებულს“). ამით თქვენ მკითხველს გარკვეულწილად აძლევთ მიმართულებას – რას უნდა მიაქციოს ყურადღება, რას ეხება პროკურორის/ადვოკატის მიერ მოყვანილი მოსაზრებები, რის თაობაზე იდავებთ. საკითხის ჩამოყალიბებით თქვენ მკითხველს – უმეტესწილად მოსამართლეს – აჩვენებთ არა მარტო თქვენს პროფესიონალიზმს საპროცესო დოკუმენტების შედგენაში, არამედ თავიდან აცილებთ მკითხველის მიერ ტექსტის რამდენჯერმე წაკითხვას მისი ძირითადი საკითხის გასარკვევად, რაც დააჩქარებს მკითხველის მიერ გადაწყვეტილების მიღებას.

კანონი: საკითხის მითითების შემდეგ, პროკურორმა/ადვოკატმა უნდა გააკეთოს მითითება სამართლის იმ ნორმებზე, რომელიც მოცემულ საკითხს არეგულირებს. მაგალითად, თუ საკითხი ეხება მკვლელობის ფაქტს, მაშინ კანონის ნაწილში უნდა იქნეს მითითებული, რომ „ამგვარი ქმედების დასჯადობა გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით (მუხლის ნომერი, ნაწილი, ქვეპუნქტი და მუხლის სათაური სრული მოცულობით)“, სხვა კანონის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში „პირმა, კონკრეტული ქმედების ჩადენის გზით, დაარღვია კანონის მოთხოვნები“ (კანონის დასახელება სრული მოცულობით, მუხლის, ნაწილის, ქვე-

³ ლოგიკური ორგანიზაციის ფორმა „საკითხი, კანონი, ანალიზი, დასკვნა“ საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში გამოიყენება საერთო სამართლის ქვეყნებში საპროცესო დოკუმენტების შედგენისა და დამაჯერებელი არგუმენტირებისათვის. ინგლისურენოვან ლიტერატურაში ის მოიხსენიება როგორც IRAC (Issue, Rule, Analysis, Conclusion) და ამ სტრუქტურის ქართული თარგამიც და აბრევიატურა „სკად“-ი ზუსტად მიჰყვება მის შინაარსს.

პუნქტი ნომერი და მუხლის სათაური). კონკრეტულ სამართლებრივ ნორმაზე მითითების მრავალი ვარიანტი არსებობს და, რა თქმა უნდა, ზემოთ მოყვანილი ჩამონათვალით ვერ შეიზღუდება – პროკურორი/ადვოკატი აარჩევს ნორმის მითითების ფორმას საქმისა და კანონის სპეციფიკიდან გამომდინარე; თუმცა, ნორმის მითითებისას, მხარეს სიფრთხილე მართებს. ჯერ ერთი, ნორმაზე მითითება სწორი უნდა იყოს; ნორმის შინაარსი თუ ნუმერაცია შეიძლება შეიცვალოს საკანონმდებლო ცვლილებით, ან, უფრო გვიან მომავალში, არსებობდეს ამ ნორმის განმარტების სასამართლო პრეცედენტი, ანდა ნორმა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს რომელიმე საერთაშორისო ვალდებულებას. აქ მთავარ პრინციპად უნდა იქცეს ნორმის არსებული რედაქციის სისწორისა და კანონიერების (ან თუნდაც მოქმედების) ასპექტების გადამოწმების აუცილებლობა, ვიდრე მეხსიერებაზე დაყრდნობა, თუნდაც ეს პროკურორის/ადვოკატის მრავალწლიანი გამოცდილებით იყოს ნაკარნახევი. მერე მეორე, კანონზე მითითება არ უნდა იყოს ზედმეტად მშრალი და ფორმალური. ფორმალუზმის თავიდან აცილებისა და მარტივი ენის გამოყენების აუცილებლობაზე ამ სახელმძღვანელოს შემდეგ თავებში გვექნება საუბარი, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოთხოვნა თვით კანონის ციტირებაზეც ვრცელდება. მაგალითად, კანონის ზედმეტად გრძელი ან რთული დასახელება შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთხელ, მაგრამ ხელმეორედ უნდა გამოიყენოთ მისი შემოკლებული ვერსია (მაგ., „საპროცესო კოდექსი“, „ტრეფიკინგის შესახებ კანონი“ ან „კონვენცია წამების წინააღმდეგ“), რაც მკითხველს გაუადვილებს თქვენი ტექსტის წაკითხვას.

დაბოლოს, კანონის ნორმის მითითება საკმარისი არ არის – უნდა იქნეს მითითებული ნორმის შინაარსიც. ზოგიერთი იურიისტი ამ მიდგომის საპირისპიროდ განაცხადებს, რომ შინაარსის მითითება შეიძლება ზედმეტი იყოს, ვინაიდან სასამართლოსაც და მხარესაც შეეძლება კანონის კონკრეტული ნორმების წაკითხვა და მათი შინაარსის გააზრება. ამგვარი მიდგომა ზოგადად არასწორია იმის გამო, რომ, კანონის სრულყოფილი ცოდნის შემთხვევაშიც კი, ნორმის შინაარსის მოყვანა ზედმეტად არ გადატვირთავს მკითხველს და, რაც მთავარია, არ გააწყვეტინებს მას მსჯელობის ლოგიკურ ჯაჭვს.

მკითხველს არ მოუწევს მეხსიერების დადაბვა ან თუნდაც კანონის ტექსტის მოძიება, რითაც თქვენი მოსაზრებების უწყვეტად მიწოდებისა და საბოლოო დამაჯერებლობის გაზრდის შესაძლებლობა გექმნებათ.

ანალიზი: ეს არის დოკუმენტის ან დოკუმენტის ნაწილის ყველაზე მოცულობითი და ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელშიც თავი უნდა მოიყაროს არა მხოლოდ კონკრეტულ მტკიცებულებებზე მითითებამ ანდა საქმის გარემოებათა აღწერამ, არამედ მხარის მოსაზრებებმა და დასკვნებმა ყველა იმ კონკრეტულ საკითხზე, რომელიც რელევანტურია საპროცესო დოკუმენტის ან მისი კონკრეტული ნაწილის ფარგლებში. მაგალითად, აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების მოთხოვნის შემთხვევაში, საკითხის („ბრალდებულის მიმართ, მიმალვის საფრთხის არსებობის გამო, დაპატიმრების გამოყენების აუცილებლობა“) და კანონის (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლის (მუხლის სათაური) და ამავე კოდექსის 153-ე მუხლის (მუხლის სათაური) და 160-ე მუხლის (მუხლის სათაური)) მოთხოვნათა გათვალისწინებით, რომლებიც განსაზღვრავენ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძვლებს“ აღნიშვნის შემდეგ, პროკურორი უნდა გადავიდეს ბრალდებულის მიერ სავარაუდოდ ჩადენილი ქმედების მოკლე აღწერაზე, პროკურორის მოსაზრებებზე მისი პიროვნული თვისებების შესახებ და საბოლოოდ ჩამოაყალიბოს საკუთარი პოზიცია შესარჩევ აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებით, რომელიც უნდა განამტკიცოს ბრალდების ხელთ არსებული მტკიცებულებებით და, პირიქით: ადვოკატის მიერ აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესახებ შუამდგომლობის შედგენისას, ადვოკატმა უნდა მოახდინოს ქმედების მოკლე აღწერა, მის მოსაზრებებზე ბრალდებულის პიროვნული თვისებების შესახებ და საბოლოოდ ჩამოაყალიბოს საკუთარი პოზიცია აღკვეთის ღონისძიების შეცვლასთან ან გაუქმებასთან დაკავშირებით, რომელიც უნდა განამტკიცოს მის ხელთ არსებული მტკიცებულებებით.

მიუხედავად ერთი შეხედვით იმ „სტილისტური თავისუფლებისა“, რომელიც პროკურორს/ადვოკატს, როგორც სამართლის

პროფესიონალს, გააჩნია საპროცესო დოკუმენტით ნაკარნახევი საკითხების ანალიზის ნაწილში, არსებობს მთელი რიგი საფრთხეებისა („მახეებისა“), რომელთაც პროკურორმა/ადვოკატმა თავი უნდა აარიდოს საკუთარი არგუმენტების ჩამოყალიბებისას. პირველ რიგში, უნდა იქნეს მოძებნილი სათანადო ბალანსი არსებული მტკიცებულებების სრულყოფილად მოყვანის სურვილსა და საპროცესო დოკუმენტის ანალიტიკური ნაწილის შედარებით ლაკონიურობას შორის. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ, სრულყოფილი მტკიცებულების და ზოგადად მხარის მყარი პოზიციის პირობებში არგუმენტაციის ნაწილის მოკლედ და ლაკონიურად ჩამოყალიბება არ არის მარტივი საქმე. როგორც პროფესიონალ იურისტს, პროკურორს/ადვოკატს ამომრავებს თავისი მოსაზრებების სრულყოფილად ჩამოყალიბების სურვილი და ამით ხშირად შესაძლებელია თავი ვერ აარიდოს განსაკუთრებით გრძელი და გადატვირთული პასაჟების წარმოჩენას არგუმენტაციის ნაწილში; ამიტომაც საჭიროა დამატებითი სამუშაოს ჩატარება განსაკუთრებით მოცულობითი არგუმენტების აუცილებელ მინიმუმადე დასაყვანად. ამის მიზეზი იგივეა, რაც სასამართლოსთან ზეპირი ურთიერთობის უნარ-ჩვევების კონტექსტში: თუ „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის“, ამით მსმენელის ყურადღება ყოველთვის ფოკუსირებული რჩება მოსაუბრის სიტყვის შინაარზე, და ის შესაბამისად არ დაკარგავს ინტერესს საქმესთან დაკავშირებულ საკითხებში. ანალოგიური მოსაზრებები გამოიყენება წერილობითი მოსაზრებებისათვის: წინასასამართლო სტადიის მოსამართლეები, ისევე როგორც სააპელაციო ინსტანციის მოსამართლეები, საკმაოდ დატვირთული არიან სამუშაოთი და მრავალი დოკუმენტის წაკითხვა და გააზრება უწევთ. შესაბამისად, პროკურორმა/ადვოკატმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს საპროცესო დოკუმენტის ლაკონიურობას, კერძოდ:

საპროცესო დოკუმენტიდან, განსაკუთრებით მისი საარგუმენტაციო ნაწილიდან, ამორიცხოს ყველა ის სიტყვა, განსაკუთრებით ზედსართავები, რომლებიც ყოველგვარი აუცილებლობის გარეშე ტვირთავს წინადადებებს. მაგალითად: „ვინაიდან ნათელია, რომ ბრალდებულს ფაქტობრივად გააჩნია საკმარისი მატერიალური სახსრები გიროს შესაბამისი თანხის უზრუნველსაყოფად, სასამართლომ უნდა

მიიღოს ერთადერთი შესაძლო გადაწყვეტილება, კერძოდ, ბრალდებულის მიმართ შეცვალოს აღკვეთის ღონისძიება დაპატიმრება – გიროთი“. ამავე წინადადების „შემსუბუქებული“ ვერსია: „ვინაიდან ბრალდებულს გააჩნია საკმარისი სახსრები გიროს თანხის უზრუნველსაყოფად, სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების დაპატიმრების – გიროთი შეცვლის თაობაზე“ – ზუსტად იმავე დამაჯერებლობის ხარისხის მატარებელია და ისევე ნათლად წარმოსახავს ადვოკატის პოზიციას, ოღონდ შედარებით კითხვად და მარტივ ფორმატში.

საპროცესო დოკუმენტიდან ასევე უნდა ამორიცხოთ ყველა ის არგუმენტი, რომელიც არ არის საჭირო დოკუმენტის საბოლოო ვერსიაში. ხშირად, იურისტები, საპროცესო დოკუმენტების შედგენისას, იყენებენ „შუალედურ“ ან „საწყის“ არგუმენტებს, რომლებიც მათ ეხმარებათ საბოლოო, დასაბუთებული არგუმენტებისა და მოსაზრებების ჩამოყალიბებაში – ე.წ. „სამშენებლო მასალა“ სრულყოფილი და დასრულებული არგუმენტირებისათვის. ეს არის ანალიტიკური აზროვნების აუცილებელი პროცესი, რომელსაც მიყვავართ სასურველ შედეგამდე; მაგრამ, ამ შედეგის, ანუ დასრულებული არგუმენტების ჩამოყალიბების შემდეგ, საჭიროა ამგვარი „საწყისი“ და „შუალედური“ მოსაზრებების გაცხრილვა. ამგვარი გაცხრილვის პრინციპი მარტივია: თუ თქვენი საბოლოო არგუმენტი საკმარისი და თვითმყოფადია დამატებითი არგუმენტების გარეშე, სჯობს, წაშალოთ ყველა არასაჭირო მოსაზრება.

საარგუმენტაციო ნაწილის ორგანიზებისას, ყურადღება მიექცეით ფაქტობრივი გარემოებების აღწერას ან სამართლებრივი პრინციპის (ნორმის) არსებობას, რომელთანაც რამდენიმე არგუმენტი არის დაკავშირებული. თუ ასეთ რამეს ადგილი აქვს, სჯობს, თქვენი საარგუმენტაციო ნაწილი ისე იქნეს ორგანიზებული, რომ ამგვარი ნორმა ან ფაქტობრივი გარემოება მხოლოდ ერთხელ იქნეს მოყვანილი; შესაბამისად, თქვენი არგუმენტები დაჯგუფდება ამგვარი არგუმენტის ან ნორმის ირგვლივ. საქმეთა აბსოლუტურ უმეტესობაში, ამგვარი ორგანიზება ყველაზე ლოგიკურია თვით საქმის გარემოებებიდან გამომდინარე: პროკურორის/ადვოკატის მოსაზრებები და არგუმენტები ხომ სწორედ კონკრეტულ ფაქტებსა და

კანონის მოთხოვნებს ემყარება; მიუხედავად ამისა, ამგვარი სტრუქტურისაგან გადახვევა დაშვებულია, თუ ამას მხარის პოზიციის ორგანიზაციის ლოგიკა მოითხოვს.

დასკვნა: საპროცესო დოკუმენტის ან მისი საარგუმენტაციო ნაწილის დასკვნა, რომელიც არის არგუმენტებისა და მოსაზრებების ერთგვარი შეჯამება, ანალიზის მსგავსად, ასევე ლაკონური უნდა იყოს. დასკვნაში პროკურორი/ადვოკატი მოკლედ, განზოგადებული სახით აყალიბებს იმ ძირითად არგუმენტებს, რომლებიც მოყვანილია ანალიზის ნაწილში, და აკეთებს საერთო დასკვნას იმ საკითხის თაობაზე, რომელიც ცენტრალურია საპროცესო დოკუმენტისათვის, და ამით აჯამებს პროკურორის/ადვოკატის ზოგად პოზიციას კონკრეტული საპროცესო მოქმედების განხორციელების ან/და განუხორციელებლობის შესახებ.

არსებობს სამართლებრივი დოკუმენტის ლოგიკური ორგანიზების სხვა სქემებიც, რომლებიც უფრო დახვეწილი და რთულია. ამასთან, „სკად“-ის ზემოთ მოყვანილი სტრუქტურა, ჩვენი აზრით, მაქსიმალურად მარტივია და ამასთან, დაბალანსებულია პროკურორის/ადვოკატის მიერ შესადგენი საპროცესო დოკუმენტების ყოველდღიურ სპეციფიკასთან, და მისი თანმიმდევრული განხორციელება უმეტეს შემთხვევაში ბრალდების/დაცვის წარმატების საწინდარი და პროკურორის/ადვოკატის პროფესიონალიზმის მაჩვენებელია.

ამასთან, ხშირი არის შემთხვევები, როდესაც პროკურორს/ადვოკატს მოუწევს მეორე მხარის მიერ შედგენილ საპროცესო დოკუმენტზე პროცესით დადგენილ ფარგლებში პასუხის გაცემა (მაგალითად, შესაგებლის ან საპასუხო საჩივრის ფორმით). ამ შემთხვევაში, თუ მეორე მხარის საჩივარი არსებით საკითხებს ეხება და საჭიროა მეორე მხარის მოსაზრებების გაბათილება, შეიძლება საჭირო გახდეს პროკურორის/ადვოკატის კონტრარგუმენტების ჩამოყალიბება სწორედ იმ სტრუქტურის მიხედვით, რომელიც მეორე მხარემ აირჩია. ამგვარი აუცილებლობა, როგორც წესი, არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად დახვეწილია მეორე მხარის მიერ შემოთავაზებული სტრუქტურა ან საერთოდ მოიპოვება თუ არა რაიმე სტრუქტურა დაცვის მხარის არგუმენტებში. მოწინააღ-

მდევე მხარის მიერ წამოჭრილი საკითხების თანმიმდევრულად განხილვა და გაბათილება გადაწყვეტილების მიძღვებ მოსამართლეს გაუადვილებს იმ საკითხების ანალიზს, რომელიც ჩამოყალიბებულია როგორც თქვენი მოწინააღმდეგის, ისე თქვენ მიერ შედგენილ საპროცესო დოკუმენტში. ამით თქვენი არგუმენტების დამაჯერებლობა უფრო მეტ ხარისხს შეიძენს.

სამართლებრივი დისკუსიის სტრუქტურა

„სკად“-ის ფორმულა
(ინდუქციური მეთოდი – საერთო სამართალი)

„სკად“ (საკითხი, კანონი, ანალიზი და დასკვნა) წარმოადგენს სამართლებრივი ანალიზის ფუნდამენტურ საფუძველს. ეს არის პროცესი, რომლის მეშვეობითაც ყველა იურისტი ფიქრობს ნებისმიერ სამართლებრივ პრობლემაზე, „სკად“-ის მშენიარება მდგომარეობს იმაში, რომ იგი საშუალებას გაძლევთ დაიყვანოთ კანონის სირთულეები პირველი ხარისხის განტოლებამდე.

საკითხი: რომელმა ფაქტებმა და გარემოებებმა მოიყვანეს ეს მხარეები სასამართლოში?

კანონი: რომელი სამართლებრივი ნორმით იმართება ეს საკითხი?

ანალიზი: გამოიყენება თუ არა ეს ნორმა ამ ფაქტებთან მიმართებაში?

დასკვნა: როგორ ახდენს სასამართლო გადაწყვეტილება სამართლის ნორმის მოდიფიცირებას?

კანონის ლოგიკა.

პრეცედენტული სამართალი, კანონის წაკითხვა და კონსტიტუციური ინტერპრეტაცია⁴

სამართლებრივი ნორმები ხშირად ორაზროვანი ან გაუგებარია. თუ ამ აზრს დავეთანხმებით, მაშინ სამართლებრივი საფუძვლების მექანიზმი საშუალებას აძლევს საზოგადოებას მონაწილეობა მიიღოს კანონის ფორმირებაში. ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლო გადაიქცევა სხდომად, სადაც მოხდება სამართლებრივი გაურკვევლობების დადგენა და გადაჭრა „საზოგადოების ნების“ ფონზე, რომელიც სახელმწიფო პოლიტიკაშიც გამოიხატება.

რაც შეეხება პრეცედენტულ სამართალს, მთავარ მოდელს წარმოადგენს მსჯელობა ანალოგიის მიხედვით, ანუ საქმეები. სამართლებრივი დასაბუთება წარმოადგენს სამსაფეხურიან პროცესს:

ხდება განსახილველი საქმის შედარება ანალოგიურ, ადრე განხილულ საქმესთან;

მტკიცება (განცხადება), რომელიც აღწერს, თუ რატომ გადაიქცა პირველი საქმე სამართლის ნორმად;

პირველი საქმისთვის დამახასიათებელი სამართლის ნორმა გამოიყენება მიმდინარე საქმესთან მიმართებაში.

წესების აღმოჩენა ხდება მსგავსებისა და განსხვავების დადგენის პროცესში. მიუხედავად ამისა, ეს არის დინამიკური პროცესი, რომლის დროსაც ხდება კლასიფიკაციის შეცვლა მისი განხორციელების პარალელურად. წესები იცვლება მათი დადგენის პარალელურად. კატეგორიები რჩება ორაზროვანი, რათა შესაძლებელი იყოს მათი შემდგომი შეცვლა. ეს ეხება არა მარტო პრეცედენტულ სამართალს, არამედ კანონებსა და კონსტიტუციას. რადგან გამოყენებულ სიტყვებს შეიძლება გაუჩნდეთ ახალი მნიშვნელობები.

სასამართლო მოითხოვს კონკურენტული (შეჯიბრებითი) მაგალითების წარმოდგენას. მხარეებს, მაგალითებისა თუ ანალოგიების მეშვეობით, სასამართლოზე გამოაქვთ საზოგადოების საერთო შეხედულებები. სასამართლოზე შეიძლება საჭირო გახდეს ზოგიერთი აზრის მრავალჯერ მოსმენა მანამ, სანამ ის მისაღები გახ-

4 ამ ტექსტში მოკლედ არის გადმოცემული ი. ლევის „სამართლებრივი საფუძვლების წინასიტყვაობა“ (1949 წ.), ჩიკაგოს უნივერსიტეტის პრესა

დება. ზოგიერთი აზრი შეიძლება საერთოდ არ იქნეს მიღებული. ის აზრები, რომლებზეც ერთხელ უკვე ითქვა უარი სასამართლოზე, შეიძლება მისაღები გახდეს უკვე მიღებულ სხვა აზრებთან ერთად. მთლიანობაში, მათ შეიძლება ჩაანაცვლონ აზრების ადრეული კატეგორია. ამ პროცესში, საზოგადოებისა და სოციალური მეცნიერებების აზრები, მიუხედავად მათი მართებულობისა, აკონტროლებენ სამართლებრივ დისკუსიებს, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილება, თავისი პოზიციით, გავლენას ახდენს საზოგადოების შეხედულებასა და ქცევაზე.

ორაზროვნება გარდუვალია კონსტიტუციებში, კანონებსა და პრეცედენტულ სამართალში. ამგვარად, ანალოგიის შესაბამისად მსჯელობა სამივე შემთხვევაში მუშაობს. მაგრამ არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება. ის, რასაც სასამართლო ამბობს, არის *მოსამართლის აზრი* (შეხედულების ოფიციალური გამოხატვა); ის, რასაც კანონმდებლობა ამბობს – არის *სტატუტი, კანონი*. კანონის მიზნების ინტერპრეტირების პროცესში მოსამართლის აზრები განსხვავდება ჩვეულებრივი შეხედულებებისგან; ისინი აყალიბებენ კანონის კურსს. ანუ, ისინი მიმართულებას აძლევენ კანონს და შემდგომ საქმეებში მსჯელობა მჭიდროდ არის მიბმული ამ შენიშვნებთან. ამ თვალსაზრისით, სასამართლოები ნაკლებად თავისუფალი არიან კანონის გამოყენების კუთხით, ვიდრე პრეცედენტული სამართლის გამოყენებისას. ამან შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ სასამართლოებმა მიმართონ კონსტიტუციას, როგორც ადრეული საქმეების ანულირების გამართლების საშუალებას, რომელთა დროსაც მოხდა კანონის არასწორი ინტერპრეტაცია.

პრეცედენტულ სამართალში, სამართლებრივი კონცეფციების მოქმედების საილუსტრაციოდ, ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ „არსებითად საშიში ნორმა“. ეს ეხება პროდუქტის გამყიდველის (S) პოტენციურ ვალდებულებებს, რომელიც ზიანს აყენებს არა პირველ მყიდველს

(B) არამედ მესამე მხარეს (T), რომელიც B-სგან ყიდულობს. თავდაპირველად, B-ს არანაირი პრეტენზია არ გააჩნდა S-ს მიმართ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროდუქტი შესაძლოა საშიში ყოფილიყო. 1816 წლიდან მოყოლებული, გამონაკლისი მრავალ

საქმეში გადაიქცა ნორმად, ანუ ვალდებულების მთავარ პრინციპად. ქვევით გთავაზობთ სამართლებრივი მსჯელობის ისტორიას:

პროდუქტი, რომელიც საშიში გახდა მოუვლელობის გამო (ამასთან, საშიში პროდუქტის სამართლებრივი განმარტების არანაირი მცდელობა).

განსხვავება ამ ორ შემთხვევას შორის: „საშიშია იმის გამო, რაც უშუალოდ S-მ გააკეთა“ და „საშიშია, იმის გამო, რასაც სხვა პირი აკეთებს.“

განსხვავება ამ ორს შორის: „საშიშია თავისი ბუნებით“ და „საშიშია, რადგან არ გააჩნია სწორი სტრუქტურა.“

განსხვავების სამართლებრივი პრინციპი ამ ორს შორის „თავისი არსით საშიში“ და „საშიში ხდება მთავარი, მაგრამ დაუნახავი პრობლემის გამო“ (მაგალითად, დატენილი თოფი მოხვდება პირველ კატეგორიაში, ხოლო გაფუჭებული ნათურა – მეორე კატეგორიაში).

მოგვიანებით, ამ სამართლებრივი პრინციპის გამოყენებისას, სასამართლომ განასხვავა „საშიში თავისი არსით“ და „გარდუვალად საშიში“. ეს ბოლო კატეგორია მოიცავდა დატენილ თოფს, გაფუჭებულ ნათურას, არასწორი ეტიკეტის მქონე საწამლავს და შამპუნს, რომელიც მოიცავდა კანის გამაღიზიანებელ ნივთიერებას, აგრეთვე გაფუჭებულ ხარაჩოებს, მაგრამ არა გაფუჭებულ ვაგონებს, ნათურებს, ბორბლებს თუ ბოილერს.

მომდევნო განვითარებას ადგილი ჰქონდა მაშინ, როდესაც გასკდა გაზირებული წლით სავსე ბოთლი: სასამართლომ დაამატა: „როდესაც რაღაცა იმყოფება საშიშ მდგომარეობაში, რაც არ არის დაკავშირებული მის გამოყენებასთან.“ ამ სიას დაემატა ყავის ასადულებელი აპარატიც, რომელიც აფეთქდა. სასამართლომ განმარტა, რომ თავისი ბუნებით საშიშ ნივთთან მიმართებაში S პასუხისმგებელია მის ცუდ კონსტრუქციაზე, რაც, არსებით მახასიათებლებზე დამატების შემთხვევაში, გარდუვალად საშიშს ხდის ამ ნივთს.

ამჟამად „საშიშის“ კონცეფციამ მოიცვა დატენილი თოფი (სავარაუდოდ), გაფუჭებული თოფი, არასწორი ეტიკეტის მქონე საწამლავი, ცუდი შამპუნი, ხარაჩო, ყავის მოსადულებელი აპარატები და გაზირებული წყლის ბოთლი; „არასაშიშმა“ კატეგორიამ მოიცვა ცუდი ვაგონი, ფეთქებადი ნათურა, ავტომატური მჭრელის გაფუ-

ჭებული ნაწილი და ცუდი ბოილერი. ამის საფუძველზე, როდესაც S-მ გამოუშვა მსუბუქი ავტომანქანა და მიჰყიდა ის B-ს (მანქანების დილერს), რომელმაც მიჰყიდა ის T-ს, რომელიც დაშავდა, როდესაც მანქანას ბორბლის დისკი გაუტყდა და T-მ ვერ შეძლო კომპენსაციის მიღება S-დან.

ამის შემდეგ, მოკლე ხანში, სასამართლომ განიხილა ანალოგიური საქმე და T-მ წარმატებას მიაღწია. ამასთან დაკავშირებით სასამართლომ გააკეთა კომენტარი და აღნიშნა: „ძველი პრეცედენტები დღევანდელ გარემოებებს არ მიესადაგება“; შემდეგ განმარტა: „პრინციპი არ იცვლება, მაგრამ ის, რასაც პრინციპი ეფუძნება, იცვლება.“ ამგვარად, სასამართლომ განავრცო „არსებითად საშიშის“ მნიშვნელობა, მოხსნა რა ამ მნიშვნელობაზე ადრე არსებული აკრძალვები.

მოგვიანებით დადასტურდა „არსებითად საშიშ“ სიაში მსუბუქი ავტომანქანის შეტანა, როდესაც მეორე სასამართლომ უარი განაცხადა მიეღო ანალოგია ავტომანქანებსა და ავეჯს შორის, მაგრამ ხაზი გაუსვა ანალოგიას მსუბუქ ავტომანქანებსა და საწამლავს შორის; ამის მიზეზად დასახელდა „სოციალური შეხედულებები“.

ციკლი დასრულდა, როდესაც სასამართლომ გადაწყვიტა, რომ განსხვავება საშიშ ნივთსა და არსებითად საშიშ ნივთს შორის არაბუნებრივი იყო, აგრეთვე ისიც, რომ ის ფაქტი, რომ S-ს, ერთი კატეგორიის თანახმად, გააჩნდა განსაკუთრებული ვალდებულება სიფრთხილით მოჰკიდებოდა T-ს, არ ნიშნავდა იმას, რომ სხვა კატეგორიებშიც იგივე ვალდებულებები იარსებებდა.

უპირველეს ყოვლისა, ეს კატეგორია შემოიფარგლა საჭმელით ან დასალევით, ხოლო მოგვიანებით გავრცელდა ტანსაცმელზეც...

ჩვეულებრივ პრეცედენტული სამართალი განიხილება, როგორც ინდუქციური მოვლენა, ხოლო კანონები გამოიყენება – როგორც დედუქციურის მიდგომის მომთხოვნი. პრეცედენტული სამართლის შემთხვევაში, კონცეფციები შეიძლება შეიქმნას განსაკუთრებული შემთხვევებისას. ეს არ არის ჭეშმარიტად ინდუქციური, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, მიმართულება ჩანს კონკრეტულიდან ზოგადისკენ. კანონის გამოყენება განსხვავებულია. სიტყვები მოცემულია და მათ პატივი უნდა ვცეთ და გამოვიყენოთ. პრეცედენტული სამართლისგან განსხვავებით, ისინი არ წარმოადგენენ მოსამართლის აზრს და გამონათქვამენ საკანონმდებლო ხელისუფლების ნებას.

კანონის გამოყენება კონკრეტულ საქმესთან მიმართებაში დელექციას წააგავს.

მიუხედავად ამისა, გამოყენებული სიტყვები შეიძლება ორაზროვანი იყოს. კანონის გამოყენებისას შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს საკანონმდებლო ხელისუფლების განზრახვა. კონსტრუქციის (ინტერპრეტაციის) წესები წარმოადგენენ ამ განზრახვის დადგენის საშუალებებს. ფაქტობრივად გამოყენებული სიტყვები მნიშვნელოვანია, მაგრამ არასაკმარისი. ასე რომ, რას მივმართოთ? საპარლამენტო კომიტეტების ანგარიშებს? ადრეულ კანონპროექტებს? საკანონმდებლო აქტებს (კანონპროექტებს), რომლებიც წარდგენილია, მაგრამ არ მოხდა მათი მიღება (დამტკიცება)? დებატების დროს გამოყენებული სიტყვები, ნებისმიერი მათგანი, შესაძლოა წყაროს წარმოადგენს. ეს საფეხურები, კანონის თვალსაზრისით, წარმოადგენენ მოსამზადებელ სამუშაოებს და მკაფიოს ხდიან სურათს.

კანონების მნიშვნელობის ინტერპრეტაცია ექსკლუზიურად სამართლებრივ ფუნქციას წარმოადგენს. როგორც კი კანონში გამოყენებული სიტყვების მნიშვნელობას აბსურდულ შედეგებამდე მივყავართ, სასამართლოს შეუძლია გადახედოს კანონის მიზანს. შეადარეთ ეს პრეცედენტულ სამართალს, სადაც ცნებებსაც გააჩნიათ მნიშვნელობა, რომელიც შეიძლება ორაზროვანი იყოს. მაგრამ შეიძლება მოხდეს საქმეების რეორგანიზაცია, რადგან წინა მოსამართლის (მოსამართლეების) განზრახვას შეიძლება მნიშვნელობა არ ჰქონდეს საქმისთვის. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ პრეცედენტული სამართლის კონცეფცია შეიძლება განსხვავებულ ფორმატში მოვათავსოთ, კანონის მიზანი მაინც დაცულ უნდა იქნეს. მაგრამ, რა მოხდება, თუ ეს მიზანი (განზრახვა) ორაზროვანია? სინამდვილეში ორაზროვნება შეიძლება იგივე იყოს, რაც პრეცედენტული სამართლის შემთხვევაში იყო. ეს არ არის გამოწვეული მაინცდამაინც ცუდი კანონპროექტის მომზადებით; უბრალოდ კანონის შედეგი ვერ დადგინდება მანამ, სანამ ადგილი არ ექნება განსაკუთრებულ ფაქტს ან საკითხს, რომელიც კანონის შესაბამის პასუხს მოითხოვს.

გარდა ამისა, კანონმდებლობა იქმნება პოლიტიკის სამყაროში, სადაც ზეწოლა და უთანხმოება კომპრომისს საჭიროებს. ამან შეიძლება მოითხოვოს შეცდომაში შემყვანი სიტყვების გამოყენება, ან

პოლიტიკური დემაგოგია, ანუ ისეთი ენა, რომელიც რაღაც სხვას ნიშნავს, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. ფაქტობრივად, კანონმდებლების მთელი ჯგუფის მიერ მკაფიო და ერთიანი მიზნების უქონლობამ შეიძლება ორასროვნება გამოიწვიოს.

მიუხედავად ამისა, სასამართლოებმა მაინც უნდა გამოარკვიონ საკანონმდებლო მიზანი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უნდა მოხდეს იურიდიული ინტერპრეტაცია, რათა დადგინდეს და გაირკვეს გამოყენებული სიტყვების მნიშვნელობა. ამან შეიძლება მოითხოვოს შესაფერისი მაგალითების მოყვანა, რათა ადგილი ჰქონდეს ანალოგიის მიხედვით მსჯელობას. ამგვარად მოსამართლეები უფრო ფართო მიმართულებას მისცემენ კანონს, მოახდენენ რა სიტყვების მნიშვნელობების დაფიქსირებას (პრეცედენტული სამართლისგან განსხვავებით). ამგვარად, ისინი წარმოადგენენ უბრალოდ სახელმწიფო მოხელეების ჯგუფს – კანონმდებლებს. მიუხედავად ამისა, როგორც დავინახავთ, კანონში სიტყვების მნიშვნელობა მხოლოდ ერთხელ შეიძლება განიმარტოს.

ხანდახან დემოკრატიული პროცესები კანონმდებლებისგან მოითხოვენ სადავო ცვლილებების შეტანას. სასამართლოებს, როგორც წესი, არ სურთ კონკურენცია გაუწიონ კანონმდებლებს. მოსამართლეები იშვიათად აპროტესტებენ რამეს, მაშინაც კი, როდესაც მათ აიძულებენ მთელი რიგი „არაპოპულარული“ გადაწყვეტილებების მიღებას. საკუთარი თავის დასაცავად მოსამართლეებს შეიძლება კონსტიტუციის მოშველიებაც დასჭირდეთ.

აშშ-ს პრაქტიკიდან საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს 1910 წლის მანის კანონი. იგი მიზნად ისახავდა ქალებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) აღკვეთას. ამ კანონს გააჩნდა საერთაშორისო ასპექტები და საერთაშორისო ხელშეკრულებაც იყო ჩართული. კანონმდებლობის ამგვარა და მკაფიო მიზნების მიუხედავად, რაც პროსტიტუციის მიზნით ქალების ტრანსპორტირების გაკონტროლებას გულისხმობდა, კანონი დასრულდა იმით, რომ იგი სხვადასხვა მიზნით გამოიყენება და მოსამართლეების ინტერპრეტაციაზე არის დამოკიდებული.

პრობლემურ სიტყვებს წარმოადგენდნენ: „სხვა ამორალური მიზანი ან პრაქტიკა“, რომელიც გამოიყენებოდა ერთმანეთზე დაუ-

ქორწინებელ ქალებსა და მამაკაცებთან მიმართებაში, რომელთაც სიყვარულის გამო გადაკვეთეს სახელმწიფო საზღვრები⁵. ამას არანაირი კავშირი არ ჰქონდა კანონის თავდაპირველ მიზანთან. მიუხედავად იმისა, რომ აშშ კონგრესს არ გააჩნია ამორალურობის დასჯის არანაირი კონსტიტუციური უფლებამოსილება, სახელმწიფო პოლიტიკამ მაინც გაიმარჯვა. ხოლო იმ დროისთვის, სახელმწიფო პოლიტიკა გულისხმობდა შეხედულებას, რომ ფიზიკური სიყვარული კაცსა და ქალს შორის მხოლოდ ქორწინების შემთხვევაში იყო მისაღები (ანუ ის, რომელიც არ იყო ამორალური), ქრისტიანული მორალიდან გამომდინარე.

ასეთი დასკვნის გამოტანით სასამართლომ უგულებელყო კონგრესის განზრახვა, მიუხედავად იმისა, რომ ეს განზრახვა გარკვეული იყო. მართლაც, ამ გადაწყვეტილებით სასამართლომ მიიღო კანონის მთავარი მიზანი, მაგრამ განაცხადა, რომ იგი (სასამართლო) არ შემოიფარგლა მხოლოდ ამ მიზნით. მანის კანონის ისტორია გვიჩვენებს საკანონმდებლო განზრახვის ორაზროვნებას, რომელიც ერთ შემთხვევაში „ინტერპრეტირებული“ იყო და შემდეგ მოხდა ამ ინტერპრეტაციის დაცვა, იგი ასევე გეთავაზობს განსხვავებას პრეცედენტული სამართლის ინტერპრეტაციას (რომელიც იძლევა საქმეების გადახედვის შესაძლებლობას) და საკანონმდებლო ინტერპრეტაციას შორის.

მიუხედავად ამისა, ზოგჯერ აშშ სასამართლოები ახდენენ საკანონმდებლო ინტერპრეტაციების გაუქმებას, მაგალითად, ერთ შემთხვევაში მოსამართლეები დაეყრდნენ კონსტიტუციას („კონგრესს არ შეეძლო განეზრახა კონსტიტუციის წინააღმდეგ წასვლა“), მაშინ, როდესაც მეორე შემთხვევაში სასამართლომ მოიშველია უფრო გვიან მიღებული კანონმდებლობა კონგრესის განზრახვასთან მიმართებაში. ორივე შემთხვევაში სასამართლომ თავი აარიდა პირველი გადაწყვეტილების პირდაპირ ხელახალ ინტერპრეტაციას,

5 ფილმებსა და ლიტერატურაში ეს მრავალჯერ არის მოხსენიებული, ალბათ, ყველაზე მეტად ცნობილია ელიზაბეთ სმარტის წიგნი „დიდი ცენტრალური სადგური, სადაც მე დავექეი და ვიტირე“, რომელშიც აღწერილია ძლიერი სასიყვარულო ისტორია და იგი ავტორის პირად გამოცდილებას ეფუძნება და დაწერილია პროზაული პოემის ფორმით. ეს წიგნი XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ლიტერატურული ნაწარმოებია.

რომელშიც სასამართლოს განზრახვა იყო დაზუსტებული. მოკლედ რომ ვთქვათ, დაცული უნდა იყოს კანონის თავდაპირველი ინტერპრეტაცია.

რაც შეეხება კონსტიტუციას, სასამართლო ინარჩუნებს საკანონმდებლო აქტების გაუქმების უფლებამოსილებას. ფაქტობრივად ეს ნიშნავს გადაწყვეტილების მიღებას იმასთან დაკავშირებით, არსებობს თუ არა კავშირი სახელმწიფო და საკონსტიტუციო იდეალებს შორის. მაგრამ კონსტიტუცია ასევე ანიჭებს წინა საქმეების უგულებელყოფის უფლებამოსილებასაც იმით, რომ მითითებას აკეთებს კონსტიტუციაზე და არა საქმეებზე. ამგვარად, „პრეცედენტის სავალდებულო ძალა“ უფრო მეტად განსხვავდება კონსტიტუციისგან, ვიდრე პრეცედენტული სამართლისაგან ან კანონისგან. სასამართლოს ყოველთვის შეუძლია დაიმოწმოს კონსტიტუცია. ეს მას უფრო მეტ თავისუფლებას ანიჭებს, ვიდრე, მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში, სადაც არ არსებობს წერილობითი ფორმის კონსტიტუცია.

რატომ არ არის კონსტიტუციის ინტერპრეტაცია ფიქსირებული? რატომ არ შეიძლება კონსტიტუციის უბრალოდ შეცვლა? პასუხი ამაზე არის ის, რომ კონსტიტუცია ზოგადი სტრუქტურისაა და აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანწილად ორაზროვანი რჩება. ინტერპრეტაცია გულისხმობს განსხვავებულ აქცენტებს და არა განსხვავებულ ენას. სინამდვილეში აუცილებელია განსხვავებული ინტერპრეტაცია და არა შესწორება. ამგვარად, კონსტიტუციის ინტერპრეტაცია არ არის ისეთი თანმიმდევრული, როგორც პრეცედენტული სამართლის შემუშავება ან კანონების გამოყენება.

ყურადღება მიაქციეთ იმ გარემოებას, რომ კონსტიტუცია მოიცავს საპირისპირო იდეალებს. უფრო მეტიც, იგი ძალზე ორაზროვანია. ამგვარად, ვერც ერთი ინტერპრეტაცია ვერ იქნება დამაჯერებელი. საკონსტიტუციო საქმეში პრობლემას წარმოადგენს კავშირი სასამართლოს (მხარეების) მიზნებსა და საზოგადოების იდეალებს შორის. აქედან გამომდინარე, იმავე არგუმენტებმა, რომლებმაც წინა საქმის დროს ვერ გაამართლეს, შეიძლება წარმატებას მიაღწიონ უფრო შემდგომ საქმეებში, რადგან საზოგადოება გამოიცვალა.

ამის შედეგად, კონსტიტუცია ვერ შეძლებს ცვლილების აღკვეთას. მართლაც, კონსტიტუციაზე მინიშნების დაშვება იმას ნიშნავს, რომ იზრდება სასამართლოს დისკრეცია (მოქმედების თავისუფლება) და ამგვარად, შესაძლებელი ხდება ცვლილების განხორციელება. იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ იქნა გამოყენებული წერილობითი ფორმის კონსტიტუცია ცვლილების გასამართლებლად, გამოგვადგება აშშ-ს პოზიცია გაეროს უშიშროების საბჭოს წინაშე – 1948 წელს პალესტინის გამოყოფასთან დაკავშირებით. ეს იმას ნიშნავს, რომ ქმედება შეიძლება გამართლდეს გაეროს ქარტიის დამოწმებით – არა გამოყოფასთან, როგორც ასეთთან მიმართებაში, არამედ მშვიდობის შენარჩუნების მიზნებისთვის⁶.

მაგალითად, აშშ კონსტიტუცია გამოყენებულ იქნა იმისათვის, რომ მასზე გაკეთებულიყო მინიშნება სიტყვა „კომერციის“ მნიშვნელობის შემუშავებისას, კერძოდ, ფედერალური მთავრობის მხრიდან შტატებს შორის ვაჭრობის გაკონტროლების უფლებამოსილების კონტექსტში. ეს იყო კონსტიტუციური პრობლემა, რომელიც მანის კანონმა წარმოშვა. ამ პრობლემაზე მუშაობისას შემუშავდა უკანონო საქონლის ცნება. ანალოგიის მიხედვით მსჯელობამ, „სახელმწიფო მორალის“ ფონზე, შტატებს შორის კომერციაში არსებული უკანონო საქონლის ცნება განავრცო ქალებიდან და დაავადებული დროხებიდან დაწყებული ლატარიის ბილეთებით დამთავრებული; შემდეგ კიდევ უფრო შორს წავიდა და მოიცვა ბავშვების შრომა, ალკოჰოლი და პროდუქტები, რომელთაც სახე შეუცვალეს (ანუ ის პროდუქტები, რომელთაც არ გააჩნდათ თავდაპირველი, ნამდვილი ფორმა), ან დამახინჯებულად იქნენ წარმოდგენილი (მაგალითად, არასწორად იქნენ მარკირებული).

ბავშვების შრომა და უშუალოდ ლატარიის ბილეთები დამოკიდებული იყო საზოგადოების შეხედულების შეცვლაზე. მიუხედავად ამისა, ბავშვების შრომის პროდუქტი გამოიყო და სასამართლომ ეს კანონი არაკონსტიტუციურად გამოაცხადა. მეორე მხრივ, მხარი დაუჭირეს შტატებს შორის მოპარული მანქანებით ვაჭრობის წინააღმდეგ კანონს. იმავე სასამართლომ ჩააგდო ქალებისთვის მინიმალური ხელფასის შესახებ მუხლი!

6 „ნიუ იორკ თაიმსი“, 1948 წლის 25 თებერვალი.

ამგვარად, სასამართლომ უნდა განმარტოს კონსტიტუცია „დღევანდელი პირობებისა და გარემოებების ჭრილში“. ყურადღება მიაქციეთ იმ გარემოებას, რომ რაღაც ეტაპზე აშშ პრეზიდენტმა განიხილა საკითხი ახალი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დამატების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ უზენაესი სასამართლო არ ეთანხმებოდა და ეწინააღმდეგებოდა მის პოლიტიკურ მიზნებს. ეს იყო მნიშვნელოვანი საფეხური, თეორიულად, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ აშშ-ში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნას, რაც პრეზიდენტის უფლებამოსილებას წარმოადგენს, გრძელვადიანი შედეგები გააჩნია, მას შემდეგაც კი, რაც პრეზიდენტს თავის პოსტზე ყოფნის ვადა ამოეწურება. მიუხედავად ამისა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ვიძლევიტ რეკომენდაციას, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებმა აუცილებლად ის უნდა გააკეთონ, რაც პრეზიდენტს სურს – პრაქტიკულად ისინი პოლიტიკური კონტროლისგან დამოუკიდებლად მოქმედებენ.

რეზიუმე

სამივე სფეროში არსებული სამართლებრივი დასაბუთება გვთავაზობს, რომ ანალოგიის მიხედვით მსჯელობა მანამ შეიძლება განვიტრცოს, სანამ ყველაფერს არ მოიცავს. უფრო მეტიც, პრეცედენტული სამართლიდან მოყვანილი ზემოთ შემოთავაზებულ მაგალითები გვიჩვენებენ, რომ არსებითად საშიში რაღაცა გარკვეულწილად იგივეა, რაც კონსტიტუციის სფეროდან ამორალურობის პრინციპი, ან „საშინელი“ საქონელი. ამ კატეგორიების განვითარება წარმოადგენს განვტრცობას ანალოგიის გამოყენების მეშვეობით – მანამ, სანამ არ იქნება მოცული ყველა, ადრე საშიშად წოდებული რაღაც. იგი ასევე ასახავს პიროვნებაზე სახელმწიფო კონტროლის და მათზე პასუხისმგებლობის ზრდას. სოციალური თეორია ვითარდება და აკმაყოფილებს რეალობას, ხოლო შემდეგ იგი ცდილობს აგვიხსნას ეს კავშირი და ის, რომ საზოგადოების შეხედულება შეიცვალა.

სამართლებრივ დასაბუთებას საკუთარი ლოგიკა გააჩნია. აქცენტები უნდა გაკეთდეს თავად ამ პროცესზე. სტრუქტურა ისეთი

უნდა იყოს, რომ მნიშვნელობა მიანიჭოს ორაზროვნებას და მუდმივად შეამოწმოს – ხედავს თუ არა საზოგადოება ახალ განსხვავებებს ან მსგავსებებს. სისტემის ამუშავების შემდეგ გასარკვევი რჩება საექვო ადგილები; სიტყვები იცვლება, რათა მათ შეიძინონ შინაარსი ან მნიშვნელობა, რომელსაც მათ საზოგადოება მიანიჭებს. ეს არის სამართლებრივი დასაბუთების, როგორც ერთადერთი სისტემის, მიზანი, რომელიც იქ იმუშავებს, სადაც ადამიანები სრულად არ ეთანხმებიან.

პრინციპი 2. შვინარჩუნეთ სარწმუნოება/ დამაჯერებლობა

პროკურორის/ადვოკატის დამაჯერებლობა ძალიან მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს შეჯიბრებითი მართლმსაჯულების სისტემაში. ვინაიდან შეჯიბრებითობის პრინციპები თანაბრად ვრცელდება სასამართლოსთან ურთიერთობის როგორც ზეპირ, ისე წერილობითი ფორმებზეც, პროკურორმა/ადვოკატმა, სასამართლოში ზეპირი გამოსვლის ანალოგიურად, ყოველთვის უნდა იზრუნოს საკუთარი სარწმუნოების დადასტურებაზე საპროცესო დოკუმენტის შედგენისას.

უდავოა, რომ სასამართლო უფრო მეტ უპირატესობას მიანიჭებს მხარის არგუმენტებს, თუ მას შეექმნა სწორი შთაბეჭდილება, რომ პროკურორი/ადვოკატი სამართლიანად და გონივრულად უდგება სისხლის სამართლის საქმეს.

დამაჯერებლობა მრავალი პიროვნული და გარე ფაქტორისაგან შედგება, მაგრამ საპროცესო დოკუმენტის მართლწერის კონტექსტში ის დაიყვანება რამდენიმე მარტივი წესის განუხრელ დაცვამდე. შესაბამისად, ქვემოთ მოყვანილი წესები გამიზნულია პროკურორის/ადვოკატის წერილობითი სტილისა და ზოგადი სარწმუნოების გარანტირებაზე:

ა) წარმოადგინეთ დამაჯერებელი არგუმენტები – რამდენადაც ნათელი არ უნდა იყოს, ხშირად პროკურორის/ადვოკატის, როგორც იურისტის, სარწმუნოება იზომება მის მიერ მოყვანილი სამართ-

ლებრივი არგუმენტების ხარისხით. პროკურორის/ადვოკატის არგუმენტების სიძლიერე სასამართლოს არწმუნებს, რომ პროკურორი/ადვოკატი სწორად იყენებს საკუთარ საპროცესო უფლებამოსილებას და სასამართლოს დროს არ ხარჯავს იმ საქმეებზე ან/და საპროცესო საკითხებზე, რომელთაც წარუმატებლობის მაღალი შანსი გააჩნიათ. ეს ნიშნავს, რომ პროკურორმა/ადვოკატმა ხშირად საქმის მასალებიდან ანდა საპროცესო დოკუმენტიდან უნდა ამორიცხოს ყველა ისეთი არგუმენტი, რომელიც ნაკლებად დამაჯერებელია ან არ არის დადასტურებული საქმის გარემოებებით. კარგად ჩამოყალიბებული და გააზრებული არგუმენტები ასევე წარმოაჩენს პროკურორის/ადვოკატის სამართლებრივი აზროვნების დონესაც; სასამართლოც და მეორე მხარეც ყოველთვის მეტი პატივისცემით ეპყრობა იმ პროკურორს/ადვოკატს, რომელიც საკუთარ ერუდირებულობასა და ანალიტიკურ უნარ-ჩვევებს ავლენს მის მიერ შედგენილ საპროცესო დოკუმენტებში;

ბ) არ დაუშვათ შეცდომები კონკრეტული ფაქტებისა და კანონის მოთხოვნების მითითებისას – პროკურორი/ადვოკატი პასუხისმგებელია ყველა იმ ფაქტობრივ და სამართლებრივ შეცდომებზე, რომელიც მის მიერ შედგენილ საპროცესო დოკუმენტში მოიპოვება. შესაბამისად, პროკურორი განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მიუდგეს ამ საკითხს: დროის არქონა სათანადო რედაქტირებისათვის ან ელემენტარული უყურადღებობა პროკურორის/ადვოკატის სარწმუნოების მაგიური „მაშველი“ ვერ იქნება. ეს წესი, რა თქმა უნდა, უპირობოდ მოიცავს ყველა იმ შემთხვევასაც, როდესაც პროკურორს/ადვოკატს მოჰყავს საპროცესო წესის დარღვევით მოპოვებული ან/და დაუშვებლად უკვე ცნობილი მტკიცებულება ან მითითებას აკეთებს კანონის რედაქციაზე, რომელიც არაკონსტიტუციურად ან ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებებთან შეუსაბამოდ იქნა ცნობილი. ამ შემთხვევაში, პროკურორის/ადვოკატის სარწმუნოება სერიოზული ეჭვქვეშ დგება, რამაც შეიძლება ასახვა პოვოს არა მხოლოდ კონკრეტული საქმის გარემოებების შეფასებისას, არამედ მის მომავალ პრაქტიკაზეც;

გ) ჩაატარეთ სრულყოფილი კვლევა – აუცილებელია აღნიშნოს ის კავშირი, რომელიც სრულყოფილად ჩატარებულ კვლევას გააჩნია პროკურორის/ადვოკატის სარწმუნოებისათვის. ჯერ

ერთი, სათანადო სამართლებრივი, აკადემიური და საერთაშორისო სამართლის საკითხების ამომწურავი ანალიზი თქვენს, როგორც იურისტის, პროფესიონალიზმზე მეტყველებს და ყოველთვის იმ-სახურებს სასამართლოს პატივისცემას. მერე მეორე, თქვენ ამით მოსამართლეს ხსნით იმ გადაუწყვეტელ ტვირთს, რომელიც მას არგუმენტის არასრულყოფილად გამოკვლევის შემთხვევაში გააჩნია: დამატებითი კვლევის ჩასატარებლად (მაგალითად, თუ რამდენად შეესაბამება აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პრაქტიკას ან/და საქართველოს უზენაესი სამართლოს მიერ დადგენილ პრეცედენტს) მოსამართლეს, როგორც წესი, საკმარისი დრო არა აქვს, ხოლო საქმის სხვა გარემოებათა და მტკიცებულებათა მხარეთა ინიციატივის გარეშე გამოკვლევა მას საპროცესო კოდექსით ეკრძალება.⁷ შესაბამისად, პროკურორის/ადვოკატის მიერ კარგად ჩატარებული სამართლებრივი კვლევა უმეტეს შემთხვევაში პირდაპირპროპორციულია ნდობისა და პატივისცემის იმ ხარისხთან, რომელიც სასამართლოს და ხშირად მეორე მხარის პროკურორის/ადვოკატის მიმართ გააჩნია;

დ) მეორე მხარესთან ურთიერთობა – შეჯიბრებითი პროცესის პირობებში, პროკურორს/ადვოკატს ხშირად მოუწევს მეორე მხარის მიერ შედგენილ საპროცესო დოკუმენტებზე სათანადო პასუხის გაცემა შესაგებლის ან შემხვედრი საჩივრის ფორმით. საკითხთა სპექტრი, რომელზეც მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა იდავონ როგორც ღია, ზეპირ სასამართლო სხდომაზე, ისე წერილობითი დოკუმენტების ფორმატში, პრაქტიკულად შეუზღუდავია. ამ შემთხვევაში, პროკურორის/ადვოკატის სარწმუნოება არ არის დამოკიდებული მხოლოდ მის მიერ შედგენილი დოკუმენტის ხარისხზე, არამედ პირდაპირ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სერიოზულად უდგება პროკურორი/ადვოკატი მეორე მხარის მიერ წარმოდგენილ საკითხებს. პირველ რიგში, მეორე მხარის მიერ წარმოდგენილ ნებისმიერ საკითხსა და არგუმენტს უნდა გაეცეს სათანადო პასუხი – ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, თუნდაც პროკურორი/ადვოკატი მიიჩნევდეს, რომ რომელიმე კონკრეტული საკითხი ისედაც ნათელია ან უბრალოდ „არ ღირს“ პასუხად.

7 საუბარი, რა თქმა უნდა, სისხლის სამართლის ახალ საპროცესო კოდექსზეა, რომელიც 2010 წლის 1 ოქტომბერს ამოქმედდა.

სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც სრულყოფილად არ პასუხობს მეორე მხარის მიერ წარმოდგენილ ყველა საკითხს, თავისი ბუნებით უკვე ხარვეზიანია. ამ წესის დარღვევად თუნდაც დროის უკმარისობის მოტივი, ისევე და ისევე, ვერ „გადაარჩენს“ პროკურორის/ადვოკატის სარწმუნოებას. მეორე მხრივ, პროკურორის/ადვოკატი ყოველთვის უნდა იყოს მზად, მოწინააღმდეგე მხარეს დაეთანხმოს იმ საკითხებზე, რომლებიც სიმართლეს შეესაბამება. ამგვარი, ერთი შეხედვით, „დათმობა“ არავითარ შემთხვევაში არ არის პროკურორის/ადვოკატის სისუსტის მაჩვენებელი, არამედ მისი გააზრებული სტრატეგიული გადაწყვეტილებაა, რომელიც ყველა შემთხვევაში მეორე მხარისა და სასამართლოს პატივისცემასაც დაიმსახურებს. არაარსებით საკითხებზე დავის ნაცვლად, პროკურორმა/ადვოკატმა მთელი ყურადღება უნდა გადაიტანოს იმ მოსაზრებებსა და არგუმენტებზე, რომლებიც საკმარისია ბრალდების/დაცვის წარმატებისათვის.

ე) დამაჯერებლობის სტილისტური საკითხები – პროკურორის/ადვოკატის სარწმუნოების პრობლემები შესაძლებელია სულაც არ იყოს დაკავშირებული მის მიერ მოყვანილი არგუმენტების სიძლიერესთან, სრულყოფილ კვლევასთან ანდა მეორე მხარის მოსაზრებათა პატივისცემასთან. ხშირად, ამგვარი პრობლემები, მკითხველის ცნობიერი ან თუნდაც არაცნობიერი შეფასებით, დაკავშირებულია იმ სტილისტურ ნაკლოვანებებთან, რომელიც პროკურორის/ადვოკატის ნაშრომს გააჩნია. მათგან ყველაზე ხშირი, განსაკუთრებით საპროცესო დოკუმენტების კონტექსტში, არის გადაფასების ე.წ. „გაზვიადების“ პრობლემა. არგუმენტების ზედმეტი ძალითა და „სიტყვათა ქუხილით“ წარმოდგენა, როგორც წესი, გათვლილია სასამართლოს უფრო ეფექტურ დარწმუნებაზე მხარის პოზიციის სისწორეში, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ის მკითხველზე სრულიად საპირისპირო გავლენას ახდენს. კერძოდ, მკითხველს ბუნებრივად კითხვის ნიშანი უჩნდება ამგვარად წარმოდგენილი ყოველი არგუმენტის მიმართ. შესაბამისად, პროკურორმა/ადვოკატმა თავი უნდა მოარიდოს მართლწერის არასწორ, ზედმეტად აგრესიულ სტილს.

ეფექტური სამართლებრივი წერა უზრუნველყოფს მკითხველის ნდობის შენარჩუნებას. იგი საშუალებას აძლევს მკითხველს თავი კომფორტულად იგრძნოს და მზად იყოს იმისათვის, რომ დაი-

ჯეროს. ავტორმა შეიძლება ამ მიზანს სხვადასხვა საშუალებით მი-
აღწიოს. ერთ-ერთ ასეთ საშუალებას წარმოადგენს დამაჯერებელი
სამართლებრივი დასაბუთება.

სამართლებრივი დასაბუთება: მოკლე მიმოხილვა/შესავალი

ამ ნაწილში განხილულია სამართლებრივი დასაბუთების სამი
ძირითადი მოდელი. ესენია: დედუქციური, ინდუქციური და დასაბ-
უთება ანალოგის მიხედვით.

პირველი, ანუ დედუქციური სისტემის განხილვა და კერძოდ
ის, თუ როგორ გამოიყენეს იგი სამართლებრივი გადაწყვეტილების
უზრუნველყოფის სისტემაში, გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება
გამოვიყენოთ წესები როგორც კანონით დადგენილი მასალების, ისე
პრეცედენტული სამართლის პრეზენტაციისთვის. შემდეგ მოდის
დასაბუთება უშუალოდ საქმეების მეშვეობით და აქცენტი კეთ-
დება ინდუქციაზე. დაბოლოს, როგორ იყენებს იურისტი ანალოგიის
მიხედვით მსჯელობას. მაგრამ, ვიდრე დავიწყებდეთ, აუცილებელია
განვმარტოთ დედუქცია, ინდუქცია და ანალოგია.

დედუქციური მსჯელობის პროცესი იწყება წინასწარ დად-
გენილი ფაქტების კონსტატაციით, რომელიც არ შეიძლება გამოძ-
დინარეობდეს სისტემიდან. ლოგიკაში ეს კონსტატაცია ცნობი-
ლია, როგორც „აქსიომა“. შემდეგ ჩვენ ვიყენებთ ამ აქსიომებს და
დედუქციურ ტექნოლოგიებს ახალი დასკვნების გასაკეთებლად.
დედუქციური მსჯელობა წარმოადგენს წესებზე დაფუძნებული
მსჯელობის სისტემის საფუძველს.

კონკრეტული საქმეებიდან ზოგად წესებზე გადასვლის პრო-
ცესს ეწოდება ინდუქციური მსჯელობა. ინდუქციური მსჯელობის
პროცესი იყენებს დაკვირვების, მაგალითად, საქმეების შედეგად მიღე-
ბულ მონაცემებს და შემდეგ ახდენს ამ მონაცემების განზოგადე-
ბას იმ წესებში, რომლებიც „ამ მონაცემებს „განმარტავენ“. თუ
დედუქციური მსჯელობა იწყება წინასწარ დადგენილი ფაქტების
კონსტატაციით, ინდუქციური მსჯელობა ასე არ იწყება.

მსჯელობა ანალოგიის მიხედვით არის არსებულ პრეცედენ-
ტებსა და მიმდინარე ფაქტობრივ სიტუაციას შორის პარალელების

გავლების პროცესი. იურისტები ანალოგიას იყენებენ, რათა დაასაბუთონ, რომ მიმდინარე საქმის შედეგი უნდა იყოს წინა საქმეების შედეგების ანალოგიური, რადგან ფაქტობრივი სიტუაცია ორივე შემთხვევაში ანალოგიურია. ანალოგიის მიხედვით მსჯელობა წარმოადგენს „პრეცედენტის სავალდებულო ძალის“ – საერთო სამართლის დოქტრინის არსს. ამ დოქტრინის თანახმად, სასამართლოს მიერ წინა საქმესთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულოა იგივე ან ქვემდგომი სასამართლოსთვის – ანალოგიურ საქმესთან მიმართებაში. ამგვარად, იურისტი ცდილობს მოძებნოს ანალოგიური წარსული საქმე, რომელიც ახლოს იქნება მიმდინარე საქმესთან და რომელიც გადაწყდა მათი კლიენტის მსგავსი მხარის სასარგებლოდ. შემდეგ მათ შეუძლიათ გამოიყენონ ეს პრეცედენტი, რათა დაასაბუთონ, რომ მიმდინარე საქმე ისევე უნდა გადაწყდეს, როგორც წინა საქმე და აქედან გამომდინარე, მათი კლიენტის სასარგებლოდ. ამ მეთოდით ისინი ცდილობენ დასაბუთებას ანალოგიის გამოყენებით.

სამართლის სფეროში დელუქციური მსჯელობის მაგალითები მოიცავენ დასაბუთებას უშუალოდ კანონებისა და წესების მეშვეობით, რომლებიც ექსპერტიდან მიღებული სამართლებრივი დასკვნების საფუძველზე მუშავდება. ინდუქციური მსჯელობა გაცილებით ახალი ნიშნულია, რომელიც ძალზე მნიშვნელოვანია სამართლის სფეროსთვის, რადგან აქ იურისტებს მოეთხოვებათ მსჯელობა პრეცედენტების საფუძველზე.

დელუქციური მსჯელობა

დელუქციური მსჯელობა გამომდინარეობს ლოგიკური ფორმალიზმიდან. იურისტები იყენებენ ლოგიკის ფორმებს, რომლებიც შეიძლება არ იყოს ისეთი ფორმალური, როგორც ეს მათემატიკოსებს შეიძლება სურდეთ, მაგრამ რომლებიც მაინც „ლოგიკურები“ არიან. მაგალითად, სამართლის ნორმა შეიძლება იყოს ასეთი:

„თუ ნასვამი დაჯდებით საჭესთან, მაშინ ლიცენზიას დაკარგავთ.“

ეს ნორმა შეიძლება მოვაქციოთ ფორმალური ლოგიკის სისტე-

მაში:

დალევა & ტარება – ლიცენზია–დაკარგვა

სადაც:

დალევა = ვინმეს სისხლში გარკვეულ ზღვარს ზემოთ ალკოჰოლის არსებობა;

ტარება = რაიმე სახის ავტოსატრანსპორტო საშუალების ტარება, ამ შემთხვევაში მსუბუქი ავტომანქანის, სატვირთო მანქანის ან მოტოციკლის;

ლიცენზია–დაკარგვა = სახელმწიფო გზებზე ტარების უფლების ჩამორთმევა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ნორმის ვარიანტები მრავალი ქვეყნის კანონებში არსებობს, სამართლებრივი გადაწყვეტილებების მიმღებებმა გამოიყენეს საკუთარი დისკრეცია (მოქმედების თავისუფლება), რათა გამოერიცხათ ის, რაც ჩვენ, ერთი შეხედვით, გასაგებ ინტერპრეტაციად გვეჩვენებოდა. მაგალითად, რა ვუყოთ იმას, ვისაც სისხლში დასაშვებ ზღვარს ზემოთ ალკოჰოლი აქვს და მინც ატარებს ისეთ ველოსიპედს, რომელსაც ძრავა აქვს მორგებული? მოექცევა თუ არა გადაკეთებული ველოსიპედი ამ წესში? ეს არის „ღია სტრუქტურის“ მაგალითი. ღია სტრუქტურის მქონე სამართლებრივი მტკიცებულება მოიცავს შეკითხვებს, რომლებიც არ შეიძლება აიგოს წარმოების წესების ან ლოგიკური ვარაუდების ფორმით და რომლებიც მომხმარებლის მხრიდან მოითხოვს სამართლის გარკვეულ ცოდნას. ინდუქციური და ანალოგიაზე დაფუძნებული მსჯელობის ერთ-ერთ რეალურ უპირატესობას წარმოადგენს მათი უნარი, დაეხმარონ მომხმარებელს ღია სახის ტექსტის განმარტებაში.

მიუხედავად ამისა, დედუქცია წარმოადგენს დასაბუთების მძლავრ ფორმას, განსაკუთრებით იმ სფეროებში, რომლებიც კანონმდებლობას ეფუძნებიან და რომელთაც მცირე პრეცედენტული სამართალი, საერთო სამართალი, გარემოებითი დოქტრინები, დისკრეციული დებულებები და ა.შ. გააჩნიათ. დედუქციის გამოყენების სათანადო მაგალითს წარმოადგენს სამოქალაქო სამართალი, სადაც

პრეცედენტული სამართალი გვთავაზობს მხოლოდ მცირედენ დახმარებას კოდექსის ინტერპრეტაციის თვალსაზრისით, ან საერთო სამართლის ქვეყნებში, იშვიათი სასამართლო პროცესები კანონებთან, ახალ კანონებთან და პრეცედენტული სამართლის კოდიფიკაციასთან დაკავშირებით.

იურისტები მუდმივად ადგენენ და იყენებენ წესებს. ჯერ კიდევ არსებობს უზარმაზარი დაპირისპირება სამართლის დარგის მეცნიერებსა და თეორეტიკოსებს შორის იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ეფუძნება კანონი წესს; იმართება დებატები პოზიტივისტებსა და სკეპტიკოსებს შორის. პოზიტივიზმი არის რწმენა, რომ კანონი ეფუძნება მკაფიო და ზუსტ წესებს, რომლებიც გამოდინარეობენ საქმებიდან, კანონმდებლობიდან, კოდექსებიდან ან დოქტრინებიდან და იგი გამოყოფილია მორალიდან. მეორე მხრივ, სკეპტიკოსები არიან სამართლის დარგის მეცნიერები, რომელთაც მიაჩნიათ, რომ წესებზე დამოკიდებულება არასწორია და არ არის ის, რასაც მოსამართლეები აკეთებენ. ზოგიერთი მათგანი ამტკიცებს, რომ მოსამართლეები იწყებენ დასკვნით, რომელსაც ისინი ინტუიციის საფუძველზე იღებენ და შემდეგ არჩევენ იმ ფაქტებს, რომელთა მეშვეობითაც ამ დასკვნამდე მივლენ.

მიუხედავად სამართლის დარგთან დაკავშირებული მეცნიერული პრობლემებისა, სამართლებრივი გადაწყვეტილების უზრუნველყოფის სისტემებში, დედუქციურ მსჯელობასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ სირთულეს წარმოადგენს მის მიერ კანონში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების სუსტი მართვა. მხედველობაში მისაღებ ორ მთავარ ცვლილებას წარმოადგენს ცვლილება კანონში და პრეცედენტული სამართალი. ეს ორი ხშირად იწვევს შეუსაბამობას. ასეთ შეუსაბამობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ერთი კანონის ფარგლებში, ან, უფრო მეტი ალბათობით, შეიძლება შეგვხვდეს იქ, სადაც საკითხს ერთზე მეტი კანონი არეგულირებს და კანონები წინააღმდეგობრივია. შეუსაბამობა დაუძლეველ პრობლემებს უქმნის ლოგიკაზე დაფუძნებულ სისტემებს, რადგან იქ, სადაც არსებობს შეუსაბამობა, ყველაფრის დამტკიცება არის შესაძლებელი. სამართალში ეს ნიშნავს, რომ თუ თქვენ აკეთებთ ურთიერთსაპირისპირო განცხადებებს და ორივე მათგანი სწორია, მაშინ შეგიძლიათ დაამტ-

კიკოთ ნებისმიერი რამ იმ განცხადების მეშვეობით, რომელიც უფრო გამოდგება.

ავილოთ, მაგალითად, სამოქალაქო დავა იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ უნდა შეაკეთოს კედელი. მოდიოთ, დაუშვათ, რომ ერთი კანონი ამბობს, რომ კედელი უნდა შეაკეთოს იმ პირმა, რომელიც კედლის მზიან მხარეს ცხოვრობს, ხოლო მეორე კანონი ამბობს, რომ კედელი უნდა შეაკეთოს იმ პირმა, რომელმაც ეს კედელი ააშენა. არ არის რთული წარმოვიდგინოთ ვარიანტი, როდესაც ეს ორი პირი არ არის ერთი და იგივე პიროვნება. ასეთი შეუსაბამობები კანონებში ხშირად გვხვდება. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ამდენი სასამართლო პროცესი იმართება. ყოველგვარ აზრს არის მოკლებული კანონის დამოწმება იმისათვის, რომ გადაწყვიტო, თუ რომელმა პირმა უნდა შეაკეთოს კედელი; ეს ლოგიკური შეუსაბამობებით არის განპირობებული. უნდა ვიპოვოთ ამ პრობლემის გადაჭრის სხვა მეთოდი და სწორედ ამიტომ ჩვენ ვუყურებთ მოსამართლეს და პრეცედენტულ სამართალს, რათა ისინი დაგვეხმარონ ამ დავის გადაჭრაში. ამ სფეროში პრეცედენტებით მსჯელობა ხდება დადებითი მოვლენა და ხშირად აუცილებლობაც კი.

მიუხედავად ამისა, სამართლის ტრადიციული თეორიები, რომლებიც შემუშავებულია წესების მკაცრი დამცველების მიერ, შეიძლება არასრულყოფილი იყოს, რადგან ისინი წარმოადგენენ სამართლის ერთიან თეორიას, რომელიც ვერ ასხვავებს კანონმდებლობასა და პრეცედენტულ სამართალს. ეს თეორიები არ ახდენენ ყურადღების კონცენტრირებას ვალდებულებით სამართალზე, რომელიც მრავალი პრეცედენტული სამართლის სისტემის ფოკუსს წარმოადგენს. გარდა ამისა, ტრადიციულ თეორიებს აკლიათ იმის ადეკვატური განმარტება, თუ როგორ ხდება რთული საქმეების გადაჭრა. რთული საქმე შეიძლება იყოს ნებისმიერი საქმე, რომლის დროსაც მასთან დაკავშირებული კანონი ან ფაქტები გარკვეულწილად განუსაზღვრელია. რთული საქმის გადაჭრა უფრო ხშირად დამოკიდებულია ზნეობრივ თეორიაზე და არა სამართლებრივ დოქტრინაზე.

ამის ალტერნატიულ ვარიანტს წარმოადგენს მსჯელობა უშუალოდ პრეცედენტების გამოყენებით, ანუ საქმეების წარმოდგენა უშუალოდ იმ მეთოდების გამოყენებით, რომლებიც გამომდინარეობენ

ამ საქმეებისთვის შემუშავებული ახალი წესებიდან (ინდუქცია), ან შესაბამისი საქმეების შედარებით გარკვეულ მაჩვენებლებთან (ანალიზაცია).

ამის შემდეგ, როგორ უნდა მოხდეს მსჯელობის ამ სახეობების გამოყენება? უპირველეს ყოვლისა, განვიხილოთ ინდუქცია.

ინდუქციური მსჯელობა

ჩვენ განვიხილოთ, თუ როგორ ვიმსჯელოთ საქმეებზე კარგი იურიდიული პრაქტიკის გამოყენებით, რათა მოხდეს მათი წესებად გარდაქმნა. მიუხედავად ამისა, როგორც წესი, შეიძლება უმჯობესი იყოს ვიღაცათ უშუალოდ საქმეებზე და არა საქმეებიდან მიღებული ცოდნის წესებად გარდაქმნაზე. შეიძლება ასე აჯობოს, რადგან გარდაქმნის პროცესი აუცილებლად გამოიწვევს ინფორმაციის დაკარგვას და წესების ფორმულირებაში შეცდომების დაშვებას, რომლებიც, როგორც წესი, ვერ გამოდგება გამოსაყენებლად. როგორ მოახერხეს მკვლევარებმა ამ პრობლემის გადაჭრა?

ინდუქცია არის სანიმუშო საქმეების ან სხვა მონაცემების საფუძველზე წესების შემუშავების პროცესი. ინდუქციის სისტემა გვთავაზობს პრობლემის მაგალითებს, სადაც შედეგი წინასწარ არის ცნობილი. როდესაც სახეზეა რამდენიმე მაგალითი, მაშინ ინდუქციის სისტემას სთხოვენ შექმნას ისეთი წესები, რომელიც მაგალითის სახით შემოთავაზებულ საქმეებთან მიმართებაში გამოდგება. წესები შეიძლება გამოვიყენოთ სხვა ისეთი საქმეების შესაფასებლადაც, სადაც შედეგი წინასწარ არ არის ცნობილი.

ინდუქციური სისტემის გამოყენების ერთ-ერთ საჭირო შესაძლებლობას წარმოადგენს იმის განსაზღვრა, თუ კონკრეტულ სიტუაციებში რამდენად მართებულია სკეპტიკოსების თეორია. ვინაიდან ინდუქციური სისტემები დამოკიდებულია სტატისტიკურ ანალიზზე, ჩვენ შეგვიძლია გამოვააშკარავოთ რამდენიმე პოლიტიკური და პერსონალური მიკროძოება, რომელიც სასამართლო გადაწყვეტილებაში მონაწილეობდა. მიუხედავად ამისა, არავინ არ უნდა იფიქროს, რომ აქედან გამომდინარე ინდუქცია მხოლოდ სამართლის სფეროსთვის არის კარგი და სასარგებლო. პირიქით, ჩვენ ვხედავთ, რომ ნებისმიერ

სფეროში, სადაც გაურკვეველია შედეგების გამომწვევი ძირითადი მიზეზები, ინდექციას შეუძლია უზრუნველყოს ასეთი მიზეზების დამდგენი მეთოდი.

მსჯელობა ანალოგიის მიხედვით

სანამ გავაგრძელებდეთ, აუცილებელია შევაფასოთ საქმეზე დაფუძნებული მსჯელობა, რადგან ანალოგიის მიხედვით მსჯელობა და საქმეზე დაფუძნებული მსჯელობა მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. მიუხედავად იმისა, რომ საქმეზე დაფუძნებული მსჯელობა და ანალოგიის მიხედვით მსჯელობა შეიძლება მსგავსი იყოს, ისინი მაინც არ არიან იდენტური ცნებები და არც მსჯელობის ერთი ფორმა არ წარმოადგენს მეორის განსაკუთრებულ შემთხვევას. მაშინ რომელია საქმეზე დაფუძნებული მსჯელობისა და ანალოგიის მიხედვით მსჯელობის ნიშუშები?

საქმეზე დაფუძნებული მსჯელობა არის წარმოდგენისა და მსჯელობის რამდენიმე მეთოდის საერთო ტერმინი, როდესაც არსებობს ახალი პრობლემის ანალიზისა და გადაჭრის წარსული გამოცდილება. ამან შეიძლება მოიცავს განმარტებები იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არის ან არ არის წარსული გამოცდილება დღევანდელი პრობლემის მსგავსი და მოიცავს წარსულში პრობლემის გადაჭრის შეცვლილ მეთოდებს, რათა დააკმაყოფილოს არსებული პრობლემის მოთხოვნები.

მიუხედავად იმისა, რომ საქმეზე დაფუძნებული მსჯელობა სპეციალურად სამართლის სფეროსთვის არ იყო გამიზნული, უდავოა, რომ სწორედ სამართლის სფეროში ხდება მსჯელობის ამ სტრატეგიების გამოყენება. ეს განსაკუთრებით ეხება საერთო სამართალს და ამას რამდენიმე მიზეზი აქვს:

ამ სისტემაში არსებობს საქმეების უზარმაზარი ოდენობა და სპექტრი;

არსებობს დოქტრინა, რომელსაც ეწოდება „გადაწყვეტილების მოტივი“, რომელიც უნდა გავიგოთ, როგორც „გადაწყვეტილების მიღების მიზეზები“. ამ დოქტრინის თანახმად, გადაწყვეტილებაში არსებობს ჭეშმარიტების ერთი მთავარი ელემენტი, რომელიც გვიჩვენებს,

თუ რატომ გადაწყვიტა მოსამართლემ ამგვარად. მიუხედავად იმისა, რომ ამას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სკეპტიკური იურისპრუდენცია, ზოგიერთ შემთხვევაში „გადაწყვეტილების მოტივი“ წარმოადგენს საქმეების უფრო მარტივ და ეფექტურ მჩვენებელს.

არსებობს „პრეცედენტის სავალდებულო ძალის“ დოქტრინა, რომელიც ადრე განვმარტეთ. ამ დოქტრინის თანახმად, ანალოგიური საქმეები ანალოგიურად უნდა გადაიჭრას, ხოლო „გადაწყვეტილების მოტივი“ გამოყენებულ უნდა იქნეს შემდგომ საქმეებთან მიმართებაში და უნდა მივიღოთ „პასუხი“ არსებულ საქმესთან დაკავშირებით წამოჭრილ სამართლებრივ საკითხზე.

ანალოგიის მიხედვით მსჯელობა არის არსებულ პრობლემასთან დაკავშირებით შედეგის განსაზღვრის პროცესი, როდესაც ხდება მისი შედარება წარსულში ანალოგიურ გამოცდილებასთან. საქმეზე დაფუძნებული მსჯელობა ხშირად განიხილება, როგორც ანალოგიაზე დაფუძნებული მსჯელობის ერთ-ერთი ფორმა, რაც ეფუძნება ანალოგიურ პრობლემებთან დაკავშირებით გადაჭრის გზების მოძებნას, შენახულ საქმეებზე მონაცემთა ბაზის მოძებნის მეშვეობით და შემდეგ ამ საქმეების მოძებნას მეხსიერებაში, როდესაც ნაპოვნი გადაჭრის გზები იმგვარ პრობლემებზე, რომლებიც დღევანდელი პრობლემების ანალოგიური იყო; შემდეგ წარსული გამოცდილების ან გადაჭრის გზების ადაპტირება დღევანდელი პრობლემების შესაბამისად, მხედველობაში იქნება რა მიღებული ნებისმიერი განსხვავება მიმდინარე და წარსულ სიტუაციებს შორის.

საერთო სამართლის სისტემა იყენებს პაექრობით (შეჯიბრებითობაზე დაფუძნებულ) მსჯელობას ანალოგიების მიხედვით და სწორედ აქ ხდება აუცილებელი მიმდინარე საქმის ადაპტაცია. პაექრობითი მსჯელობისას მომხმარებელს სურს, რომ გამოყოს განსხვავებები მიმდინარე ფაქტებსა და იმ პრეცედენტულ საქმეებს შორის, რომლებიც მათი საქმეების საპირისპიროდ იქნა გადაჭრილი. საქმეზე დაფუძნებული მსჯელობის ადაპტაციის ეტაპი მოიცავს არსებული საქმის ფაქტების შეცვლას, რათა შესაძლებელი გახდეს უფრო ხელსაყრელი საქმეების მოძიება და გამოყოფა ნაკლებად ხელსაყრელი საქმეებისგან. ასეთი პროცესი განსაკუთრებით სასარგებლოა პაექრობითი (შეჯიბრებითი) მსჯელობის სისტემაში, სა-

დაც არ არსებობს ერთი სწორი პასუხი, პირიქით, შესაძლებელია განსხვავებული თვალსაზრისის გამოხატვა. ამგვარად, აუცილებელია, რომ ზემოხსენებულმა პროცესმა შეძლოს საქმეების ადაპტაცია, რათა მოიძებნოს საკითხთან ახლოს მდგომი პოზიტიური და ნეგატიური საქმეები თუ არგუმენტები.

აღბათ სამართლის სფეროში საქმეზე დაფუძნებული მსჯელობის ყველაზე დიდ უპირატესობას წარმოადგენს მისი უნარი გადალახოს ლოგიკისა და წესებზე დაფუძნებული სისტემების შეზღუდვები. ასეთ სისტემებს შეიძლება აკლდეს ლოგიკური და სემანტიკური ორაზროვნება, ლოგიკური წინააღმდეგობა, არაფორმულირებული პირობები; ან პრეზენტაციისას ენას აკლდეს ექსპრესიულობა, ან მას არ გააჩნდეს სამართლის მოქმედების ძლიერი მოდელი. ფართო მასშტაბით, საქმეზე დაფუძნებული მსჯელობის მეთოდებმა შეიძლება გადაჭრან მრავალი ზემოხსენებული პრობლემა.

მსჯელობის სტრატეგიების გაერთიანება

როგორც უკვე მოგახსენეთ, დედუქციური მიდგომა სუსტად იყენებს ღია სახის ტექსტის განმარტებას, მაგრამ საკმაოდ კარგად ახორციელებს სხვა სახის მსჯელობას. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ დავადგინოთ, თუ სამართლებრივი მსჯელობის რომელი ასპექტი არის ან არ არის სწორი დედუქციისთვის და ამგვარად გადავწყვიტოთ, თუ სად უნდა გამოვიყენოთ ინდუქცია და ანალოგია იმ სისტემებში, რომლებიც მსჯელობის ყველა ამ სახეობას იყენებენ.

დედუქციის მთავარი პრობლემა ჩნდება მაშინ, როდესაც ღებება ინტერპრეტაციის აუცილებლობის საკითხი. საკანონმდებლო მასალა ხშირად ორაზროვანი, ბუნდოვანი ან გაურკვეველია. ორაზროვნების მთავარი წყარო შეიძლება იყოს თავად ნორმა. მაგალითად, პრობლემებს ხშირად იწვევენ დაუდგენელი ან წინასწარი პირობები და გამონაკლისები, ან განმარტებების ცირკულაცია. დაუდგენელი პირობების შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ დიდ დროს მოითხოვენ, შესაძლებელია დავამატოთ სხვა წესებიც, იმ შემთხვევაში,

თუ ვინმე დაადგენს, რომელი წესები იქნება მართებული. ხოლო ლოგიკური ორაზროვნების შემთხვევაში, როგორცაა მაგალითად, ცირკულარული განმარტებები, ლოგიკასა და წესებზე დაფუძნებულ სისტემებში შეუძლებელია კანონის ისე აღსრულება, როგორც ის არის მოცემული. შესაძლებელია კანონის აღსრულება ისე, როგორც ეს სპეციალისტს ან დარგის ექსპერტს მიაჩნია სწორად, მაგრამ იურისტის თვალში ამან შეიძლება ეჭვი დაბადოს და შეზღუდოს ამ სისტემის გამოყენება.

მაგალითად, დავეშვათ, რომ პიროვნებას ეკუთვნის სოციალური გარანტიები, თუ იგი არის მარტონხელა მშობელია და მის კმაყოფაზეა შვილი. კმაყოფაზე მყოფი ბავშვის განმარტება მოცემულია კანონში და იქ წერია: „მარტონხელა მშობლის ნებისმიერი ბავშვი“. დაბოლოს, მარტონხელა მშობელი განმარტებულია, როგორც „მშობელი, რომელიც არის მარტონხელა (დაუქორწინებელი) და ჰყავს კმაყოფაზე მყოფი ბავშვები.“ ეს არის ცირკულარული განმარტება, რადგან თავად „მარტონხელა მშობლის“ ცნება განმარტებულია კმაყოფაზე მყოფ ბავშვთან მიმართებაში, ხოლო „კმაყოფაზე მყოფი ბავშვის“ განმარტება მოცემულია მარტონხელა მშობლის განმარტებაზე მინიშნებით. აქედან გამომდინარე, წესებზე დაფუძნებული სისტემა ვერ დაადგენს, რას ვგულისხმობთ ჩვენ „მარტონხელა მშობელში“ ან „კმაყოფაზე მყოფ ბავშვში“, მხოლოდ თითოეული მათგანის მოხსენიებით. ამგვარად, „მარტონხელა მშობლის“ ან „კმაყოფაზე მყოფი ბავშვის“ ცნებები წარმოადგენენ ღია სახის ტექსტს, რადგან ჩვენ სისტემას არ ძალუძს დაადგინოს დამატებითი ინფორმაცია რომელიმე ნორმის შესახებ. ეს პრობლემები ვერ გადაიჭრება გაურკვეველ საკითხებთან დაკავშირებით სხვა წესების დამატების მეშვეობით. ამის მაგივრად სჯობს და აუცილებელია გამოვიყენოთ სხვა მეთოდები.

როგორც ინდუქცია, ისე ანალოგია შეიძლება გამოვიყენოთ სამართლებრივი ორაზროვნების პრობლემის გადასაჭრელად ისეთ სიტუაციებში, რომლებიც ზემოთ იქნა განხილული. ინდუქციის მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ, თუ რომელ ორ ან მეტ შესაძლო ინტერპრეტაციას ანიჭებს უპირატესობას მოსამართლე. ვინაიდან ინდუქცია არის უბრალოდ სტატისტიკური ანალიზი, ჩვენ შეგვიძლია

გამოვიკვლიოთ და დავინახოთ ის განსხვავებული ინტერპრეტაციები, რომლებიც კანონის ტერმინოლოგიაში არის ჩადებული. ან, ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ საქმეზე დაფუძნებული მსჯელობა, რათა ჩავატაროთ კვლევა და შემდეგ, ადაპტაციის გამოყენებით, მოვახდინოთ ფაქტების მოდიფიკაცია, რათა დავინახოთ, რომელი შეიძლება იყოს კლიენტისთვის ყველაზე მისაღები და საუკეთესო შედეგი.

დასკვნა

სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღებისას უნდა მოხდეს დედუქციის, ინდუქციისა და ანალოგიაზე დაფუძნებული მსჯელობის გაერთიანება. დედუქციური მსჯელობა შეიძლება გამოვიყენოთ კანონების შემუშავებისას. პრეცედენტების შემუშავება შესაძლებელია იმით, რომ ვთხოვოთ დარგის სპეციალისტებს მოახდინონ პრეცედენტების საფუძველზე მიღებული ცოდნის კოდირება წესებში.

ინდუქცია გამოიყენებულ იქნა პრეცედენტებიდან წესების მისაღებად, როგორც ეს იყო ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითში ოჯახური სამართლიდან. საქმეების გამოყენების ალტერნატიულ ვარიანტს წარმოადგენს ღრმა კონცეპტუალური მოდელების შექმნა. სხვები მსჯელობენ უშუალოდ პრეცედენტების საფუძველზე, იყენებენ რა ანალოგიებით მსჯელობას.

დედუქციური, ინდუქციური და ანალოგიაზე დაფუძნებული მსჯელობის გაერთიანება წარმოადგენს სამართლებრივი გადაწყვეტილების აგების შესანიშნავ მეთოდს.

პრობლემების დადგენა – პირველი საფეხური

„საქმეში არსებული ფაქტები გვთავაზობენ პრობლემას“

პრობლემის დასადგენად აუცილებელია შეგვეძლოს დაადგინო, თუ რომელი ფაქტებისგან წარმოიშვა ესა თუ ის პრობლემა. კანონის სირთულის გამო, ერთი ფაქტის გაუქმებამ/დამატებამ (მაგალითად, დღის რომელ საათზე, ან სვამდა თუ არა ვიღაცა) შეიძლება გადაჭრას ან დაუმატოს პრობლემები საქმეს და აქედან გამოძინარე,

წარმოშვას სამართლის აბსოლუტურად განსხვავებული ნორმები.

მაგალითად, მოსამართლე უბრალოდ განაცხადებს:

„საქმე უბრუნდება საკითხს იმის შესახებ...“

ან, „აქედან გამომდინარე, ჩვენ მიველით საქმეში არსებულ მთავარ პრობლემამდე.“

მიუხედავად ამისა, თქვენ აუცილებლად უნდა გამოიმუშაოთ პრობლემის დადგენის უნარ-ჩვევები, რათა წარმატებული იურიისტი გახდეთ.

კითხვები, რომლებიც უნდა დაისვას საქმის წაკითხვის დროს:

რომელმა ფაქტებმა და გარემოებებმა მოიყვანა ეს მხარეები სასამართლოში?

გამოიყენება თუ არა ფაქტებში პროფესიული სიტყვები, რომლებიც პრობლემას ქმნიან?

წყვეტს თუ არა სასამართლო ფაქტის საკითხს, ანუ მხარეები დავობენ იმაზე, თუ რა მოხდა, თუ ეს უბრალოდ სამართლის საკითხია, ანუ სასამართლო არ არის დარწმუნებული, რომელი წესი გამოიყენოს ამ ფაქტებთან დაკავშირებით?

რა არ წარმოადგენს პრობლემას?

როდესაც თქვენ ტექსტს კითხულობთ, გამოყავით პრობლემა, როგორც კონკრეტულ ფაქტებთან დაკავშირებული საკითხი. განიხილეთ მაგალითები (ქვემოთ), რათა ნახოთ, როგორ კეთდება ეს. პრობლემასთან დაკავშირებით კონკრეტული ფაქტების ჩართვით თქვენ შეძლებთ შექმნათ მონაცემთა ბაზა საკითხების ირგვლივ, რომელიც მომავალში მათი ციტირებისთვის გამოგადგებათ.

ნორმა – რა არის კანონი?

„საკითხი განხილულია **სამართლის ნორმაში**“.

უბრალოდ დაწერეთ, რომ ნორმა არის კანონი. ნორმა შეიძლება იყოს საერთო კანონი, რომელიც შემუშავდა სასამართლოების მიერ, ან კანონი, რომელიც კანონმდებლების მიერ იქნა მიღებული.

ნებისმიერ საქმესთან დაკავშირებით, რომელსაც თქვენ კითხულობთ, გამოყავით სამართლის ნორმა, მისი შემადგენელ ნაწილებად

დაყოფის მეშვეობით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დასვით შეკითხვა: ნორმის რომელი ელემენტები უნდა დამტკიცდეს, რათა ეს ნორმა შესრულდეს?

კითხვები, რომლებიც უნდა დაისვას საქმის წაკითხვის დროს:

რომელია ის ელემენტები, რომლებიც ნორმას ადასტურებენ?

რომელია გამონაკლისები ამ ნორმიდან?

რომელი საფუძვლებიდან მოდის ეს? კანონიდან? ახალი ნორმიდან?

რომელი ძირითადი სახელმწიფო პოლიტიკა დევს ამ ნორმის უკან?

გათვალისწინებულია სოციალური აზრი?

წინდაუხედავებისთვის მახეს წარმოადგენს ნორმაზე შეჩერება. მიუხედავად იმისა, რომ ნორმა კანონია, სამართლის პრაქტიკის ხელოვნება ანალიზის უნარში მდგომარეობს.

ანალიზი – იურისტის ხელოვნება

„შეადარეთ ფაქტები და ნორმები, რათა განახორციელოთ ანალიზი.“

ეს მნიშვნელოვანი სფერო მართლაც რომ შედარებით მარტივია. ყოველ მნიშვნელოვან ფაქტთან დაკავშირებით თქვენ უნდა დასვით შეკითხვა: ხელს შეუწყობს თუ არა ეს ფაქტი ნორმის დადასტურებას ან არდადასტურებას? თუ ნორმა მოითხოვს, რომ სახეზე იყოს კონკრეტული გარემოება, რათა მოხდეს ამ ნორმის გამოყენება, მაშინ ამ გარემოების არარსებობა დაგეზმარებათ გააკეთოთ დასკვნა, რომ ნორმა არ გამოიყენება. მაგალითად, წარმოიდგინეთ, რომ საქონლის გაყიდვასთან დაკავშირებული თითოეული კონტრაქტი, რომელიც აღემატება 500 აშშ დოლარს, უნდა იყოს წერილობითი ფორმით. შესაბამისად, საქონლის გაყიდვასთან დაკავშირებული კონტრაქტის ანალიზისას, თქვენ იყენებთ ორი ფაქტორის არსებობას ან არარსებობას: საქონლის ღირებულებას და არსებობს თუ არა წერილობითი კონტრაქტი, რათა ნახოთ, სრულდება თუ არ სრულდება დადგენილი ნორმა.

ყველაზე დიდი შეცდომა, რომელსაც იურისტები უშვებენ ამ სტადარტის გამოყენების დროს, არის პრობლემის დადგენა და მხოლოდ ნორმის გადმოცემა ყოველგვარი ანალიზის გაკეთების გარეშე. რასაკვირველია, თქვენ პატივი უნდა სცეთ კანონს, მაგრამ შეგიძლიათ თუ არა თქვენ კანონი გამოიყენოთ მოცემულ გარემოებებთან მიმართებაში? ანალიზი „სკად“-ის ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს, რადგან სწორედ აქ აქვს ადგილი ჭეშმარიტ აზროვნებას.

კითხვები, რომლებიც უნდა დაისვას საქმის წაკითხვის დროს: რომელი ფაქტები უწყობენ ხელს ამა თუ იმ ნორმის დადასტურებას?

რატომ არის ზოგიერთი ფაქტი მნიშვნელოვანი?

როგორ აკმაყოფილებენ ეს ფაქტები ამ ნორმას?

რა ტიპის ფაქტები გამოიყენება ამ ნორმასთან მიმართებაში?

როგორ უწყობენ ეს ფაქტები ხელს სახელმწიფო პოლიტიკას, რომელიც ამ ნორმას უდევს საფუძვლად?

როგორია პრობლემის სხვაგვარად გადაჭრის კონტრარგუმენტი?

დასკვნა – პოზიციის დაკავება

„ანალიზიდან თქვენ მიღიხართ დასკვნამდე იმის შესახებ, გამოდგება თუ არა ეს ნორმა ფაქტებთან დაკავშირებით.“

დასკვნა არის განტოლების ყველაზე მოკლე ნაწილი. ეს შეიძლება იყოს ან მარტივი „დიახ“ ან „არა“ იმასთან დაკავშირებით, მიესადაგება თუ არა ეს ნორმა კონკრეტულ ფაქტებს. ზოგად შეცდომას წარმოადგენს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით კონკრეტული პოზიციის დაუკავებლობა.

მეორე ზოგად შეცდომას წარმოადგენს რაიმე დასკვნის გაკეთება ყოველგვარ საფუძველს მოკლებული შეხედულების გარეშე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თქვენ ადგენთ პრობლემას, ასახელებთ ნორმას და შემდეგ აკეთებთ დასკვნას ყოველგვარი ანალიზის ჩატარების გარეშე. უზრუნველყავით, რომ რა პოზიციაც არ უნდა დაიკავოთ თქვენ, მას ჰქონდეს მყარი საფუძვლები და დაეყ-

რდნოს ანალიზს. ყოველთვის გახსოვდეთ ის პოზიცია, რომელსაც თქვენ დაიკავებთ, მიუხედავად იმისა, გამოიყენება თუ არა ეს ნორმა მასთან მიმართებაში.

თუ ნორმა არ გამოიყენება, მაშინ ნუ გაებმებით მახეში, რომ დაბეჯითებით ამტკიცოთ რომელიმე მხარის პასუხისმგებლობა ან უდანაშაულობა. შეიძლება არსებობდეს სხვა ნორმა, რომლის მეშვეობითაც უნდა მოხდეს მხარის განსჯა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თქვენ უნდა დაასკვნათ, უნდა მოხდეს თუ არა ნორმის გამოყენება, მაგრამ თქვენ დაბეჯითებით არ უნდა ამტკიცოთ შესაძლებელი არის თუ არა რაიმე სხვა შედეგის მიღება. ამ შემთხვევაში, თქვენ უნდა მოიშველიოთ სხვა ნორმა და კვლავ განახორციელოთ ამ ფაქტების ანალიზი.

გარდა ამისა, დასკვნა ყოველთვის უნდა გამოცხადდეს, როგორც *შესაძლო შედეგი*. სასამართლოებს შეიძლება აბსოლუტურად განსხვავებული დამოკიდებულება გააჩნდეთ მოცემული ფაქტების მიმართ და, როგორც წესი, არსებობს სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობაც. უზრუნველყავით, რომ განიხილოთ ოპონენტის პოზიცია. თუ თქვენ საქმეს ექნება ხარვეზები, აუცილებელია აღიაროთ ეს სუსტი მხარეები და დაადგინოთ ისინი.

კითხვები, რომლებიც უნდა დაისვას საქმის წაკითხვის დროს:

როგორია სასამართლო გადაწყვეტილება საქმესთან დაკავშირებით?

მოახდინა თუ არა სასამართლო გადაწყვეტილებამ არსებული სამართლის ნორმის მოდიფიცირება?

როგორია სასამართლო გადაწყვეტილების **საპროცესო შედეგი**? გაპროტესტების შემთხვევაში, დააკმაყოფილებთ, თუ ხელახლა დაუბრუნებთ პირველ ინსტანციას?

ხელს უწყობს თუ არა სასამართლო გადაწყვეტილება ნორმის ძირითად პოლიტიკას?


ეთანხმებით თუ არა საქმის შედეგებს?

„სკად“-ის ტრიადა ფაქტები

„სკად“-ის ტრიადა „სკად“-ი არის სასარგებლო მოდელი. მიუხედავად ამისა, დროის ზეწოლის გამო, მრავალი იურისტი იძულებულია გამოტოვოს განტოლების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი – ანალიზი.

იმისათვის, რომ დაინახოთ ანალიზის მნიშვნელობა, შეხედეთ ტრადიციულ მოდელს, რომელიც აისახა „სკად“-ის ტრიადაში:

„სკად“-ის ტრიადა



„სკად“-ის ტრიადა ხაზს უსვამს ანალიზს, იყენებს რა ფაქტებს, საკითხსა და კანონს. ანალიზი წარმოადგენს საბოლოო პროდუქტს და „სკად“-ის ტრიადის ძირითად მიზანს, მაგრამ გამოყოფილია ის როლი, რომელსაც ფაქტები თამაშობენ ანალიზის ფორმირებაში.

I საფეხური: საქმის ფაქტები გვთავაზობენ საკითხს. სამართლებრივი საკითხი არ გაჩნდება მანამ, სანამ რაიმე მოვლენას არ ექნება ადგილი.

II საფეხური: საკითხი იმართება სამართლის ნორმით.

საკითხი ავტომატურად განსაზღვრავს იმას, თუ რომელი ნორმა არის გამოყენებული.

III საფეხური: ერთმანეთს შეადარეთ ფაქტები და ნორმები,

რათა განახორციელოთ ანალიზი.

აკმაყოფილებენ თუ არა ფაქტები ნორმის მოთხოვნებს?

ტრიადა ფაქტობრივად არის უბრალო დიაგრამა, რომელშიც ფაქტები შეიძლება დეტალურად დავაშუშაოთ და დავაკლასიფიციროთ.

ფაქტური წერა:

შემადგენელი ნაწილები

„ადვოკატმა, რომელიც ცდილობს დაარწმუნოს, უპირველეს ყოვლისა, უნდა ეცადოს, რომ ასიამოვნოს.“ მარკუს ფაბიუს კვინტილიანე, ჩ/წ 35-96 საუკუნის რიტორიკოსი

მთავარი აზრი

ფაქტური წერის ეს შემადგენელი ნაწილი გულისხმობს ყურადღების გამახვილებას მკაფიო, მართვად აზრებსა თუ არგუმენტზე, ხოლო შემდეგ მის ირგვლივ თქვენი მასალის ორგანიზებაზე. ეს მოიცავს მეორეხარისხოვანი აზრების შერჩევას, რომელიც გაამყარებს და გააძლიერებს მთავარ აზრს.

ორიენტირები:

მთავარი აზრი/მიზანი საკმაოდ ვიწროა მნიშვნელოვანი დისკუსიისთვის.

მთავარი აზრი მკაფიოდ არის დადგენილი, როგორც წესი, დასაწყისშივე.

ყველა მეორეხარისხოვანი აზრი მკაფიოდ უკავშირდება მთავარ აზრს.

ორგანიზება

წერის ეს ელემენტი ეხება მასალის თანმიმდევრულ ორგანიზებას. იგი გულისხმობს მკითხველის ორიენტირებას მთავარ და მეორეხარისხოვან აზრებზე. კარგი ორგანიზება ლოგიკური და აკურატულია. იგი მიუძღვება მკითხველს მასალის სხვადასხვა დანაყოფებს შორის.

ორიენტირები

შესავალს მიჰყავს მკითხველი მთავარ აზრამდე და მსჯელობამდე.

მასალა ორგანიზებულია ლოგიკურად და თანმიმდევრულად (გასაგებად). გადასვლები არის მკაფიო და საჭირო.

დასკვნაში ხდება არგუმენტის შეჯამება, აქცენტი გაკეთებულია მთავარ აზრზე და მკითხველს უჩნდება დასრულების შეგრძობა.

დამხმარე მასალა

განმარტებები, მაგალითები, სტატისტიკა და ციტატები ქმნიან აზრებსა და ინფორმაციას, რომლებიც წარმოდგენილია წარმოსახვითად და მკითხველისთვის დასამახსოვრებლად. ამ ექსპოზიციისას, დამხმარე მასალის ფუნქციას წარმოადგენს დაზუსტება, ხოლო არგუმენტის ფუნქციას – დარწმუნება.

ორიენტირები

მაგალითები არის შესაბამისი, კონკრეტული, დეტალური, საკმაოდ რისი და დამაჯერებელი. ციტატები ამაგრებენ არგუმენტებს.

გამოხატვა, სიტყვების შერჩევა და თვალსაზრისი

ენა არის მკაფიო, კონკრეტული, ზუსტი და აუდიტორიის, მიზნისა და მასალის შესაფერისი. მრავალფეროვნება წარმოქმნის აქცენტებს წინადადების სტრუქტურასა და სიგრძეში.

ორიენტირები

სიტყვების შერჩევა არის მკაფიო, კონკრეტული, ზუსტი, სადა და თავისუფალია კლიშეებისგან და პროფესიული ენის არასწორად გამოყენებისგან.

წინადადებები გათავისუფლებულია მრავალსიტყვაობისგან და ორაზროვნებისგან.

მართლწერა, გრამატიკა და პუნქტუაცია

კარგი წერის ამ ელემენტს დიდი მნიშვნელობა აქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი არასწორია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ,

მკითხველები მხოლოდ მაშინ აქცევენ ყურადღებას მართლწერას, გრამატიკასა და პუნქტუაციას, როდესაც თქვენ შეცდომას უშვებთ.

ორიენტირები

მართლწერა სწორია, მათ შორის ტექნიკური ტერმინებისა და საკუთარი სახელებისაც.

განზრახული მნიშვნელობის გადმოსაცემად გამოყენებულია სწორი სიტყვები.

დაცულია გრამატიკისა და სინტაქსის საყოველთაოდ აღიარებული ნორმები, მათ შორის ნაცვალსახელისა და არსებითი სახელის შეთანხმება, არსებითი სახელისა და ზმნის შეთანხმება, ნახმარია ზმნის სწორი ფორმა, ნაცვალსახელის ბრუნვა, კუთვნილებითი ბრუნვა, პარალელური კონსტრუქციები და სხვა.

აბზაცის სტრუქტურა

სხვადასხვა ენას, სხვადასხვა კულტურას შეიძლება გააჩნდეს სხვადასხვა მიდგომა ტექსტის, მათ შორის იურიდიული ტექსტების აგების მიმართ.

ჩვენ, როგორც იურისტებს, მოგვეთხოვება, რომ თითოეული აბზაცი ავაგოთ ლოგიკურად და ორგანიზებულად. ამის შესწავლა ხელს შეუწყობს თქვენი შესაძლებლობების პროფესიულ ჩვევად გადაქცევას.

ფორმულა მარტივია. თითოეული აბზაცის პირველ წინადადებას ეწოდება „თემატური წინადადება.“ ასეთი წინადადება თითქმის იგივეა, რაც მოხსენების ან ანგარიშის სათაური: იგი ეუბნება მკითხველს, თუ რა წერია აბზაცის დარჩენილ ნაწილში და რას შეეხება ეს აბზაცი. აბზაცის მთავარ ნაწილში მოცემულმა წინადადებაებმა შეიძლება:


ან გაამაგროს თემატურ ნაწილში მოცემული გამონათქვამები, თუ ავტორი ცდილობს გამოხატოს თავისი შეხედულებები,

ან შეიმუშავოს ეს თემატური წინადადება, თუ ავტორი ახდენს სიტუაციის ან პროცესის აღწერას (იხ. შემდეგი გვერდი).

აბზაცმა შეიძლება ასევე მოიცვას შემაჯამებელი ან დასკვნითი წინადადება.

შესაძლებელია წარმოვიდგინოთ პირამიდის ფორმის აბზაცი, რომლის თავშიც იქნება თემატური წინადადება, რომელიც მოგვაწვდის ამ აბზაცის მთავარ აზრს და გამაგრებული ან განვითარებული იქნება უფრო კონკრეტული წინადადებებით:

თემატური წინადადება: მთავარი ნაწილი (დახმარება)



კარგად დაწერილი წერილიდან ან ანგარიშიდან, რომელშიც დაცული იქნება აბზაცის ეს სტრუქტურა, მკითხველმა შეიძლება სწრაფად გამოიტანოს მთავარი აზრები, უბრალოდ თი-თოეული აბზაცის პირველი წინადადების სწრაფი გადაკითხვით. ამის შემდეგ, მკითხველებს შეუძლიათ გადაწყვიტონ, სურთ თუ არა მათ დეტალების გაცნობა (შეადარეთ ეს ჟურნალისტურ ტექსტს). ცუდად დაწერილ ტექსტში უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია შეიძლება დამალული იყოს აბზაცში და გვეგონოს, რომ ეს აბზაცი სულ სხვა რაიმეს ეხება. ამგვარად, თანმიმდევრული წერა არა მარტო ზოგავს თქვენი აუდიტორიის დროს, არამედ უზრუნველყოფს, რომ ისინი აუცილებლად მოძებნიან ტექსტში იმ ადგილს, რომელსაც ეძებენ.

აბზაცის სტრუქტურა

ქვევით გთავაზობთ პირველი სახის აბზაცის მაგალითს, რომელშიც თემატური წინადადების შემდგომ მოცემული გამონათქვამები ლოგიკურად ამაგრებენ მას.

სამართლებრივი არგუმენტაცია მოითხოვს სისტემურ, დისციპლინირებულ მიდგომას. აზრების დაუკავშირებლობა, ლოგიკური შეცდომები, ცუდი სტრუქტურა და შინაარსისა და წარმოდგენის სხვა თავისებურებები მკითხველს ეუბნება, რომ როგორც არგუმენტი, ისე მის უკან მდგომი გამოკვლევა პროფესიულად არაკომპეტენტურია. ასეთი შთაბეჭდილების ლოგიკური შედეგი შეიძლება იყოს

როგორც პროფესიული ქმედუნარიანობის უბრალო უქონლობა, ისე სტატუსისა და რეპუტაციის დაკარგვა.

ყურადღება მიაქციეთ იმ გარემოებას, რომ აბზაცის მთავარი ნაწილი ამაგრებს მტკიცებას, რომ სამართლებრივი არგუმენტაციის ელემენტარულ საკითხებს დიდი მნიშვნელობა აქვთ, გვ-თავაზობს რა მაგალითებს იმასთან დაკავშირებით, თუ რა შეიძლება მოჰყვეს მის არასერიოზულ აღქმას.

ქვევით გთავაზობთ მეორე აბზაცის მაგალითს (მრავალეროვან იურიდიულ ფირმებში საერთო პროცედურების დაწესებასთან დაკავშირებით), სადაც ხდება თემატური წინადადების განვითარება და არა მისი მხოლოდ ლოგიკური გამაგრება.

მრავალეროვანი იურიდიული ფირმების სამყაროში საერთო თავისებურებას წარმოადგენს მსხვილი უცხოური ფირმების შერწყმა პატარა ადგილობრივ იურიდიულ ფირმებთან. ხშირად ეს არის ნიუ-იორკის ან ლონდონის ფირმების დიდი ხნის წინ შექმნილი პრაქტიკა, როდესაც ისინი ბაზარზე იძენენ ადგილობრივ ფირმას ხელმისაწვდომობის მოსაპოვებლად. ახალი, გაფართოებული ფირმის პარტნიორებს დასჭირდებათ ეფექტური ადმინისტრაციული პროცედურების შექმნა, რათა უზრუნველყონ შეუფერხებელი მუშაობა. საკომუნიკაციო კავშირები აუცილებლად პრიორიტეტი იქნება.

ყურადღება მიაქციეთ იმ გარემოებას, რომ თემატური წინადადება გაცილებით ზოგადია და არ საჭიროებს ლოგიკურ გამაგრებას. იგი გვთავაზობს იმის მოკლე მიმოხილვას, რაც აბზაცში არის განხილული.

სამართლებრივი კვლევა

2010 წლის 1 ოქტომბრამდე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ფაქტობრივად კრძალავდა ნებისმიერი სახის პრეცედენტულ სამართალს და, აქედან გამომდინარე, სასამართლო გადაწყვეტილებების კვლევა არაფრამდე არ მიგვიყვანს. მაგრამ ახალი კოდექსი ძველისაგან განსხვავებით, ხელს უწყობს პრეცედენტული სამართლის შექმნას. ამიტომ სააპელაციო და უზენაესი სასამართლოების გადაწყვეტილებების კვლევა კანონის ძალზე ავ-

ტორიტეტული წყარო გახდება. მაგრამ შეიძლება კიდევ ბევრი წელი დასჭირდეს ავტორიტეტული პრეცედენტული სამართლის შექმნას. ამიტომ იურისტების უნარ-ჩვევები ამ სფეროში სულ უფრო გამოყენებადი და გამოსადეგი ხდება. ეს კურსი ყურადღებას ამახვილებს ახალ კოდექსზე და ამიტომ ჩვენ შეხება გვიქნება პრეცედენტულ სამართალთან.

სამართლებრივი კვლევის ჩატარება

იურიდიული უფლებამოსილებების სახეობები
ეს იყოფა ორ სახეობად: პირველადი და მეორეხარისხოვანი
წყაროები. პირველადი იურიდიული მასალები მოიცავენ
კანონებს, საქმეებსა და ნორმატიულ აქტებს

– თავად კანონს.

მეორეხარისხოვანი იურიდიული მასალები ახდენენ კანონის კომენტირებასა და ინტერპრეტაციას.

პირველადი (იხ. ქვევით): საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

მეორადი (იხ. ქვევით):

იურიდიული ენციკლოპედიები წარმოადგენენ შესანიშნავ ინსტრუმენტს, რომელთაც გააჩნიათ მოკლე ინფორმაციები (რეზიუმე) სამართლის მრავალი საკითხის შესახებ. სქოლიოებში მოცემულია საქმეები და კანონები, რომელთა მეშვეობითაც თქვენ შეგიძლიათ დაიწყოთ ძირითადი კვლევა.

იურიდიული პერიოდული გამოცემები მოიცავენ იურიდიულ გაზეთებს, იურისტთა ჟურნალებს და სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვას. ეს პუბლიკაციები მოიცავენ მუხლებს და, სურვილის შემთხვევაში, სწორედ აქედან უნდა დაიწყოთ ახალი ინფორმაციის მიღება.

პრეცედენტული სამართლის გამოყენება

პრეცედენტული სამართალი გამოყენებულ უნდა იქნეს იმისათვის, რომ დავანახოთ, თუ სასამართლოებმა როგორ გაართვეს წარსულში თავი ანალოგიურ ფაქტებს. შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც სავალდებულო, ისე დამაჯერებელი პრეცედენტული საქ-

მეები. მიუხედავად ამისა, სასამართლოს მოეთხოვება დაიცვას მხოლოდ სავალდებულო საქმეები.

საქმის განხილვა:

სასამართლოს სთხოვეს რაღაცის გაკეთება.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიღო რაღაც გადაწყვეტილება (არ დაწეროთ „განიხილა“, „გააანალიზა“, „მიიჩინა“).

სააპელაციო სასამართლომ მიიღო რაღაც გადაწყვეტილება (როგორც წესი, დაამტკიცა, შეცვალა ან გააუქმა გადაწყვეტილება, ან გადადო საქმის მოსმენა).

1-3-ის შემდეგ, დაამატეთ საქმესთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი დეტალები.

ამოცანა: მოკლე მიმოხილვის დაწერა

მოკლე მიმოხილვა არის რეზიუმე სასამართლოს შეხედულების შესახებ და მისი ანალიზი. არსებობს სამართლებრივი რეზიუმეს დაწერისა და მისი აგების რამდენიმე საშუალება. ამ ამოცანასთან დაკავშირებით დაიცავით შემდეგი ფორმატი:

საქმის დასახელება და მასზე გადაწყვეტილების მიღების წელი.

საქმეზე დართული ფაქტები: ვინ ვის რა გაუკეთა და რატომ? რომელია სპეციფიკური კანონი ან პოლიტიკა, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ იქნა დაყენებული, როგორც არაკონსტიტუციური და რატომ ამტკიცებს მოსარჩელე/აპელანტი, რომ იგი არაკონსტიტუციურია? (მოაქციეთ ეს ნაწილი ერთ პარაგრაფში).

საკითხები: რომელია მთავარი სამართლებრივი საკითხ(ებ) ი, რომლის განხილვასაც სასამართლოს სთხოვენ? (მოაქციეთ ეს ნაწილი ერთ ან ორ წინადადებაში).

გადაწყვეტილება: მოსამართლეების რაოდენობა უმრავლესობაში; იმ მოსამართლეთა რაოდენობა, რომელთა შეხედულება ემთხვევა მოსამართლეთა უმრავლესობის შეხედულებებს; იმ მოსამართლეთა რაოდენობა, რომელთა განსაკუთრებული შეხედულება არ ემთხვევა მოსამართლეთა უმრავლესობის შეხედულებებს).

უმრავლესობის შეხედულების დასაბუთების მოკლე მიმოხილვა.

სხვა შეხედულებების დასაბუთების მოკლე მიმოხილვა (რომელიც ემთხვევა ან არ ემთხვევა უმრავლესობის შეხედულებებს).

სასამართლო გადაწყვეტილების პოლიტიკური მნიშვნელობა.

ყველა რეზიუმე უნდა დაიბეჭდოს და განთავსდეს ერთ ან ორ გვერდზე.

პრინციპი 3. შინაარსზე ნაწილი ტონი

პროკურორის/ადვოკატის ნაწერის „ტონი“, სასამართლოში მოსმენის ანალოგიურად, ვლინდება ძირითადად მეორე მხარესთან დამოკიდებულებაში. მიუხედავად იმისა, რომ ამის თაობაზე ზოგადი საუბარი უკვე გვქონდა დამაჯერებლობის შენარჩუნების აუცილებლობის კონტექსტში, ეს სფერო საკმარისად მნიშვნელოვანია ცალკე პრინციპის დონეზე ჩამოყალიბებისათვის. განსაკუთრებით, თუ არასწორი ტონის შერჩევა წერილობითი არგუმენტების ჩამოყალიბების დროს ხშირად უნებლიეთ ხდება.

ტონის შერჩევას, ხშირად თავს იჩენს პროკურორის/ადვოკატის მიერ საკუთარი საპროცესო როლის ზედმეტად, გადაფასებით აღქმა. დაუშვებელია მოწინააღმდეგე მხარის არგუმენტების მიმართ – თუნდაც ძალიან სუსტი არგუმენტების მიმართ – დამცინავი, თვითდაჯერებული პოზიციის დაჭერა. ეს ნეგატიურ გავლენას ახდენს, პირველ რიგში, სასამართლოზე, რომელსაც სინამდვილეში არცთუ ისე მარტივი ამოცანა აქვს შესასრულებელი და ამასთან მოსამართლე პროკურორისაგან, პროფესიის სპეციფიკიდან და ზოგადად ბრალდების მხარისადმი დადებითი განწყობის პირობებში, საქმისადმი უფრო პროფესიონალურ და ობიექტურ მიდგომას მოელოდა.

ამიტომ, პროკურორმა/ადვოკატმა უნდა აირჩიოს ობიექტური, გონივრული ტონი მეორე მხარის არგუმენტებზე კომენტარების გაკეთებისა თუ კონტრ-არგუმენტების წარმოდგენის დროს. ზედმეტი სარკაზმით მოწინააღმდეგის პოზიციაზე შეტევა საჭირო არ არის და ზედმეტ სიძლიერეს არ შემატებს პროკურორის/ადვოკატის პოზიციას: მოსამართლემ ისედაც იცის, რომ თქვენ არ ეთანხმებით

მოწინააღმდეგე მხარის პოზიციას. შესაბამისად, პროკურორმა/ადვოკატმა სასამართლოს თავშეკავებულობა და გონივრულობა უნდა აჩვენოს საპასუხო არგუმენტების წარმოდგენისას.

პირველ რიგში, ზოგადად უნდა აღნიშნოს, თუ რა საკითხზე არ ეთანხმება პროკურორი/ადვოკატი მეორე მხარეს. ეს შეიძლება გაკეთდეს მეორე მხარის მოსაზრების უბრალო ციტირებითაც (მაგალითად, „დაცვის მხარე ვერ დაეთანხმება ბრალდების მხარის მოსაზრებას, რომ 2007 წლის 1 ივლისს ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთიერი მტკიცებულება №1 დასაშვები მტკიცებულებაა“). ამის შემდეგ, პროკურორი/ადვოკატი უნდა გადავიდეს მოწინააღმდეგე მხარის პოზიციის უსაფუძვლობის დასაბუთებაზე – კერძოდ, ჩამოაყალიბოს საკუთარი კონტრარგუმენტები მეორე მხარის არგუმენტების საპირისპიროდ იმ თანმიმდევრობით, რომელიც მეორე მხარემ აირჩია. დაბოლოს, მოკლე დასკვნის სახით, ჩამოაყალიბოს ბრალდების/დაცვის პოზიცია სადავო საკითხთან დაკავშირებით. ამგვარი სტრუქტურის დაცვით, პროკურორი/ადვოკატი არასწორ ტონთან დაკავშირებული საფრთხეების უმეტესობას თავიდან აიცილებს.

თუმცა, შესაძლებელია იყოს შემთხვევა, როდესაც მხარის მიერ მოწოდებულ შუამდგომლობასა თუ საჩივარში არგუმენტები აშკარად მიუღებელი ან თუნდაც შეურაცხყოფელი ფორმით არის ჩამოყალიბებული. საპასუხო ზომების იმავე სტილით მიღება პროკურორისათვის პროფესიონალიზმის მაჩვენებელი ვერ იქნება და ამიტომ მსგავსი „შეტევის მიტანა“ მოწინააღმდეგე მხარეზე არ არის მიზანშეწონილი; მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მეორე მხარის ამგვარი მიდგომა უნდა იქნეს მარტივად იგნორირებული და არ გაეცეს სათანადო პასუხი. ერთ-ერთი გამოსავალი შეიძლება იყოს მეორე მხარის შუამდგომლობაში ან საჩივარში გამოყენებული ამგვარი ფრაზეოლოგიის ამოკრება და მარტივი სტატიისტიკური ანალიზის სახით მათზე ზოგადი დასკვნის გაკეთება. მაგალითად: „მხარემ, შუამდგომლობაში მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის თაობაზე, 10-ჯერ გამოიყენა სიტყვა „უკანონო“, 7-ჯერ – სიტყვა „თადლითური“, 7-ჯერ – სიტყვა „უსინდისო“, 5-ჯერ – „დანაშაული“, 3-ჯერ „წამება“ და ერთხელ – „სისხლის მსმელი“ მხარის მიერ

მტკიცებულების მოპოვების პროცესის აღწერისათვის. სასამართლო-სათვის ნათელია მხარის განწყობა მოწინააღმდეგე მხარისადმი, რისდა მიუხედავად ვეცდები ჩამოვყალიბო ჩემი მოსაზრებები №3 ნივთიერი მტკიცებულების დასაშვებობასთან დაკავშირებით“. ამით პროკურორი/ადვოკატი ობიექტურად მოახდენს საკუთარი პოზიციის სიძლიერის დემონსტრირებას მოწინააღმდეგე მხარესთან ზედმეტი ჭიდილის გარეშე.

ინსტრუქციები სამართლებრივი წერის გაუმჯობესებისთვის

შეუსაბამეთ მკითხველს ტექსტის ფუნქცია და სტილი. ერიდეთ გრძელ და ჩადგმულ ტექსტებს. ერიდეთ რთული წინადადებების აგებას. შეძლებისდაგვარად გამოიყენეთ მოქმედების გამომხატველი ზმნები, ნაცვლად პასიური ზმნებისა. ერიდეთ ორმაგი უარყოფის და გამონაკლისების გამოკლების გამოყენებას. ერიდეთ არაფრისმომცემ სინონიმებს (მაგალითად, ანულირებული და გაბათილებული); ტექნიკური იურიდიული ტერმინოლოგია გამოიყენეთ მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში. ერიდეთ პროფესიული ენის გამოყენებას. შეძლებისდაგვარად ერიდეთ ლათინური და უცხოური სიტყვების გამოყენებას.

პრინციპი 4. ენის სიმარტივე

სამართლის პროფესიონალებს შორის, განსაკუთრებით სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროს მუშაკებს შორის, საკმაოდ გავრცელებულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მარტივი, საყოველთაოდ გასაგები ენით დაწერილი სამართლებრივი დოკუმენტი არ არის სანდო, რომ ამგვარ დოკუმენტს სასამართლო სერიოზულად ვერ მიიღებს, რომ მისი შემდგენი იურისტი დაცნივის საგანი გახდება და ა.შ. ნაწილობრივ, ეს არის ინკვიზიციური პროცესისა და ზოგადად კონტინენტური სამართლის ქვეყნებში აღიარებული სამართლის სწავლების მიდგომის შედეგად გამოძუშავებული პროფესიული ჩვევა. ანუ, ფორმალისტური წერის სტილი, რომელიც გა-

დატვირთულია სამართლებრივი ტერმინოლოგიით, დაუსრულებელი წინადადებებით, უამრავი ზედსართავის გამოყენებით და ა.შ., აღიქმება როგორც „პროფესიონალური“, აკადემიური, მისაღები წერის სტილი, რომლის ზედმიწევნით მიყოლების შემთხვევაში ბრალდების/დაცვის პოზიცია განსაკუთრებით დამაჯერებლად წარდგება სასამართლოს წინაშე. დაბოლოს, ამგვარი წერის სტილი სწორედ სასამართლოს გადაწყვეტილების წერის ზოგადი სტილიდან იქნა ადაპტირებული, ხოლო „სამართლებრივ-ჟარგონული“ პასაჟები ხშირად შაბლონის რანგშია აყვანილი და მეორდება კონკრეტული საპროცესო დოკუმენტის თითქმის ყველა ფორმაში.

ამგვარი მიდგომა მცდარია ზოგადი, თუნდაც სამართლის სფეროს გარეთ მყოფი მრავალი ფაქტორის გამო, მაგრამ საკითხის განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ შეჯიბრებითი მართლმსაჯულების სისტემის თავისებურებებს. შეჯიბრებით სისტემას მოჰყვება არა მხოლოდ ახალი ინსტიტუტების შემოტანა ქვეყნის მართლმსაჯულების სისტემაში, არამედ პროცესის მონაწილეებს შორის ურთიერთობათა რადიკალური გადასინჯვაც. პირველ რიგში, პროკურორმა/ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს, რომ სასამართლოსადმი წერილობით მიმართვების და სასამართლოში სადავო საკითხების განხილვის რიცხვი, თითოეულ სისხლის სამართლის საქმეში, მკვეთრად იმატებს. მხარეებს უფრო ხშირად მოუწევთ დავა სასამართლოს მონაწილეობით, ხშირ შემთხვევაში გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მომენტიდან. ეს კი, თავის მხრივ, უკიდურესად ტვირთავს ისედაც გადატვირთულ სასამართლო სისტემას და დღის წესრიგში გარდუვალია მოსამართლის მიერ საქმეთა ეფექტური და სწრაფი მენეჯმენტის საკითხი. საპროცესო დოკუმენტების მართლწერის კონტექსტში ეს ნიშნავს, რომ მოსამართლეს უბრალოდ აღარ დარჩება დრო გრძელი, გადატვირთული დოკუმენტების წასაკითხად და მხარის მიერ მოყვანილი არგუმენტების გაანალიზებისათვის. ამრიგად, საპროცესო დოკუმენტების ლაკონიურად (იხ. ზემოთ) და მარტივად აღსაქმელი ენით შედგენა სისხლის სამართლის პროცესის აუცილებელი რეალობა გახდება.

პირველ რიგში, პროკურორმა/ადვოკატმა პრინციპად უნდა

გაითავისოს, რომ ფორმალური წერის მანერა თავისთავად ნაკლები შედეგის მომტანია. შუამდგომლობა ან საჩივარი არ არის ფილოსოფიური ნაშრომი ან აკადემიური დისერტაცია, სადაც რთული კონსტრუქციები აქსიომად არის აღიარებული, პირიქით, საპროცესო დოკუმენტის სიმარტივე არათუ ნაკლი, არამედ მისი მთავარი დადებითი მხარეა. თუ მკითხველს მოუწევს გონების მაქსიმალური დაძაბვა და პროკურორის/ადვოკატის რთულად აგებული პოსტულატებიდან არგუმენტების საკუთარი ძალებით გამოყვანა და გააზრება, ნებისმიერი მკითხველი უარს განაცხადებს ამგვარი ნაშრომის წაკითხვაზე პირველივე გვერდის გადალახვის შემდეგ.

მარტივი, საყოველთაოდ მიღებული ენის გამოყენება სამართლებრივი დოკუმენტების წერისას დამოკიდებულია საზოგადოებრივ კონტექსტზე და ხშირად, მარტივი წერის რაიმე სტანდარტული „რეცეპტის“ ან „ლექსიკონის“ შემოთავაზება შეუძლებელია. ამისდა მიუხედავად, მოკლედ მიმოვიხილოთ ის მიდგომები, რომლებიც აუცილებელია ნებისმიერი საპროცესო დოკუმენტისათვის:

ა) მოერიდეთ სამართლებრივი „ჟარგონის“ ზედმეტ გამოყენებას. ამგვარი „ჟარგონი“ ხშირად მოიცავს ისეთ ფრაზებს, როგორცაა „არ დაადგა გამოსწორების გზას“, „თანაქონი“, „რითაც გამოხატა აშკარა უპატივცემულობა“, „განზრახვა სისრულეში მიყვანა“ და ა.შ. ხშირად, ამგვარი ჟარგონი გამოიყენება ერთგვარი „უხერხულობის“ თავიდან ასაცილებლად, როდესაც პროკურორს/ადვოკატს უწევს კონკრეტული ადამიანების პირადი შეცდომებისა და ტრაგედიების შესახებ საკუთარი მოსაზრების ჩამოყალიბება. ამ მხრივ, პროკურორი/ადვოკატი უნდა გასცდეს ფრომალისტური წერის ხისტ და მშრალ ფორმატს: ნებისმიერი მკითხველი, მათ შორის სასამართლოც, გაგებით მოეკიდება თქვენ მიერ საქმეთა გარემოებებისა თუ სამართლებრივი დასკვნების თავისუფალ ფორმას, თუ შეგეძლებათ სიტყვების, ადგილისა და დროის დაზოგვა და აზრის უფრო მარტივად მიწოდება.

ბ) გრძელი წინადადებები დაშალეთ უფრო მოკლე წინადადებებად. ხშირად, პროკურორის/ადვოკატის მიერ შედგენილი საპროცესო დოკუმენტი არაკითხვადია იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ თითო წინადადება ხშირად თითო, საკმაოდ მოცულობითი

აბზაცის ტოლია. პრაქტიკაში ხშირია შუამდგომლობები, რომელშიც პროკურორის/ადვოკატის მიერ ჩამოყალიბებული წინადადება ნახევარ გვერდს იკავებს. შესაბამისად, მკითხველის მეხსიერება ვეღარ მიჰყვება პროკურორის/ადვოკატის აზრს, იმიტომ რომ წინადადების ბოლოს მას უკვე აღარ ახსოვს ის საკითხი, რომელზედაც წინადადების დასაწყისში იყო საუბარი. ხშირად, თვით დოკუმენტის შემდგენი პროკურორიც/ადვოკატიც სწორად ვერ მიჰყვება წინადადების ლოგიკას და წინადადების ბოლოს მოყვანილი საკითხები ხშირად არაა კავშირში წინადადების დასაწყისში აღნიშნულ საკითხებთან. ამგვარი „შაბლონური“ მიდგომის თავიდან ასაცილებლად, პროკურორის/ადვოკატს შეუძლია ძალიან მარტივი მიდგომის გამოყენება: არჩიოს წერტილი მძიმეს და თითო წინადადებით თითო აზრი გამოხატოს. სჯობს, დასრულებული მოკლე წინადადება, ვიდრე გრძელი და შედგენილი. ხოლო თუ წინადადების დაშლა შეუძლებელია, სჯობს, კონკრეტული აზრის დასრულება წერტილ-მძიმეთი და ამის შემდეგ სხვა მოსაზრებაზე გადასვლა.

გ) გამოიყენეთ სიტყვების მინიმუმი. პროკურორმა/ადვოკატმა ასევე უნდა გაითავისოს, რომ ნაკლები სიტყვებით შესაძლებელია უფრო მეტი შედეგის მიღწევა, ვიდრე ზედმეტად განვრცობილი, თუნდაც გონივრული ზომის მქონე წინადადებებით. სიტყვათა ნებისმიერი „ეკონომია“, თუ ის პროკურორის/ადვოკატის მოსაზრებისა თუ არგუმენტის სიძლიერეს არაფერს ავნებს, ყოველთვის მისასალმებელია. სიტყვათა მინიმუმის გამოყენებით ასევე უფრო მარტივი იქნება წინა პუნქტის – მოკლე წინადადების – ფორმატის დაცვა.

დ) გამოიყენეთ სათაურები, ქვესათაურები და პუნქტები. ხშირად, პროკურორის/ადვოკატის მიერ შედგენილი საპროცესო დოკუმენტი, მიუხედავად მისი შედარებით თავისუფალი ფორმატისა, წარმოადგენს ერთიან ტექსტს, რომელსაც არ გააჩნია არც სათაური, არც ქვესათაურები და, თუნდაც ხდებოდეს კონკრეტული საკითხების ჩამოთვლა, არ არის დაყოფილი რაიმე სახის პუნქტებად. უდავოა, რომ ეს სამართლებრივ დოკუმენტს წასაკითხად უფრო მძიმეს ხდის და მკითხველმა შეიძლება კითხვას საბოლოოდ თავიც კი დაანებოს. საკითხების ერთმანეთისაგან არა მხოლოდ აბზაცებით, არამედ ქვესათაურებით გამოყოფა მკითხველის ინტერესის შენარჩუნების ერთ-

ერთი მთავარი გარანტიაა. ამასთან, მკითხველიც უფრო მარტივად ხვდება პროკურორის/ადვოკატის მიერ არგუმენტების სტრუქტურასა და ორგანიზაციას და ამით ბრალდების/დაცვის პოზიცია უფრო დამაჯერებელი ხდება. რაც შეეხება ქვესათაურებისა და ქვეპუნქტების ნუმერაციას, ამ მხრივ არავითარი დადგენილი წესი არ არსებობს, მაგრამ ქვესათაურები უნდა იქნეს მარტივად ორგანიზებული და დაბალანსებული, მაგალითად, ქვესათაური „1.2.1. №5 ნივ-თიერი მტკიცებულების დასაშვებობა“ გულისხმობს იმას, რომ ეს არის საპროცესო დოკუმენტის პირველი ქვესათაურის („1. პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის სამოტივაციო ნაწილი“) მეორე განყოფილების („2. მტკიცებულებითი საკითხები“) პირველი თემა („1. №5 ნივთიერი მტკიცებულების დასაშვებობა“)

შუალედური შრაზები

გაფართოება ან დამატება

აგრეთვე	ამასთან	თანაბრად მნიშვნელოვანი
და	მრავალი	სხვა სიტყვებით
გარდა ამისა	უფრო მეტიც	ანალოგიურად
უპირველეს ყოვლისა,...	გარდა	მსგავსად
მეორე მხრივ,...	ზემოაღნიშნულისა	კიდევ
მესამე,...	დაბოლოს	მეორე მიზეზი
	შემდეგ	

მიზეზი და შედეგი; შედეგი ან რეზულტატი

და ამგვარად	ასე	განპირობებულია
შესაბამისად	თუ	ასე და ამგვარად
შედეგად	მაშინ	ამის შედეგად
(ამის) გამო	ვინაიდან	ამიტომ
მამასადამე	აქედან გამომდინარე	რადგან
გამო		

შედარება ან ანალოგი

იგივენაირად	თანაბრად	კვლავ
მსგავსად	ამგვარადვე	აგრეთვე
ანალოგიურად	მაშინ, როდესაც	მაშინ, როცა

განსხვავება ან ალტერნატივა

მაგრამ	პირიქით	ერთი/მეორე მხრივ
მიუხედავად ამისა	განსხვავებით	თუმცა
მიუხედავად	მიუხედავად	მაშინაც კი, თუ
ამის საპირისპიროდ	ყველაფრისა	ამის მაგივრად
მაინც	ჯერ კიდევ	ამის მიუხედავად

პირობა ან დათმობა

მიუხედავად იმისა, რომ თუმცა რასაკვირველია იმ პირობით, თუ	თუ მაშინ, თუ რა თქმა უნდა	თუ არ უდავოა მართალია
--	---------------------------	-----------------------

დასკვნა

დაბოლოს ბოლოს და ბოლოს დასკვნის სახით აქედან გამომდინარე	მოკლედ შეჯამებისთვის დასკვნისთვის ამიტომ	შედეგად შესაბამისად მაშასადამე მოკლე დასკვნის სახით
--	--	---

აქცენტი

რასაკვირველია ცხადია კვლავ	ბოლოს და ბოლოს უპირველეს ყოვლისა ფაქტობრივად	გავიმეორებ ეჭვსგარეშეა მართლაც რომ
----------------------------	--	------------------------------------

ილუსტრაცია ან მაგალითი/დაზუსტება

მაგალითად	კონკრეტულად	ილუსტრაციისთვის
მაგალითისთვის განსაკუთრებით	ანუ	არსებითად
სხვა სიტყვებით	კერძოდ კი	სახელდობრ
რომ ვთქვათ	საილუსტრაციოდ	ეს იმას ნიშნავს, რომ

ურთიერთობა დროში

შემდეგ	ამის შემდგომ	ხანდახან
როგორც კი	მანამ, სანამ	წინასწარ
ბოლო	მოგვიანებით	აღრეული
მანამ	აქედან მოყოლებული	შემდეგ
როდესაც	ამასწინ	საბოლოოდ
შემდეგში	ერთდროულად	იმავე დროს
ამის შემდეგ	ვინაიდან	მიმდინარე ეტაპზე
განმავლობაში	ამ წუთის შემდეგ	ამასობაში
ამჟამად	ამ ეტაპზე	მას შემდეგ, რაც
მალე	მანამ, სანამ	

სამართლებრივი წიგნის უნარ-ჩვევები: პრობლემური სფეროები

სიტყვის/წინადადების დაკავშირება

წინა გვერდებზე მოცემული ყველა დამაკავშირებელი სიტყვა შეიძლება გაერთიანდეს (უხეშად რომ ვთქვათ და გამონაკლისების გათვალისწინებით) სამ წინადადებაში. საილუსტრაციოდ გამოვიყენებთ ასეთ წინადადებებს: „მან აღიარა დანაშაული“ და „მას მკაცრი განაჩენი გამოუტანეს“.

- თუმცა მან დანაშაული აღიარა, მაინც მკაცრი განაჩენი გამოუტანეს.
- მას მკაცრი განაჩენი გამოუტანეს, თუმცა მან დანაშაული აღიარა.
- მიუხედავად იმისა, რომ დანაშაული აღიარა, მას მკაცრი განაჩენი გამოუტანეს.
- მას მკაცრი განაჩენი გამოუტანეს, მიუხედავად დანაშაულის აღიარებისა.
- მან დანაშაული აღიარა.
- მიუხედავად ამისა, მას მკაცრი განაჩენი გამოუტანეს.

გამონათვა

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ გამოყენებული სამი დამაკავშირებელი სიტყვა კონტრასტულობას გამოხატავს, თითოეულ ზემოთ მოყვანილ წინადადებაში თითოეულ მათგანს განსხვავებული ფუნქცია აკისრია.

როგორ განაზოგადებდით თითოეულ ჯგუფს?

მოქმედების გამომხატველი ზმნების გამოყენება აქცენტების გასაკეთებლად

არსებით სახელად გადაკეთებულ ზმნას ეწოდება „ნომინალიზაცია“. მაგალითად: ზმნა „დაკავშირება“ შეიძლება გადაკეთდეს არსებით სახელად „კავშირი“, ხოლო ზმნა „გამოძიება“ გადაკეთდეს არსებით სახელად „ძიება“.

ნომინალიზაცია, როგორც წესი, მოითხოვს სუსტ ზმნას (როგორცაა მაგალითად *დამყარება*, მაგალითად, „კავშირის დამყარე-

ბა“, ან „ჩატარება“, მაგალითად, „ვამოძიების ჩატარება“). სუსტი ზმნისა და არსებითი სახელის კომბინაცია ნაკლებად პირდაპირია, ნაკლებად გამომხატველი და ნაკლებად ენერგიული, ვიდრე მისი უფრო მოკლე მოქმედების გამომხატველი ზმნის ეკვივალენტი (დაკავშირება ან ვამოძიება).

მრავალი ავტორი, არჩევანის შემთხვევაში, ირჩევს ნომინალიზაციას და არა ზმნას.

რატომ ხდება ასე? რაში მდგომარეობს პრობლემა?

მარტივი ენა და ანალიზი სწორი სიტყვებისა და ბრამატიკის შერჩევა

მკაფიო და ეფექტური სამართლებრივი წერის დროს გასათვალისწინებელი დასაშვები და დაუშვებელი ასპექტები

კარგ სამართლებრივ წერასთან დაკავშირებული ქვემოთ მოცემული ზოგიერთი რჩევა გამოიყენება ნებისმიერ ენაზე წერის ნებისმიერ სახეობასთან მიმართებაში, სხვები უფრო იურიდიული ანალიზისთვის არის დამახასიათებელი ან მხოლოდ ინგლისური ენისთვის.

დავუშვათ, რომ რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი გაქვთ სათქმელი და ამიტომ გსურთ, რომ იგი, რაც შეიძლება მკაფიოდ, ლაკონიურად და ეფექტურად განაცხადოთ. ხანდახან, მთელი რიგი მიზეზების გამო, იურისტმა შეიძლება არჩიოს მსჯელობაში რაიმე ბუნდოვანების შეტანა; თუ თქვენც ასე მოიქცევით, ეცადეთ, რომ ეს გამიზნულად გააკეთოთ და არა შემთხვევით.

საერთო ჯამში:

- გამოიყენეთ მარტივი ენა და არა იურიდიული ტერმინოლოგია;
- „მკითხველს დაუხაზეთ საგზაო რუკა“ და არა „საიდუმლოებებით აღსავსე რომანი“;
- გახადეთ თქვენი მსჯელობა ნათელი;
- გახადეთ თქვენი თემატიკა მიმზიდველი;
- გამოიყენეთ კანონი ფაქტებთან მიმართებაში;
- ეფექტურად გამოიყენეთ აბზაცები, 5-7 წინადადების შემცველი;

- გამოიყენეთ შუალედური ფრაზები, რათა მკაფიოდ მიანიშნოთ, თუ როდის გადადინართ მეორე საკითხზე ან ქვესაკითხზე, მაგალითად, ასე: „რაც შეეხება მეორე საკითხს, ... შესაბამისად, ...“
 - გამოიყენეთ სწორი ტონი;
 - გამოიყენეთ მონახაზი – იქონიეთ თანმიმდევრული მიდგომა ცალკეული მონაკვეთის, როგორც ერთი მთლიანის მიმართ.
- ერიდეთ:
- ისტორიულ მიდგომას;
 - ძალზე ბევრი ციტატის გამოყენებას;
 - ზედმეტად განყენებულ მხლოდ სამართლებრივ დისკუსიებს;
 - მომაბეზრებელ ფრაზებს;
 - ლოგიკურ შეცდომებს.
 - დეტალური რჩევები მკაფიო და ეფექტურ წერასთან დაკავშირებით:
 - გამოიყენეთ მოკლე წინადადებები;
 - აქტიური ბრუნვა;
 - იმსჯელეთ პოზიტიურად და არა ნეგატიურად;
 - ყურადღებით განალეგეთ სქოლიოები/ბოლო წინამორბედის დოქტრინა;
 - გამოიყენეთ პარალელური სტრუქტურები;
 - სიტყვები სწორად დაწერეთ;
 - გამოიყენეთ სწორი პუნქტუაცია;
 - განსაზღვრული და განუსაზღვრელი ნაწილაკები;
 - სიტყვების შერჩევა – ყველა სიტყვას გაუწიეთ ანგარიში;
 - შეუსაბამეთ ქვემდებარე შემასმენელს;
 - სწორად გამოიყენეთ ციტატები;
 - გამოიყენეთ კონკრეტული ენა;
 - ერიდეთ მრავალსიტყვაობას და დამაბნეველ წაშლებს;
 - განმარტეთ ტექნიკური/იუიდიული ტერმინები.

პრინციპი 5. გადასინჯვა

გადახედეთ თქვენს ნაშრომს!

პროკურორის/ადვოკატის მიერ შემუშავებული საპროცესო დოკუმენტის ერთდერთი და საბოლოო რედაქტორი, თითქმის ყველა შემთხვევაში, თავად პროკურორია/ადვოკატია. საბოლოოდ, სწორედ პროკურორი/ადვოკატი არის პასუხისმგებელი სასამართლოს წინაშე მისი ხელმოწერით დამოწმებული საპროცესო დოკუმენტის შინაარსზე. პროკურორმა/ადვოკატმა, როგორც პროფესიონალმა იურსიტმა, უნდა უზრუნველყოს, რომ მის მიერ შედგენილი საპროცესო დოკუმენტი პროფესიონალურად გამოიყურება და მას არ ატყვია ნაჩქარევი გადაწყვეტილებებისა თუ უპასუხისმგებლო დამოკიდებულების დაღი. ამის ერთდერთ გარანტიას წარმოადგენს საპროცესო დოკუმენტის ერთხელ მაინც გადამოწმება მისი სტილისტური, შინაარსობრივი და გრამატიკული თვალსაზრისით.

ამგვარი რედაქტირების მოცულობა და სიხშირე პირდაპირ არის დაკავშირებული საპროცესო დოკუმენტის მნიშვნელობასთან და შესაბამისი საპროცესო მოქმედების შინაარსთან. აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესახებ შუამდგომლობა მოკლე ვადაში უნდა იქნეს მიღებული და მათი გადასინჯვა ხშირად მხოლოდ ერთხელ არის შესაძლებელი; მაგრამ მტკიცებულების დაუმეგობლობის შესახებ შუამდგომლობა ან სააპელაციო საჩივარი მოითხოვს უფრო სერიოზულ, უფრო გრძელვადიან და უფრო ხშირ რედაქტირებას. რეკომენდებულია, თუ ამის საშუალება არსებობს, რომ პროკურორმა/ადვოკატმა რაც შეიძლება მალე შეადგინოს შესაბამისი საპროცესო დოკუმენტის პროექტი და ორი დღის შემდეგ „ობიექტური თვალთ“ გადახედოს, ვინაიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ დოკუმენტის ნაკლოვანებები თვალში უფრო საცემია, ვიდრე იმავე დღეს ან იმავე საათს ჩატარებული გადასინჯვისა თუ რედაქტირების დროს.

როგორც წესი, სამართლებრივი დოკუმენტის გადასინჯვის დროს ყურადღება არა მხოლოდ მის ზოგად კითხვადობას ექცევა. აუცილებლად უნდა გადამოწმდეს რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, კერძოდ:

ა) ხომ არ არის დაშვებული შეცდომები კონკრეტული ფაქტებისა და კანონის მოთხოვნების მითითებისას – ვინაიდან სწორედ პროკურორი/ადვოკატი იქნება პასუხისმგებელი ყველა იმ ფაქტობრივ და სამართლებრივ შეცდომებზე, რომელიც მის მიერ შედგენილ საპროცესო დოკუმენტში მოიპოვება. შესაბამისად, პროკურორი/ადვოკატი განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მიუდგეს ამ საკითხს: დროის არქონა სათანადო რედაქტირებისათვის ან ელემენტარული უწყურადღებობა პროკურორის/ადვოკატის დამაჯერებლობას ვერაფერს შემატებს. უნდა გადამოწმდეს ფაქტების სისწორე და თანმიმდევრულობა, ხომ არ არსებობს რაიმე წინააღმდეგობა ფაქტებს შორის, რამდენად სწორად არის ციტირებული კანონი ან სამართლის სხვა წყარო, რამდენად მოქმედია კანონის ციტირებული რედაქცია და ა.შ.;

ბ) კვლევის სრულყოფილების გადამოწმება – სათანადო სამართლებრივი, აკადემიური და საერთაშორისო სამართლის საკითხების ამომწურავი ანალიზი პროკურორის/ადვოკატის პროფესიონალიზმზე მეტყველებს და ყოველთვის იმსახურებს სასამართლოს პატივისცემას. პროკურორი/ადვოკატი უნდა დარწმუნდეს, რომ მის მიერ შედგენილ საპროცესო დოკუმენტში მოყვანილი არგუმენტები მართებულია (მაგალითად, თუ რამდენად შეესაბამება აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პრაქტიკას ანდა საქართველოს უზენაესი სამართლოს მიერ დადგენილ პრეცედენტს); პროკურორი/ადვოკატი ასევე უნდა დარწმუნდეს, რომ მის მიერ გაკეთებული დასკვნები არ ეწინააღმდეგება იმ სასამართლო პრაქტიკის შედეგების სწორ განმარტებას, რომელიც მას სამართლის წყაროდ მოჰყავს; ბოლოს, მან უნდა ამორიცხოს ყველა ის არასაჭირო მასალა, რომელიც „შუალედური“ იყო გარკვეული დასკვნების გასაკეთებლად ან არ პოვა განვითარება პროკურორის/ადვოკატის საბოლოო პოზიციის დასადასტურებლად. ხშირ შემთხვევაში, განსაკუთრებით კი სააპელაციო და საკასაციო პროცესის პირობებში, პროკურორის/ადვოკატის მიერ კარგად ჩატარებული სამართლებრივი კვლევა პირდაპირპროპორციულია ნდობისა და პატივისცემის იმ ხარისხთან, რომელიც სასამართლოს და ხშირად მეორე მხარეს პროკურორის/ადვოკატის მიმართ გააჩნია;

გ) მეორე მხარის არგუმენტებთან დაკავშირებული საკითხების გადასინჯვა – შეჯიბრები-თი პროცესის პირობებში, პროკურორის/ადვოკატს ხშირად მოუწევს მეორე მხარის მიერ შედგენილ საპროცესო დოკუმენტებზე სათანადო პასუხის გაცემა შესაგებლის ან შემხვედრი საჩივრის ფორმით. პროკურორი/ადვოკატი, ამგვარი დოკუმენტის გადასინჯვის დროს, უნდა დარწმუნდეს, რომ საკუთარი პოზიცია გამოხატა მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილ ყველა საკითხზე. მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილ ნებისმიერ საკითხსა და არგუმენტს უნდა გაეცეს სათანადო პასუხი ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, თუნდაც პროკურორი/ადვოკატი მიიჩნევდეს, რომ რომელიმე კონკრეტული საკითხი ისედაც ნათელია ან უბრალოდ „არ ღირს“ პასუხად. სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც სრულყოფილად არ პასუხობს მეორე მხარის მიერ წარმოდგენილ ყველა საკითხს, თავისი ბუნებით უკვე ხარვეზიანია. ამ წესის დარღვევად თუნდაც დროის უკმარისობის მოტივი ისევ და ისევ ვერ წარმოაჩენს პროკურორის/ადვოკატის სარწმუნოებას. მეორე მხრივ, არაარსებით საკითხებზე დავის ნაცვლად, პროკურორმა/ადვოკატმა მთელი ყურადღება უნდა გადაიტანოს იმ მოსაზრებებსა და არგუმენტებზე, რომლებიც საკმარისია ბრალდების/დაცვის წარმატებისათვის; ყველა სხვა საკითხი და არგუმენტი, რომელიც ბრალდების/დაცვის მთავარ პოზიციებთან არ არის დაკავშირებული, უნდა ამოირიცხოს;

დ) დოკუმენტის სტილისტური მხარის გადასინჯვა – პროკურორმა/ადვოკატმა, პირველ რიგში, დოკუმენტი კრიტიკულად უნდა შეაფასოს გადაფასებისა და გაზვიადების შესაძლო მახეების თავიდან ასარიდებლად. არგუმენტების ზედმეტი ძალითა და „სიტყვათა ქუხილით“ წარმოდგენასას, მკითხველს ბუნებრივად კითხვის ნიშანი უჩნდება ამგვარად წარმოდგენილი ყოველი არგუმენტის მიმართ. შესაბამისად, პროკურორმა/ადვოკატმა თავი უნდა მოარიდოს მართლწერის არასწორ, ზედმეტად აგრესიულ სტილს;

ე) სამართლებრივი „ჟარგონის“ გამოირიცხვა – პროკურორი/ადვოკატი უნდა გასცდეს ფორმალისტური წერის ხისტ და მშრალ ფორმატს: ნებისმიერი მკითხველი, მათ შორის სასამართლოც, გაგებით მოეკიდება პროკურორის/ადვოკატის მიერ საქმეთა გარე-

მოებებისა თუ სამართლებრივი დასკვნების გადმოცემის თავისუფალ ფორმას, თუ შესაძლებელია სიტყვების, ადგილისა და დროის დაზოგვა და აზრის უფრო მარტივად მიწოდება სამართლებრივი „ჟარგონის“ გამოყენების გარეშე. ამიტომ, რედაქტირების დროს ამგვარი „ჟარგონული“ ტერმინოლოგია საყოველთაოდ მიღებული და გასაგები სიტყვებით უნდა შეიცვალოს;

ვ) გრძელი წინადადებები უნდა დაშალოს უფრო მოკლე წინადადებად – ხშირად, პროკურორის/ადვოკატის მიერ შედგენილი საპროცესო დოკუმენტი არაკითხვადია იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ თითო წინადადება ხშირად თითო, საკმაოდ მოცულობითი აბზაცის ტოლია. პრაქტიკაში ხშირია შუამდგომლობები, რომელშიც პროკურორის/ადვოკატის მიერ ჩამოყალიბებული წინადადება ნახევარ გვერდს იკავებს. რედაქტირებისას, პროკურორმა/ადვოკატმა ყოველთვის უნდა არჩიოს წერტილი მძიმეს და თითო წინადადებით თითო აზრი გამოხატოს. სჯობს, დასრულებული მოკლე წინადადება, ვიდრე გრძელი და შედგენილი. ხოლო თუ წინადადების დაშლა შეუძლებელია, სჯობს, კონკრეტული აზრის დასრულება წერტილ-მძიმით და ამის შემდეგ სხვა მოსაზრებაზე გადასვლა;

ზ) სიტყვების ეკონომია – პროკურორმა/ადვოკატმა ასევე უნდა გაითავისოს, რომ ნაკლები სიტყვებით შესაძლებელია უფრო მეტი შედეგის მიღწევა, ვიდრე ზედმეტად განვრცობილი, თუნდაც გონივრული ზომის მქონე წინადადებებით. სიტყვათა ნებისმიერი „ეკონომია“, თუ ის პროკურორის/ადვოკატის მოსაზრებისა თუ არგუმენტის სიძლიერეს არაფერს ავნებს, ყოველთვის მისასალმებელია. დოკუმენტის რედაქტირებისას, ნებისმიერი ზედმეტი ზედსართავი ან ნაწილაკი ამოღებულ უნდა იქნეს ტექსტიდან;

თ) სათაურების, ქვესათაურებისა და პუნქტების გამოყენება – ხშირად, პროკურორის/ადვოკატის მიერ შედგენილი საპროცესო დოკუმენტი, მიუხედავად მისი შედარებით თავისუფალი ფორმატისა, წარმოადგენს ერთიან ტექსტს, რომელსაც არ გააჩნია არც სათაური, არც ქვესათაურები და, თუნდაც ხდებოდეს კონკრეტული საკითხების ჩამოთვლა, არ არის დაყოფილი რაიმე სახის პუნქტებად. უდავოა, რომ ეს სამართლებრივ დოკუმენტს წასაკითხად უფრო მძიმეს ხდის და მკითხველმა შეიძლება კითხვას საბოლოოდ თავიც

კი დაანებოს. საკითხების ერთმანეთისაგან არა მხოლოდ აბზაცებით, არამედ ქვესათაურებით გამოყოფა მკითხველის ინტერესის შენარჩუნების ერთ-ერთი მთავარი გარანტიაა და მას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რედაქტირების დროს.

კარგი სამართლებრივი წერის ექვსი უმნიშვნელოვანესი წესი:

- 1) დაადგინეთ საკითხი;
- 2) ისაუბრეთ ამ საკითხზე;
- 3) შეიმუშავეთ თქვენი ანალიზის სტრუქტურა, რაც საშუალებას მოგცემთ, რომ ფაქტები, სასამართლოს ანალიზი და პოლიტიკა თქვენი არგუმენტების ძირითად ნაწილში გააერთიანოთ;
- 4) დაყავით თქვენი ანალიზი მისსავე შემადგენელ კომპონენტებად და ცალ-ცალკე, მაგრამ ორგანიზებულად განავითარეთ ისინი;
- 5) შეარჩიეთ ზომიერი ტონი;
- 6) იყავით კონკრეტული და შეძლებისდაგვარად მარტივი.

კარგი სამართლებრივი წერის სხვა წესები:

- დაწერეთ ძლიერი შესავალი ნაწილი;
- თითოეული ნაწილის გასაცნობად გამოიყენეთ გამომხატველობითი სათაურები;
- გახადეთ საქმის შესახებ თქვენი დისკუსიები რაც შეიძლება დეტალური, მაგრამ მაინც შეძლებისდაგვარად ლაკონიური;
- საქმის განხილვისას იქონიეთ ძლიერი შესავალი ხაზი;
- გააკეთეთ მწყობრი გადასვლები;
- პრობლემები გადაჭერით თანდათანობით და ტექსტის ბოლოს;
- გაითვალისწინეთ და პატივისცემით მიუღეკით იმ არგუმენტებს, რომლებიც შეიძლება გამოითქვას თქვენი არგუმენტების საპირისპიროდ;
- გამოიყენეთ სქოლიოები მიზანმიმართულად;

- ნურასოდეს დაასრულებთ აბზაცს ან ტექსტის ნაწილს ციტატით;
- თქვენი ციტატები იყოს მოკლე და თემასთან ახლოს;
- ნუ გამოიყენებთ იმ კანონის მუხლის ან საქმის ენას, რომელსაც განიხილავთ იმაზე მეტად, ვიდრე ეს თქვენი აზრების მკაფიოდ გადმოცემისთვის არის აუცილებელი;
- ყურადღება მიაქციეთ სწორ ფორმასა და პრეზენტაციას;
- დაიცავით ტექსტში ჯანსაღი ბალანსი;
- გაითვალისწინეთ პოლიტიკური პირობები.

ანალიტიკური უნარ-ჩვევები

**წინადადების აგება და აზროვნების მეთოდი
დამაკავშირებელი წერა: შუალედური ფრაზები**

„თუ მთელი ძალით გსურთ აღწეროთ სიმართლე,
სიკოხტავე მკერავს მიანდეთ“ –
ალბერტ აინშტაინი, 1879-1955 წწ.

ყურადღებით დააკავშირეთ აზრები!

ენა, როგორც მაკავშირებელი

თქვენი აზრები მნიშვნელოვანია. ასევე მნიშვნელოვანია, თუ როგორ დაუკავშირებთ მათ ერთმანეთს. თუ სწორად არ დააკავშირებთ, შეიძლება თქვენი აზრები გაუგებარი დარჩეს. ხოლო თუ თქვენი მკითხველი ვერ გაიგებს თქვენს ნააზრევს, მაშინ საერთოდ არა აქვს აზრი რაიმეს დაწერას.

ზოგიერთ სიტყვასა და ფრაზას ეწოდება მაკავშირებლები, ენის სიმბოლოები, შუალედური სიტყვები, დამაკავშირებელი სიტყვები, მანიშნებლები ან ორიენტირები. ლინგვისტიკაში მათ უწოდებენ „დისკურსიულ (ტექსტურ) სანიშნებს.“ დისკურსი არის ტექსტი; მარკერი არის ნიშანი, რომელიც გეუბნება, თუ სად ხარ და საით

მიღისარ. ეს დაახლოებით იგივეა, რაც ბათუმიდან თბილისში მანქანით ჩამოსვლა. ანუ მოღისარ დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით, იყენებ რუკას და მიჰყვები საგზაო ნიშნებს, რომლებიც გეუბნებიან, თუ სად არის თბილისი. ამგვარად, გამოიყენეთ ტექსტური ნიშნები (სტრუქტურული ტექნოლოგიები), რათა მკითხველებისთვის შეიმუშაოთ თქვენი ტექსტის საგზაო რუკა.

მაკავშირებლებს გააჩნიათ გრამატიკული ტერმინები (მაგალითად: და, მაგრამ, ან, თვის – რომლებიც წარმოადგენენ კავშირებს, ანუ ეს არის სიტყვები, რომლებიც გამოიყენებიან სიტყვათა ჯგუფების შესაერთებლად). მიუხედავად ამისა, ალბათ უკეთესი იქნება გავიაზროთ, თუ რას აკეთებენ ეს სიტყვები, ანუ რა არის მათი ფუნქცია. მაგალითად, „მაგრამ“ გამოიყენება, რათა დავინახოთ განსხვავება სიტყვების ჯგუფის მნიშვნელობებს შორის, მის ორივე მხარეს; ხოლო „და“ ახორციელებს სიტყვების ჯგუფების პოზიტიურ დაკავშირებას, მის ორივე მხარეს.

ზემოაღნიშნულის თანახმად ჩვენი მთავარი მესიჯია: გამოიყენეთ სიტყვები მიზნობრივად. ქვემოთ გთავაზობთ საერთო მაკავშირებლების ჩამონათვალს. ისინი უზრუნველყოფენ გადასვლას ან მოძრაობას აზრებს შორის და გვიჩვენებენ მათ შორის ურთიერთდამოკიდებულებას:

შემდეგ, ამასობაში, ამის შემდეგ, მომდევნო, მანამ, ადრე, მოგვიანებით, რამდენიმე დღეში, მანამსანამ, როდესაც, შემდგომ...

ზევით, ქვევით, ახლოს, ახლომახლო, იქით, საპირისპიროდ, მოსაზღვრედ, სცილდება...

ნამდვილად, მართლა, გარდა ამისა, უფრო მეტიც, ამასთან, ზემოაღნიშნულის გარდა, ამასთანავე, ასევე, აგრეთვე, ისევ, კვლავ...

ვინაიდან, რადგან, ამიტომ/ამის გამო, თვალსაზრისით, გათვალისწინებით...

რათა, იმიტომ, რომ, ამგვარად, მიზნით, განზრახვით...

შესაბამისად, ამის შედეგად, რამაც გამოიწვია/იქნა გამოწვეული...

მიუხედავად ამისა, აქედან გამომდინარე, ამიტომ, ამგვარად, ასე რომ...

ამის მიუხედავად, და მაინც, თუმცა, ანალოგიურად, მსგავსად,

მანც, პირიქით, ამის საპირისპიროდ, იგივენაირად...

ეს, ესენი, ის, ისინი...

მაკავშირებლები მნიშვნელოვანია იურიდიული და ოფიციალური ენისთვის როგორც ზეპირი, ისე წერიითი მეტყველებისას.

მაკავშირებლების გამოყენება გვეხმარება, რომ ტექსტს შევმატოთ *თანმიმდევრობა*, ანუ გაჩნდეს ბუნებრივი, გონივრული და ლოგიკური კავშირი ტექსტის სხვადასხვა ნაწილს შორის. შედეგად: ვღებულობთ ტექსტს, რომლის გაგებაც უფრო ადვილია. ხშირად მაკავშირებლები საერთოდ არ გამოიყენება ოფიციალური ან სამართლებრივი წერისას. მართლაც, რაც უფრო უკეთ იცნობ თემას (და ენას), მით უფრო მეტი ალბათობა არსებობს, რომ გამოტოვებ და არ გამოიყენებ მაკავშირებლებს. ეს ალბათ იმიტომ ხდება, რომ ისინი სადღაც გონებაშია, მაგრამ, ვინაიდან თქვენ თავად ხართ საკუთარი თავის მკითხველი, ისინი აღარ გჭირდებათ. ამიტომ, როდესაც წერთ, იფიქრეთ ფაქტობრივ მკითხველებზე. იგივე ეხება საუბარსაც. გაუადვილეთ ყოფა თქვენს აუდიტორიას.

მაკავშირებლები გამოიყენება გადასვლისთვის. გადასვლა ნიშნავს ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლას, ანუ ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლას (მაგალითად, გარდამავალი ეკონომიკა). გამოიყენეთ მაკავშირებლები წინადადების აბზაცებთან დასაკავშირებლად. ამასთან, გადასვლა ასეთივე მნიშვნელოვანია ტექსტის ნებისმიერი ნაწილის ერთმანეთთან დასაკავშირებლად. მიუხედავად ამისა, ამ შემთხვევაში ავტორმა შეიძლება მოიშველიოს გადასვლის სხვა, დამატებითი ინსტრუმენტები, განსაკუთრებით უფრო გრძელი ტექსტების შემთხვევაში.

რა არის ეს?

ახალი აბზაცი ხშირად გვიჩვენებს ახალ თემას, ან ცვლის წინა აბზაცის თემას, ან მისგან გამომდინარეობს. მაგალითად:

(აბზაცი „ა“) „..... კოსტა ენელის წინააღმდეგ საქმემდე შესაძლებელი იყო მთელი რიგი გაურკვევლობის არსებობა ევროკავშირის კანონის როლსა და მის ფედერალურ კანონთან ურთიერთობასთან დაკავშირებით. ამასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაში, სასამართლომ...“

(აბზაცი „ბ“) „ამ გადაწყვეტილების შედეგად აშკარა გახდა, რომ...“

ყურადღება მიაქციეთ სიტყვა „შედეგად“ გამოყენებას. ეს ანალიტიკური ენა გვეხმარება დავადგინოთ მიზეზი და შედეგი მკითხველის აზროვნებაში.

სავარაუდოა, რომ ყველა ნაწერის პირველ პროექტს არ ექნება გადასვლა. როგორც უკვე მოგახსენეთ, ეს ალბათობა კიდევ უფრო მეტად იარსებებს მაშინ, როდესაც თქვენ იმდენად კარგად იცნობთ საკუთარ თემას, რომ ვერც კი ხვდებით, რომ არ გამოგიყენებიათ შუალედური ენა, ანუ ტექსტური მარკერები ან მაკავშირებლები. პრობლემა კიდევ უფრო ღრმავდება მაშინ, როდესაც თემა რთულია, ხოლო ტექსტი გრძელი. ამიტომ, როდესაც თქვენს პირველ პროექტს წაიკითხავთ, დაუმატეთ მას შუალედური ენა.

შენიშვნა: ამ ნაწილის ბოლოს ვთავაზობთ რამდენიმე სასარგებლო შუალედურ სიტყვას.

ტექსტის თანმიმდევრულობა

როდესაც წინადადებები, აზრები და დეტალები მკაფიოდ უკავშირდება ერთმანეთს, მკითხველებს შეეძლება ადვილად მიჰყვნენ ტექსტს და ნაწერიც თანმიმდევრული იქნება. აზრები ერთმანეთს სწორად და მკაფიოდ უკავშირდება. მკითხველისთვის აუცილებელი კავშირების დასამყარებლად თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ ქვემოთ ჩამოთვლილი მეთოდები.

მთავარი ტერმინის ან ფრაზის გამეორება

ეს ხელს უწყობს თქვენი აზრების ფოკუსირებას და ეხმარება მკითხველებს, რომ მიჰყვნენ თქვენს აზრებს.

მაგალითი: საერთო სამართლის პრობლემას წარმოადგენს ის, რომ იგი არ არის ადვილად გასაგები მრავალი ადამიანისთვის. საერთო სამართალი დამოკიდებულია სასამართლოს მიერ ინტერპრეტაციაზე, რაც ხშირად გადადის ისეთ რთულ ენაზე, რომლის გაგებაც მხოლოდ იურისტებს შეუძლიათ.

სინონიმები

სინონიმები წარმოადგენენ სიტყვებს, რომელთაც არსებითად იგივე მნიშვნელობა აქვთ. ისინი ერთგვარ განსხვავებულობას სძენენ

თქვენი სიტყვების არჩევას, ეხმარებიან მკითხველს განსახილველ თემაზე ყურადღების გამახვილებაში. მიუხედავად ამისა, ყურადღება მიაქციეთ, რომ ეს არ იქნეს გამოყენებული სამართლებრივი წერისას, რომლის დროსაც უმჯობესია ყურადღება მკაფიოობაზე გამახვილდეს და არა სტილზე.

მაგალითი: რუანდასა და კონგოს ომის დროს ადამიანის უფლებების დარღვევების გამო გაჩნდა აფრიკის კონტინენტის მიმართ ძლიერი შიშის ახალი სტანდარტები. მართლაც, ადამიანის ღირსების შელახვისა და ადამიანის უფლებების დარღვევა, როგორც წესი, შეიძლება მხოლოდ სამი მილიონი მოკლულის ფონზე გაიგოს.

ნაცვალსახელები

ეს, ის, ესენი, ისინი, იგი, მათ და ჩვენ წარმოადგენენ საჭირო ნაცვალსახელებს, როდესაც გვსურს, რომ მინიშნება გავაკეთოთ წარსულში უკვე ნახსენებ რაიმეზე ან ვინმეზე. ამასთან, უზრუნველყავით, რომ რაზეც მინიშნებას აკეთებთ, ყველასათვის გასაგები იყოს.

მაგალითი: ევროკავშირის მიერ მოქალაქეობის შესახებ შემუშავებული თავდაპირველი ცნება სხვა არაფერი იყო, თუ არა „ბაზრის მოქალაქის“ ცნება. ევროპის სასამართლომ იგი შედარებით ნაკლებ ზედაპირულ ცნებად გარდაქმნა, თუმცა იგი ჯერ კიდევ შორს არის მოქალაქეობის ტრადიციული გაგებიდან.

შუალედური სიტყვები

ინგლისურ ენაში მრავალი სიტყვა მინიშნებს მკითხველს წინადადებებს (ან მის ნაწილებს), მაკავშირებლებსა და განვითარებულ აზრებს შორის ურთიერთობებზე. ის. ქვემოთ „შუალედური საშუალებების“ („მაკავშირებელი სიტყვების“) შესახებ. იქ თქვენ იხილავთ ისეთი სიტყვების ჩამონათვალს, როგორიცაა *ამასთან, ამიტომ, აქედან გამომდინარე, აგრეთვე, მაგრამ, გარდა ამისა და სხვა*.

მაგალითი: საერთო სამართალი არასისტემურია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისიც მუშაობს.

საერთო სამართლის სპეციალისტს შეიძლება ესმოდეს კლი-

ენტის საქმე, მაგრამ შეიძლება გაუძნელებს, რომ ეს კლიენტსაც გააგებინოს. გარდა ამისა, იმის გამო, რომ პრეცედენტზეა დამოკიდებული, ვერც ერთი იურისტი ფაქტობრივად ვერასოდეს იქნება დარწმუნებულ იმაში, ზუსტად გაიგო თუ არა რა სჭირდება მის კლიენტს, რომ წარმატება გარანტირებულ იქნეს.

წინადადების ნიშნები

ზოგჯერ წინადადებების გამეორება ან პარალელური წინადადებები დაეხმარება მკითხველს თვალყური მიადევნონ მას და აზრები კონცენტრირებული ჰქონდეთ.

მაგალითი: „თუ მოვალეობები უფლებების გარეშე ქმნიან მონებს, უფლებები მოვალეობების გარეშე ქმნიან მესამე მხარეს“ (დევიდ სელბორნი, წიგნში „*მოვალეობის პრინციპები*“).

მიღბომები ანალიტიკური წერისაღმის

ანალიტიკური წერის 9-საფეხურიანი ფორმულა

წარმატებული ანალიტიკური წერა შეიძლება გამოიხატოს ფორმულით. ეს გულისხმობს ანალიტიკური მოდელის (მატრიცის) და ფრაზების შემუშავებას, რომლებიც შეგიძლიათ მაშინ გამოიყენოთ, როდესაც შესაბამის საკითხზე მიხვალთ.

გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული ფორმულა თქვენი ტექსტის წინასწარ დასაწერად.

საფეხური პირველი: *დაასახელეთ საკითხი*. დაწერეთ ერთი წინადადება, რომელიც იმ საკითხს დაადგენს, რომელსაც ფაქტები გვთავაზობენ. მიეჩვიეთ თქვენს ხელთ არსებული ფაქტის გამოყენებით საკითხის დასახელებას.

საფეხური მეორე: *დაადგინეთ ნორმა*, მაგრამ ნუ გაფლანგავთ დროს ამ ნორმის განმარტებაზე. უმჯობესია ეს ნორმა თქვენ მიერ ფაქტების ანალიზისას გამოიყენოთ.

საფეხური მესამე: *შეაჯამეთ ნორმის ის ელემენტები, რომ-*

ლებიც ფაქტებით არის გამყარებული. უზრუნველყავით, რომ არ შეთხზათ ან იგულისხმოთ ჰიპოთეტური (სავარაუდო) ფაქტები. ზოგადი შეცდომაა, როდესაც ნორმის დაკმაყოფილების გამო ხდება სავარაუდო (ნაგულისხმევ) ზიანზე მინიშნება. თუ თქვენ აკეთებთ რაიმე ვარაუდებს ფაქტობრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით, მაშინ უზრუნველყავით, განაცხადოთ, რომ თქვენ ამ ვარაუდს უშვებთ.

საფეხური მეოთხე: დაასახელოთ ის სუსტი წერტილი, რომელიც ამ საკითხს ახლავს, ანუ ფაქტებში არსებული ორაზროვნება, რომელიც ამ საკითხს ართულებს.

საფეხური მეხუთე: გამოიყენეთ პრობლემის ანალიზის ოთხიდან ერთი ან მეტი სახეობა. შეადარეთ დაპირისპირებული ასპექტები.

გამოიყენეთ მტკიცებულების ოთხიდან ერთი ან მეტი სახეობა, რათა დაამტკიცოთ ან არ დაამტკიცოთ ეს ნორმა.

მსჯელობა ანალოგიის მიხედვით: საერთო სამართლის თანახმად, ეს ფაქტები აკმაყოფილებს (ვერ აკმაყოფილებენ) ამ ელემენტს.

დამაბალანსებელი ტესტი: იმის გადასაწყვეტად – დაკმაყოფილებულია თუ არა ეს ელემენტი მნიშვნელობა აქვს შემდეგ ფაქტორებს:

მოსამართლეთა ტესტი: სასამართლოებმა გამოიყენეს შემდეგი ტესტი, რათა დაემტკიცებინათ დაკმაყოფილდა, თუ არა ეს ელემენტი.

პოლიტიკა: ამ სცენარში გამოყენება ხელს არ უწყობს ნორმის ძირითად პოლიტიკას.

საფეხური მეექვსე: შეადარეთ დაპირისპირებული ასპექტები.

საფეხური მეშვიდე: როგორია დაცვის არგუმენტები? აუცილებლად აღიარეთ, რომ დაცვის არგუმენტიც ნორმას ეყრდნობა, რომელიც მოითხოვს ანალიზის ჩატარებას მსჯელობის ოთხი მეთოდიდან ერთ-ერთი ფორმის გამოყენებით.

საფეხური მერვე: გააკეთეთ დასკვნა. დასკვნის დაწერისას თქვენ თავს არიდებთ პირდაპირ პასუხებს.

საფეხური მეცხრე: გადადით შემდეგ საკითხზე.

როგორ ვაკონტროლოთ დოკუმენტების ხარისხი ყოველდღიური მუშაობის დროს

რელაქტირება აქცენტების გაკეთების მიზნით:

ხუთი მეთოდი

მეთოდი 1: „გამოტოვეთ უსარგებლო სიტყვები“;

მეთოდი 2: შეკვეცეთ წინადადების დაბოლოებები აქცენტების გაკეთების მიზნით;

მეთოდი 3: გამოიყენეთ წინადადებების დასაწყისი, როგორც ბუნებრივად მნიშვნელოვანი ადგილი;

მეთოდი 4: უპირატესობა მიანიჭეთ მოქმედების გამომხატველ ზმნებს და არა ნომინალიზაციას;

მეთოდი 5: ნუ ენდობით მოდიფიკატორებს.

რეკომენდაციები გასწორებასა და რედაქტირებასთან დაკავშირებით

- 1) წაიკითხეთ ხმამაღლა;
- 2) გამოტოვეთ უსარგებლო სიტყვები;
- 3) ენდეთ უშუალოდ მოქმედების გამომხატველ ზმნებსა და არსებით სახელებს;
- 4) გამოსცადეთ წინადადების სხვადასხვაგვარი აგებულება და სიგრძე;
- 5) გამოყავით მთავარი წინადადება;
- 6) გამოსცადეთ შუალედური სიტყვები და გამოთქმები;
- 7) გადახედეთ ტექსტის ვიზუალურ მხარეს;
- 8) შეამოწმეთ, არის თუ არა მკითხველისთვის გასაგები თქვენი მიზანი;
- 9) გადაიკითხეთ და გადაამოწმეთ მთელი დოკუმენტი;
- 10) სთხოვეთ კოლეგას, რომ რეაგირება მოახდინოს თქვენს პროექტზე.

სამართლებრივი წერის უნარ-ჩვევების გაუმჯობესება

- 1) წინადადების სტრუქტურაში მრავალფეროვნების შექმნის მეთოდი
- 2) ერიდეთ მარტივი, დეკლარაციული ხასიათის წინადადების მწკრივების შექმნას.
- 3) გამოიყენეთ დამოკიდებული წინადადების ელემენტები, რათა მიანიშნოთ ურთიერთობებზე და გააკეთოთ აქცენტები.

- 4) კარგად დაამუშავეთ აზრი მთავარ წინადადებაზე ან მის შემდეგ.
- 5) გამოიყენეთ პარალელური კონსტრუქციები პერიოდულობის ან აქცენტების დასაცავად.
- 6) გრძელ წინადადებას მოაყოლეთ მოკლე, ცოცხალი წინადადებები.
- 7) შეცვალეთ სიტყვების წყობა წინადადებაში.
- 8) გამოტოვეთ ზედმეტი სიტყვები.
- 9) გამოიყენეთ ძირითადი ზმნები და არა ნომინალიზაცია.
- 10) უპირატესობა მიანიჭეთ გადმოცემის უშუალობას.
- 11) გამოიყენეთ მოკლე წინადადებები.
- 12) ყურადღებით დაალაგეთ სიტყვები.
- 13) გამოიყენეთ ნაცნობი, კონკრეტული სიტყვები.
- 14) ერიდეთ ენის შეცვლას.